**მოვარდისფრო** ვარდისფერი რომ დაჰკრავს, ისეთი, ოდნავ ვარდისფერი; ვარდისფერნარევი

**მოვარდისფრო-მოყვითალო** მოვარდისფრო და მოყვითალო

**მოვერცხლისფრო** ვერცხლისფერი რომ დაჰკრავს ისეთი, ოდნავ ვერცხლისფერი; ვერცხლისფერნარევი

**მოთეთრო** ოდნავ თეთრი

**მოთეთრო-მონაცრისფრო** ოდნავ ნაცრისფერი, ღია ნაცრისფერი

**მოთინათინე** მოციმციმე, მოკიაფე

**მოიკუპრება** კუპრის ფერი დაედება, – გაშავდება

**მოკამკამე** რაც კამკამებს, რასაც კამკამი გაუდის, – მოციმციმე

**მოკაშკაშე** რაც კაშკაშებს, რასაც კაშკაში გაუდის

**მოკიანთე** კუთხ. (გურ.) იგივეა, რაც მოკიაფე

**მოკიაფე** რაც კიაფობს, – მოციმციმე

**მოკრთის** კრთომით მოჩანს, – გამოკრთის

**მოლაპლაპე** რაც ლაპლაპებს, რასაც ლაპლაპი გაუდის, – მოელვარე

**მოლეგო** რასაც ლეგა ფერი დაჰკრავს, – ოდნავ ლეგა

**მოლისფერი** რაც ფერით მოლს მოგვაგონებს, – ღია მწვანე

**მოლიცლიცე** რაც ლიცლიცებს

**მოლურჯო** ოდნავ ლურჯი

**მოლურჯოშავი** შავი, რომელსაც ლურჯი ფერი დაჰკრავს

**მომკრთალო** ოდნავ მკრთალი

**მომუქო** ოდნავ მუქი

**მომქრქალო** ოდნავ მქრქალი

**მომწვანო** რასაც ოდნავ მწვანე ფერი დაჰკრავს

**მონარინჯისფერო-წითელი** წითელი, რომელსაც დაჰკრავს ნარინჯისფერი

**მონაცრისფერო** რასაც ნაცრისფერი დაჰკრავს, ოდნავ ნაცრისფერი

**მონაცრისფრო** იხ. მონაცრისფერო

**მოოქროსფრო** ოდნავ ოქროსფერი

**მოპეპლული** კუთხ. (გურ.) მოჩითული, მოხატული

**მოპრიალე** რაც პრიალებს, – პრიალა

**მორუხო** მონაცრისფრო

**მოქათქათე** რაც ქათქათებს, – მალიან თეთრი

**მოქერაო** ცოტათი ქერა, ოდნავ ქერა, ქერასავით

**მოღადღადე** რაც ღადღადებს; რასაც ღადღადი გააქვს

**მოყავისფრო-მოწითალო** მოყავისფრო და მოწითალო

**მოყვითალო** ოდნავ ყვითელი

**მოყვითლო** იხ. მოყვითალო

**მოშავგვრემანო** ოდნავ შავგვრემანი

**მოშავო** ოდნავ შავი

**მოშავო-მონაცრისფრო** მოშავო და მონაცრისფრო

**მოშავფრო** იგივეა, რაც მოშავო

**მოჩახჩახე** მოკაშკაშე, მოელვარე

**მოციაგე** რაც ციაგებს

**მოციალე** რაც ციალებს

**მოციგლიგე** რაც ციგლიგებს

**მოციმციმე** რაც ციმციმებს

**მოციმციმ-მოელვარე** მოციმციმე და მოელ-ვარე

**მოცისკროვნე** ცისკრის მსგავსი, ცისკარივით კიაფა, ნათელი

**მოცისფრო** ოდნავ ცისფერი

**მოწაბლისფრო** ოდნავ წაბლისფერი

**მოწითალო** ოდნავ წითელი

**მოწითალო-ვარდისფერი** ვარდისფერი, რო-მელსაც წითელი ფერი დაჰკრავს

**მოწითალო-მწვანე** მწვანე, რომელსაც წითე-ლი ფერი დაჰკრავს

**მოწითალო-ყავისფერი** ყავისფერი, რომელ-საც წითელი ფერი დაჰკრავს

**მოწითალო-ყვითელი** ყვითელი, რომელსაც წითელი ფერი დაჰკრავს

**მოწითანო** იხ. მოწითალო

**მოწითლო** იხ. მოწითალო

**მოწინწკლული** რაც მოწინწკლეს, – წინწკლებ-დაყრილი

**მოხასხასე** რაც ხასხასებს, რასაც ხასხასი გაუდის

**მრავალფერადი** იხ. მრავალფერი

**მრავალფერი** სხვადასხვა ფერი, ათასფერი, მრავალგვარი, ნაირ-ნაირი

**მრავალფეროვანი** სხვადასხვა ფერისა, ფერადფერადი

**მრეში** ძვ. წაბლისფერი (საბა)

**მრომი** იხ. მრუმე

**მრუმე** ძვ. „ესე არს ბნელად საჩინარი, გინა შავი ბინდის მსგავსი“ (საბა)

**მტრედისფერი** ღია ლურჯი, მოცისფრო ცის მუდმივ ეპითეტად იხმარება

**მურა** რუხწითელი, შავწითელი

**მური** შავი

**მურისფერი** რაც ფერით მურს მოგვაგონებს, – შავი

**მუქდება** მუქი ხდება

**მუქი** 1. თალხი, არანათელი, მოშავო ფერისა 2. მოჭირებული, მოჭარბებული ფერი

**მქრალი** 1. მილეული, მიმქრალი. 2. იგივეა, რაც მქრქალი

**მქრქალი** არამკვეთრი სინათლე, არაპრიალა, ბრწყინვას, ელვარებას მოკლებული ზედაპირი რისამე

**მღვრიე** ბრწყინვას, ელვარებას მოკლებული, მქრქალი

**მწვანდება** მწვანე ხდება

**მწვანე** ნედლი ბალახის, ფოთლის და მისთ. ფერი

**მწითური** იხ. წითური

**მჭახე** მკვეთრი, ფერი

**მჭვინვარე** „შავი ელვარე“

**მჭვირვალი, მჭვირვალე** იხ. გამჭვირვალე

**მხე** ძვ. „ნაცრისფერი, მხიე“

**მხიე** ძვ. „მრეში, ნაცრისფერი“

## ნ

**ნავთისფერი** გარდამავალი რუხი, მოლურჯო - რუხი ლურჯი

**ნაზი** არამკვეთრი, თვალისათვის სასიამოვნო ღია ფერი

**ნათელი** სინათლით მოცული, – სინათლიანი, შუქიანი, განათებული

**ნათელმიხდილი** რასაც ნათელი, სინათლე ჩამოეცალა, მოაკლდა, აკლია

**ნაირფერადი** სხვადასხვა ფერისა, – ნაირფერი, ჭრელი

**ნაირფერი** სხვადასხვა ფერისა, – ფერად-ფერადი

**ნაკრთომი** მკრთალი, გამკრთალი; მიხდილი ფერი

**ნალაქი** რაზედაც ლაქების კვალია, ლაქებით დაფარული, – ლაქებიანი

**ნამჯისფერი** იგივეა, რაც ჩალისფერი

**ნარგიზი** ნარგიზის ყვავილის ფერი, – მკრთალი ნარინჯისფერი

**ნარინჯი** იგივეა, რაც ნარინჯისფერი

**ნარინჯისფერი** რაც ფერით ნარინჯს მოგვაგონებს, – მოწითალო ყვითელი

**ნაფერადები** აფერადებული

**ნაშური** „ლურჯად შეღებილი ნარმა“

**ნაჩრდილები** იხ. ჩრდილი

**ნაცარა** ნაცრისფერი რამე

**ნაცრდება** ნაცრისფერი ხდება

**ნაცრისფერი** რაც ფერით ნაცარს მოგვაგონებს, – რუხი, ლეგა

**ნაჭორფლი** ჭორფლის მსგავსი წინწკლების მქონე

**ნიგროზინი** ერთგვარი მოშავოლურჯი ფერის საღებავი

**ნისლა** ნისლის ფერი, ნაცრისფერი საქონელი

ო

**ორფერი** ორი ფერის მქონე, ორი ფერის შემცველი

**ოქროვანი** ოქროსფერი

**ოქროსფერი** ფერით ოქროს მსგავსი

**ოღნაშოსფერი** კუთხ. (ქვ.-.იმერ.) იხ. ღოღნოშოსფერი

## პ

**პირისფერი** მკრთალი წითელი, – ვარდისფერი

**პირყვითელი** ვისაც ან რასაც პირი, სახე ყვითელი აქვს

**პრიალა** რასაც პრიალი გააქვს, – მბრწყინავი, მოლაპლაპე, მოელვარე

**პრიალებს** ელვარებს, ბრწყინავს, ბზინავს, ლაპლაპებს

**პრიალი** ელვარება, ლაპლაპი, ბრწყინვა, ბზინვა

**პრჭყვიალი** იხ. ბრჭყვიალი

## ჟ

**ჟანგაროსფერი** ჟანგაროს მნიშვ. 1 დამახასიათებელი მწვანე ფერი

**ჟანგისფერი** რაც ფერით ჟანგს მოგვაგონებს, – წითელმურა

**ჟიკჟიკი** კუთხ. (ფშ.) ბრწყინვა, ციმციმი, პრიალი

**ჟოლისფერი** იხ. ჟოლოსფერი

**ჟოლოსფერი** რაც ფერით ჟოლოს მოგვაგონებს, – მოწითალო ვარდისფერი

**ჟრუნი** მონაცრისფრო ჭრელი ფერი

**ჟღალი** 1. შავთეთრი, რუხი, მუქი ნაცრისფერი 2. შავმოწითალო ფერი

**ჟღალისფერი** იხ. ჟღალი

## რ

**რუხი** თეთრნარევი შავი ფერი, მუქი ნაცრის-ფერი, – ლეგა

**რძისფერი** რაც ფერით რძეს მოგვაგონებს, – თეთრი

## ს

**სადაფისფერი** რაც ფერით სადაფს მოგვაგონებს

**საია** სადა, მარტივი, არაჭრელი

**სალათისფერი** ღია მწვანე

**სამფერი** რასაც სამი ფერი აქვს, – სამფეროვანი

**სანთლისფერი** ფერით სანთლის მსგავსი, – ყვითელი, გაფითრებული, მკვდრისფერი (ადამიანზე იტყვიან)

**საფირონისფერი** რაც ფერით საფირონს მოგვაგონებს

**საღებარი** იგივეა, რაც პიგმენტი

**სვილისფერი** მკრთალი შავგვრემანი

**სიბნელე** ბნელის თვისება, – ბნელობა

**სითეთრე** თეთრის თვისება, თეთრი ფერის ქონა; თეთრი ფერი

**სიკვდილისფერი** ძალიან მკრთალი

**სინათლე** რამე წყაროს მიერ გამოსხივებული შუქი, ნათელი

**სინათლიანი** სინათლის მქონე, – ნათელი, განათებული

**სისვი** ლეგა, რუხი ფერი

**სისხლისფერი** მუქი წითელი

**სიყვითლემორეული** ვისაც ყვითელი ფერი, სიყვითლე აქვს მორეული

**სიწითლე** წითლის თვისება, – წითელი ფერის ქონა; წითელი ფერი

**სიჭრელე** ჭრელი ფერის ქონა; ჭრელი ფერი

**სპეტაკი** ძალიან თეთრი

**სპექტრი** სხვადასხვა ფერის ზოლი, რომელიც მიიღება გამჭვირვალე პრიზმაში თეთრი სხივის გავლის დროს

**სპილენძისფერი** რაც ფერით სპილენძს მოგვაგონებს, – მოწითალო-მოყვითალო

**სრე** კუთხ. (ქართლ. კახ.) იგივეა, რაც სრელა

**სრელა** კუთხ. (ქართლ. კახ.) განსხვავებული ფერის ზოლი

**სრელა-სრელა, სრელადასრელა** კუთხ. (ქართლ. კახ.) იგივეა, რაც ზოლზოლად

**სრესრე** ზოლებად, ზოლზოლად

**სტაფილოსფერი** რასაც სტაფილოს ფერი აქვს, – მოყვთალო წითელი

**სუროსფერი** რაც ფერით სუროს მოგვაგონებს, – მუქი მწვანე

**სხვადასხვაფერი** სხვადასხვა ფერისა, ერთმანეთისაგან განსხვავებული ფერისა

**სხივთკონა** ერთი მბრწყინავი წერტილიდან, ერთი მანათობელი წყაროდან მრავლად გამომავალი სხივები

**სხივთტეხა** სხივების გარდატეხა გარკვეულ არეში გავლისას

**სხივი** სინათლის ვიწრო ზოლი, რომელსაც გამოსცემს მანათობელი სხეული, – შუქი

**სხივიანი** მოელვარე, მბრწყინავი, ნათელი

**სხივიერობა** სხივიერის თვისება, – ბრწყინვალება

**სხივმფენი** სხივის მომფენი, რაც სხივებს აფრქვევს, გამომასხივებელი

**სხივოსანი** სხივთა მფრქველი

**სხივფენილი** რასაც სხივი მოეფინა

**სხივჩამდგარი** სხივით განათებული, – სხივმოფენილი

**სხივცისკროვანი** ნათელმოსილი, გაცისკროვნებული, ბრწყინვალე

**სხურებული** ერთმანეთში არეული, შერეული ფერი; დაწინწკლული

## ტ

**ტიაცი** კუთხ. (იმერ.) თვალის მომჭრელი, კაშკაშა სინათლე; მკვეთრი, მჭახე ფერი

**ტრედისფერი** ტრედისფრად იხ. მტრედისფრად

**ტყვიისფერი** რაც ფერით ტყვიას მოგვაგონებს, – მუქი ნაცრისფერი, რუხი

## უ

**უბრწყინავს** ბრწყინავს მისი, უელვარებს, – უბრჭყვიალებს

**უბრწყინვალესი** უფრო ბრწყინვალე; ყველაზე ბრწყინვალე

**უბრჭყვიალებს** ბრჭყვიალებს მისი, – უბრწყინავს, უბზინავს

**უელავს** ელავს მისი, – უბრწყინავს

**უელვარებს** ელვარებს მისი, – უელავს

**უკუნეთი** დიდი სიბნელე, – წყვდიადი

**უფერო** იგივეა, რაც უფერული

**უფერული** ფერმკრთალი, ფერმიხდილი, ფერდაკარგული, უფერო

**უციმციმებს** ციმციმებს მისი, – უკრთის

**უჭრელდება** ჭრელდება მისი, – ჭრელი უხდება

**უხუნარი** რაც არ ხუნდება, – ფერუცვლელი, გაუხუნებელი

**უხუნო** კუთხ. (ქიზ.) რაც არ ხუნდება, – უხუნარი, გაუხუნებელი

## ფ

**ფერადდება** ფერადი ხდება, აფერადებენ, ჭრელდება

**ფერადი** სხვადასხვა ფერისა, ნაირნაირი ფერისა, ჭრელი

**ფერადკანიანი** ვისაც (რასაც) ფერადი (შავი, ყვითელი...) კანი აქვს

**ფერადობს** ფერადია, ნაირნაირი ფერისად ჩანს

**ფერადოვანი** იგივეა, რაც ფერადი

**ფერად-ფერადი** სხვადასხვა, ნაირ-ნაირი ფერისა, ჭრელი, ჭრელჭრელი

**ფერავს** ლითონის საგნებს (ოქროს, ვერცხლის) ფერს ადებს

**ფერგადასული** რასაც ფერი აქვს გადასული, ფერდაკარგული, გახუნებული

**ფერგამკრთალი** იხ. ფერმკრთალი

**ფერგამოცვლილი** რასაც ფერი გამოცვლილი აქვს, ფერშეცვლილი

**ფერგახუნებული** იგივეა, რაც გახუნებული

**ფერი** შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს თვალზე საგნის მიერ ანარეკლი სინათლე

**ფერითი** ფერის დამახასიათებელი, ფერთან დაკავშირებული

**ფერმილეული** ვისაც ფერი აქვს მილეული, ფერმკრთალი

**ფერმიხდილი** ვისაც ან რასაც ფერი აქვს მი-ხდილი, ფერდაკარგული, ფერმკრთალი

**ფერმკრთალდება** ფერმკრთალი ხდება, ფერი ეკარგება

**ფერმკრთალი** მკრთალი ფერისა

**ფერნაკლულობა** ფერმკრთალობა, უფერუ-ლობა

**ფერნაკრთობი, ფერნამკრთალები, ფერნამ-კრთალევი** იგივეა, რაც ფერმკრთალი

**ფერნამკრთალობა** იგივეა, რაც ფერმკრთა-ლობა

**ფერნაქცევი** ვისაც ან რასაც ფერი ექცა, – ფერ-ნაცვალი

**ფერნაცვალი** ვისაც ან რასაც ფერი ეცვალა, ფერშეცვლილი, ფერნაქცევი, გახუნებული

**ფეროʼ** რუხი

**ფერობა** იგივეა, რაც ფერი, ფეროვნება

**ფეროვანი** სხვადასხვა ფერისა, ფერადი

**ფეროვნება** ფეროვანის თვისება, ფერიანობა

**ფერსავსე** ფერიანი, ფეროვანი

**ფერუცვლელი** რასაც ფერი აქვს უცვლელი, გაუხუნარი

**ფერქცეული** ფერშეცვლილი, ფერწასული; გახუნებული

**ფერშეუცვლელი** რასაც ფერი შეუცვლელი აქვს

**ფერშეცვლილი** რასაც ფერი აქვს შეცვლილი, გახუნებული

**ფერჩატეტკილი** კუთხ. (ქართლ. იმერ.) ფერდაკარგული, ფერმკრთალი, გაფითრებული

**ფერწასული** უფერული, გახუნებული

**ფერწერა** ფერებით, საღებავებით ხატვის ხელოვნება

**ფერწითელი** ფერად წითელი, წითელი ფერისა

**ფესანგი** ჭრელი ცხოველი

**ფირუზისფერი** რაც ფერით ფირუზს მოგვაგონებს, ცისფერი

**ფოლადისფერი** მოვერცხლისფრო

**ფორაჯი** იხ. ფორეჯი

**ფორეჯებიანი** იგივეა, რაც ფორეჯიანი

**ფორეჯი** დიდი წინწკალი, ხალი სხეულზე, ქსოვილზე, ბეწვზე...

**ფორეჯიანი** ფორეჯების მქონე, დაწინწკლული

## ქ

**ქარვისფერი** რაც ფერით ქარვას მოგვაგონებს – ყვითელი ფერისა

**ქარქარა** ძლიერ თეთრი, თოვლივით თეთრი, ქათქათა

**ქერა** ბაცი ყვითელი, თაფლისფერი, ჩალისფერი თმა

**ქიხორი** კუთხ. (იმერ.) შავი და თეთრი ფერი ერთად არეული

**ქუფრავს** აშავებს, აბნელებს

**ქუფრი** შავი, ბნელი

## ღ

**ღადღადი** ძლიერ ნათება; ელვარება, კაშკაში, ბდღვრიალი

**ღანძილისფერი** რაც ფერით ღანძილს მოგვაგონებს, მუქი მწვანე

**ღაჟღაჟა** რაც ღაჟღაჟებს, ელვარე წითერლი ფერის მქონე

**ღაჟღაჟებს** ღაჟღაჟი გააქვს, – წითლად ღუის, წითლად ელვარებს

**ღაჟღაჟი** წითლად ელვარება, წითლად ბრწყინვალება

**ღაღანი** ფერადი ციმციმი, ფერის ელვარება, ბზინვა, ხასხასი

**ღაშღაში** კუთხ. (ფშ.) იგივეა, რაც ღაჟღაჟა

**ღებავს** საღებავით ფერს უცვლის, აფერადებს

**ღებული** იგივეა, რაც შეღებილი

**ღვარალეები, ღვერელეები** კუთხ. (ზ.-იმერ.) ზოლები

**ღვარალეებიანი, ღვერელეებიანი** კუთხ. (ზ.იმერ.) რასაც ღვარალეები, ღვერელეები აქვს, ზოლიანი ნაქსოვი

**ღვედიანი** კუთხ. (ხევს., ლეჩხ.) ზოლიანი

**ღვედ-ღვედად** ღვედის მსგავსად, ზოლ-ზოლად

**ღვივის** წითლად ელვარებს

**ღვინისფერი** წითელი ღვინის ფერის მქონე; მოშავო წითელი

**ღია** ნათელი, არა მუქი, ბაცი ფერი

**ღიღილოსფერი** ლურჯი

**ღოღნოშოსფერი** რაც ფერით ღოღნოშოს მოგვაგონებს, – მუქი ლურჯი

**ღუდღუდი** კაშკაშა წითელი ფერის გამოცემა

**ღუის** გამოჩანს, გამოჭვივის (წითლად, ყვითლად...,) ღვივის

## ყ

**ყავისფერი** რაც ფერით ყავას მოგვაგონებს, მიხაკისფერი

**ყანჩი** მუქი ფერი

**ყარაჩი** ძალიან შავგვრემანი

**ყვითა** ყვითელი ფერის საღებავი

**ყვითელი** ერთ-ერთი შვიდ ძირითად ფერთაგანი

**ყვითელ-მწვანე** ყვითელი და მწვანე, მოყვითალო-მომწვანო

**ყვითლდება** ყვითელი ხდება

**ყვიჟილო** ლურჯისა და იისფერის საშუალი

**ყვირჭი** ძვ. 1. დალაქული. 2. შავი ფერი

**ყირმიზა** ყირმიზი, წითელი ფერისა, წითური

**ყირმიზი** წითელი, წითელი ფერისა

**ყისინა** კუთხ. (ქიზ.) ღვიძლისფერი, წენგოსფერი

**ყომრალი** მუქი ნაცრისფერი

**ყორნისფერი** ძალიან შავი

**ყურუმი** კუთხ. (იმერ.) იხ. ყურყუმი

**ყურყუმა** ვისაც, რასაც სიშავე, სიბნელე ახასიათებს

**ყურყუმელი** კუთხ. (ლეჩხ.) იგივეა, რაც ყურყუმი

**ყურყუმი** კუთხ. (იმერ. გურ.) ძლიერ შავი, ძლიერ ბნელი

**ყურჭი** ძლიერ შავი

**ყუყა** კუთხ. (ქიზ.) მეტად შავი

## შ

**შავდება** შავი ხდება, შავ ფერს იღებს, შავად იღებება

**შაველა** კუთხ. (მოხევ.) ბნელი, ჩაშავებული

**შავვერცხლისფერი** ვერცხლისფრად მოელვარე შავი

**შავ-თეთრი** შავი და თეთრი ფერით ჭრელი

**შავი** ყველა ფერზე მუქი, ნახშირის, გიშრის ფერი

**შავლეგა** ძალიან მუქი ლეგა

**შავმოელვარე** შავად მოელვარე

**შავფერი** შავი ფერისა

**შავ-ყვითელი** მოშავო ყვითელი

**შავშავი** საკმაოდ შავი

**შავჭრელი** შავი თეთრით აჭრელებული

**შაქრისფერი** ღია ხორბლისფერი

**შეაფერადებს** რაიმე ფერად შეღებავს, რამე ფერს მისცემს; შეფერავს

**შეაყვითლებს** მცირედ გააყვითლებს, მოყვითალო ფერს დასდებს

**შეაწითლებს** ოდნავ გააწითლებს

**შეაჭრელებს** აქა-იქ ოდნავ ააჭრელებს

**შეეღებება** შეიღებება მისი ან მისთვის, საღებავით სხვაფერი გაუხდება

**შეიფერება** შეფერავენ; რისამე ფერი მიეცემა, შეიღებება, შეფერადდება

**შეიღებავს** შეღებავს თავისას ან თავისთვის

**შეიღებება** შეღებავენ; შეღებვა შესაძლებელი იქნება

**შელაქული** იგივეა, რაც გალაქული

**შემუქდება** მუქი ფერი მიეცემა, ცოტათი გამუქდება

**შემფერადებელი** ვინც შეაფერადებს, – გამფერადებელი

**შემწვანდება** ცოტათი გამწვანდება

**შემწვანებული** რაც შემწვანდა, ცოტათი ამწვანებული

**შესაფერადებელი** რაც უნდა შეაფერადონ ან შეფერადდეს,– შესაღებავი

**შეუფერადდება** შეფერადდება მისი, – ფერადი გაუხდება

**შეუფერადებს** შეაფერადებს მისას ან მისთვის

**შეუყვითლდება** შეყვითლდება მისი, ოდნავ გაუყვითლდება

**შეფერადდება** ფერადი გახდება, სხვა ფერი მიეცემა, შეიღებება

**შეფერადება** რაიმე ფერად შეღებვა, როგორიმე ფერის მიცემა, გაფერადება, შეფერვა

**შეფერადებული** რაც შეაფერადეს ან შეფერადდა

**შეფერავს** რაიმე ფერად შეღებავს, შეაფერადებს

**შეფერვა** შეფერილობა, ფერი

**შეფერილი** რაც შეიფერა ან შეფერეს, შეღებილი, შეფერადებული

**შეფერილობა** შეღებილობა, შეფერვა, ფერი, ფეროვნება

**შეღებავს** საღებავით შეფერავს, საღებავით ფერს შეუცვლის; სხვა ფერს მისცემს

**შეღებილი** რაც შეღებეს ან შეიღება, საღებავით... ფერშეცვლილი, შეფერილი

**შეყვითლდება** ყვითელი ფერი დაედება, მცირედ გაყვითლდება, სიყვითლე შეეპარება

**შეწითლება** ცოტათი გაწითლება, აწითლება, შეფაკლება

**შეწითლებული** ცოტათი გაწითლებული

**შეწინწკლული** ცოტათი დაწინწკლული

**შეჭარხლდება** ჭარხალივით გაწითლდება

**შეჭრელდება** ჭრელი გახდება, აქა-იქ, ოდნავ აჭრელდება

**შეჭრელება** აქა-იქ, ოდნავ აჭრელება, სიჭრელის შერევა

**შვიდფერა** იგივეა, რაც შვიდფერი

**შვიდფერი** შვიდი ფერისაგან შემდგარი, – შვიდფეროვანი

**შვიდფეროვანი** იგივეა, რაც შვიდფერი

**შვიდძალი** შვიდზოლიანი, შვიდხაზიანი

**შვინდისფერი** რაც ფერით შვინდს მოგვაგონებს, მუქი წითელი

**შინდისფერი** იგივეა, რაც შვინდისფერი

**შოკოლადისფერი** რაც ფერით ყავას გვაგონებს,– ყავისფერი

**შუქასხმული** შუქით მოცული, შუქიანი

**შუქელვა** ელვარე შუქი, ელვისებრი შუქი

**შუქელვარება** შუქის ელვარება

**შუქი** 1. თვალის მიერ აღქმული სხივური ენერგია, რის მეოხებითაც ირგვლივ მყოფი საგნები ხილული ხდება, სინათლე. 2. სინათლის ზოლი, რომელსაც გამოსცემს მანათობელი სხეული, – სხივი

**შუქმოფენილი** რასაც ან ვისაც შუქი აქვს მოფენილი, გაშუქებული, განათებული

## ჩ

**ჩაამუქებს** რამეში გაამუქებს, – ჩააშავებს

**ჩააყვითლებს** ყვითელი ფერისას გახდის, ყვითელ ფერს მისცემს

**ჩააშავებს** შავს გახდის, შავ ფერს მისცემს, – ჩაამუქებს

**ჩააშუქებს** სხივს ჩაუშვებს, – ჩაანათებს

**ჩაბნელებული** რაც ჩააბნელეს ან ჩაბნელდა, – ბნელით მოცული, დაბნელებული

**ჩაიბნიდება** ჩაბნელდება

**ჩაისფერი** რაც ფერით ჩაის ნაყენს გვაგონებს, – მუქი ჩალისფერი

**ჩაკრიალებული** რასაც კრიალი გააქვს

**ჩაკუპრული** რაც ჩაიკუპრა, – კუპრივით ჩაშავებული

**ჩალაქავებული** რასაც ლაქები ჩასჯდომია, – დალაქავებული

**ჩალაცხენი** ჩალისფერი ცხენი

**ჩალილავება** ლილისფრად გახდომა, ჩალურჯება

**ჩალისფერი** რაც ფერით ჩალას მოგვაგონებს, ბაცი ყვითელი

**ჩალურჯდება** შიგ დალურჯდება

**ჩამოაბნელებს** სიბნელეს მოჰფენს ქვევით მყოფს

**ჩამოაწითლებს** წითლად შეღებავს, ჩამოსწვრივ გააწითლებს

**ჩამოგვალული** გარუჯული, გადამწვარი

**ჩამოქარვული** ქარვასავით ჩამოყვითლებული

**ჩამოყვითლდება** სიგრძივ გაყვითლდება

**ჩამუქდება** მუქი გახდება, მუქ ფერს მიიღებს

**ჩანაყვითლი** რაც ჩაყვითლდა, – ჩაყვითლებული

**ჩანაცრდება** მთლად განაცრისფერდება, – გაფითრდება

**ჩაპეპლილი** პეპელასავით ჭრელი

**ჩაჟამებული** ჩამუქებული, ჩაშავებული

**ჩატეტკილი** ფერდაკარგული

**ჩაუწითლდება** შიგ გაუწითლდება

**ჩაფერიანებული** ვინც ან რაც ფერიანი გახდა, ვისაც ან რასაც ფერი მიეცა

**ჩაქათქათებული** იგივეა, რაც ქათქათა

**ჩაქარვებული** ქარვასავით ჩაყვითლებული ყურძენი...

**ჩაქსულა** ზოლიანი ქსოვილი

**ჩაღამებული** ჩაბნელებული

**ჩაღვიძლებული** ღვიძლისფრად, მუქად ჩაწითლებული

**ჩაღო** კუთხ. (თუშ.) ღია, ცინცხალი ფერი

**ჩაყვითლდება** ყვითელი გახდება, ყვითელი ფერი დაედება, გაყვითლდება

**ჩაყვითლებული** ვინც ან რაც ჩაყვითლდა, – ყვითლად ქცეული, გაყვითლებული

**ჩაშავდება** შავი ფერი დაედება, შავი გახდება, ჩამუქდება

**ჩაცრეცილი** რაც ჩაეცრიცათ, – ფერდაკარგული, გაფითრებული

**ჩაწითლებული** ვინც ან რაც ჩაწითლდა, _ შიგ გაწითლებული

**ჩაწინწკლული** წინწკლებით აჭრელებული, წინწკლებიანი

**ჩაწყვდიადებული** წყვდიადით მოცული, – ჩაბნელებული

**ჩახჩახა** კაშკაშა, მოელვარე, მბრწყინავი

**ჩახჩახი** კაშკაში, ბრწყინვა, ელვარება

**ჩაჯიგრებული** კუთხ. (ქართლ.) მუქი წითელი, ჩაწითლებული სახე...

**ჩერო** იგივეა, რაც ჩრდილი

**ჩითა** ჩითივით ჭრელი

**ჩინი** „ზეთისხის ფოთლის ფერი“ (საბა). || ფერი

**ჩირდილი** მზეს მოფარებული ადგილი

**ჩიჩხი** კუთხ. (იმერ.) ღია ჭრელი თვალები

**ჩრდილი** ცალი მხრიდან განათებული საგნის მუქი გამოსახულება მეორე მხარეს, – ლანდი

**ჩრდილიანი** რასაც ჩრდილი აფენია, – ჩრდილით დაფარული

**ჩრდილმიმდგარი** რასაც ან ვისაც ჩრდილი აქვს მიმდგარი, – ჩრდილით დაფარული

**ჩრდილმიყენებული** რასაც ჩრდილი მიაყენეს ან მიადგა

**ჩრდილნათელი** ნათელი და მუქი ჩრდილოვანი შტრიხების განლაგება ნახატზე (გამოსახვის ერთერთი ხერხია მხატვრობაში)

**ჩუთრი** ცეცხლისაგან დაწითლებული ადგილები, ფორეჯები წვივებზე

**ჩხატიანი** კუთხ. (რაჭ.) ჩხია, ჭრელი თვალების მქონე

**ჩხია** კუთხ. (იმერ. ლეჩხ. რაჭ.) ღია ჭრელი, ჭროღა თვალები

## ც

**ცეცხლისფერი** რაც ფერით ცეცხლს მოგვაგონებს, – ალისფერი

**ცვილისფერი** გაყვითლებული, სანთლისფერი

**ციაგი** მოციმციმე, მოკიაფე

**ციაგლურჯი** ღია ლურჯი, – მოლურჯო

**ციაგმკრთალი** ძალიან მკრთალი, – ცრიატი, გაცრიაგებული

**ციალებს** კრთის სხივი, ციმციმებს

**ციალი** «მცირე რამ ელვარება» (საბა), – ციმციმი

**ციალ-კიალი** ციალი და კიალი; გამუდმებით ციალი

**ციატი** მკრთალი, ღია ფერისა

**ცილისფერი** რაც ფერით ცილას მოგვაგონებს, – მოყვითალო თეთრი

**ციმი** ღია ფერის ლაქა მუქ ფონზე

**ციმციმი** სხივის კრთომა, – ლიფლიფი, ციალი, კიაფი

**ცინცხალი** ბრჭყვიალა; ხასხასა

**ცისარტყელა** შვიდფერა რკალი ცაზე

**ცისკროვანი** ცისკარივით ნათელი, ბრწყინვალე

**ცისფერთვალა** ვისაც ცისფერი თვალები აქვს

**ცისფერთვალებიანი** იგივეა, რაც ცისფერთვალება

**ცისფერი** რაც ფერით ცას მოგვაგონებს, – ღია ლურჯი

**ცრიაგი** მკრთალი, ფერმკრთალი, ღია ფერისა

**ცრიატდება** ცრიატი ხდება, – მკრთალდება

**ცრიატი** მბჟუტავი, მკრთალი სინათლე; ღია, ბაცი ფერისა, – ციატი

**ცქრიალი** ციმციმი, კამკამი, კიაფი

**ცხვრისფერი** ცხვრის თვალების ფერი თვალი, – ჭროღა

**ძოწეული** ძოწის, მარჯნის ფერი, ბროწეულის ყვავილის ფერი

**ძოწი** ძოწისფერი წითელი

**ძოწისფერი** რაც ფერით ძოწს მოგვაგონებს, – ძოწეული

# წ

**წაბლა** რაც ფერით წაბლს მოგვაგონებს, – წაბლისფერი; ითქმის უპირატესად ხარის, ცხენის... ფერზე

**წაბლისფერი** რაც ფერით წაბლს მოგვაგონებს, – წაბლა, ქღალი, თაფლა

**წათეთრო** რასაც თეთრი ფერი გადაჰკრავს, – მოთეთრო

**წალურჯო** რასაც ლურჯი ფერი გადაჰკრავს, – მოლურჯო

**წამალი** იგივეა, რაც საღებავი

**წამოაწითლებს** წითელ ფერს დაადებს, – შეფაკლავს, შეაწითლებს

**წამოეგზნება** წამოუწითლდება, შეუხურდება სახე

**წამოიჭეხება** წამოწითლდება, წამოჭარხლდება

**წამოუკვერდება** დაებრაწება, წამოუწითლდება ლოყები

**წამოფაკლდება** შეფაკლდება, წამოწითლდება

**წამოჭარხლდება** მეტისმეტად გაწითლდება სახეზე

**წამოჭვიებული** რაც გამოსჭვივის, – გამონათებული

**წამწვანო** რასაც მწვანე ფერი გადაჰკრავს, – მომწვანო

**წარნაქი** წითელი საღებავი

**წარუხო** რასაც რუხი ფერი გადაჰკრავს, – მორუხო

**წაყვითანო** წაყვითალო

**წაყვითლო** რასაც ყვითელი ფერი გადაჰკრავს, – მოყვითალო

**წაწითალო** რასაც წითელი ფერი გადაჰკრავს, – მოწითალო

**წაწითლდება** ცოტათი გაწითლდება, – შეწითლდება

**წენგოსფერი** რაც ფერით წენგოს ნახარშს მოგვაგონებს, მუქი ყავისფერი

**წვანე** იხ. მწვანე

**წვეთანკარა** რასაც ანკარა წვეთი აქვს

**წიაღი** მომწვანო-მოყავისფრო

**წითელი** სისხლისფერი, ჭიაფერი, ძოწისფერი

**წითელკოპლებიანი** რასაც წითელი კოპლები აქვს

**წითელ-ლურჯი** წითელი და ლურჯი ფერისა; წითელი, რომელსაც ლურჯი გადაჰკრავს

**წითელმორეული** სიწითლემორეული, მოწითალო

**წითელმურა** რუხ-წითელი, შავ-წითელი, ჟანგისფერი

**წითელ-ყვითელი** რაც წითლად და ყვითლად არის შეფერადებული

**წითელ-წითელი** მრავალი წითელი

**წითლდება** წითელ ფერს იღებს, წითელი ფერისა ხდება

**წითს** წითლად ანათებს, წითელი ფერი აძევს

**წითური** ფეროვანი, ღაჟღაჟასახიანი

**წიმარო** კუთხ. (ფშ.) წმინდა, სუფთა, ანკარა წყალი და მისთ.

**წინწკალი** ფერადი წერტილი ერთფერ მიწაზე, ფონზე

**წკრიალა** რასაც წკრიალი(ლაპლაპი) გააქვს

**წკრიალებს** ბრწყინავს, ლაპლაპებს; კრიალებს

**წკრიალი** ბრწყინვა, ლაპლაპი, კრიალი

**წყვდიადი** ძალიან ბნელი, უკუნი

**წყლისფერი** ოდნავ მონაცრისფრო; ჟღალი

# ჭ

**ჭადრაკული** უჯრედებიანი ჭადრაკივით

**ჭარხლისფერი** მუქი წითელი

**ჭაღარა** 1. თმაში გარეული თეთრი. 2. თეთრგარეული თმა, წვერი...

**ჭევრი** ჭრელჭრელი; მკვეთრი

**ჭერმისფერი** რაც ფერით ჭერამს მოგვაგონებს, – მოწითალო ყვითელი

**ჭეჭელია** კუთხ. (რაჭ.) იგივეა, რაც ჭრელი

**ჭეხეწითელი** კუთხ. (რაჭ.) ღია წითელი

**ჭვარტლისფერი** რაც ფერით ჭვარტლს მოგვაგონებს, – შავი

**ჭვარჭვალიტა** კუთხ. (იმერ. გურ.) წინწკლებით აჭრელებული, – წინწკლებიანი

**ჭვირი** ძვ. შუქი

**ჭვირობა** გამჭვირვალობა

**ჭიატა** ციმციმა, ბრჭყვიალა

**ჭიაფერი** წითელი

**ჭინჭორედა** მეტად ჭრელი

**ჭიღრა** ძვ. თვალჭრელი

**ჭორფლა** ჭორფლიანივით აჭრელებული, – წვრილკოპლებიანი ცხენი

**ჭორფლი** მოყავისფრრო წვრილი წინწკლები სახეზე ან ხელებზე, ჩვეულებრივ გაზაფხულ-ზე უჩნდებათ

**ჭორფლიანი** დაწინწკლული, წინწკლებიანი

**ჭრელა-ჭრულა** იგივეა, რაც ჭრელ-ჭრული

**ჭრელდება** ჭრელი, ნაირფერი ხდება

**ჭრელი** 1.რასაც სხვადასხვა ფერი აქვს, – ნაირ-ფერადი. 2. მარჩხი, ჭროღა თვალი

**ჭრელობა** ნაირსახეობა, სხვადასხვაფერობა, სიჭრელე

**ჭრელ-წითელი** წითლით აჭრელებული

**ჭრელ-ჭრელი** მრავალი ჭრელი; სხვადასხვა ფერისა, ნაირფერი

**ჭრელ-ჭრული** ჭრელ-ჭრელი; აჭრელებული

**ჭრომახი** კუთხ. (იმერ.) ჭრელი, ჭროღა

**ჭროღა** მოყავისფრო ჭრელი

**ჭყანა** კუთხ. (გურ.) ჭროღა, ჭრელი თვალი, ხვლიკისფერი

**ჭყარტალა** უგვანი ჭრელი, – ჭყატანა

**ჭყატანა** იგივეა, რაც ჭყარტალა

**ჭყიმა** კუთხ. (რაჭ). ჭროღა, ჭრელი თვალი

**ჭყრიალი** იგივეა, რაც ბრჭყვიალი

# ხ

**ხავსისფერი** რაც ფერით ხავსს მოგვაგონებს, – მუქი მწვანე

**ხაკი** მოყავისფრო მწვანე

**ხაკისფერი** მოყავისფრო მწვანე, – ხაკი

**ხაჟო** კუთხ. (გურ.) ჭრელი, ლაქებიანი( მაგ., ლობიო)

**ხასყირმიზი** კუთხ. (ქიზ.) ღვინისფერი

**ხასხასა** რაც ხასხასებს, – კრიალა, ცინცხალი მწვანე..

**ხასხასი** მკვეთრი მწვანე ფერის გამოცემა, მწვანედ ელვარება

**ხაშხაშა** იგივეა, რაც ღაჟღაჟა

**ხაჩხაჩა** კუთხ. (კახ. თუშ.) იგივეა, რაც ხასხასა

**ხაცავს** კუთხ. (ხევს.) თვალს სჭრის თოვლი, სინათლე...

**ხახვისფერი** რაც ფერით ხახვს მოგვაგონებს, – მკრთალი მოლურჯო-მოწითალო

**ხვლიკისფერი** რაც ფერით ხვლიკს მოგვაგონებს, – მომწვანო ნაცრისფერი

**ხმელეთზურმუხტი** ზურმუხტოვანი, აყვავებული ხმელეთის მქონე

**ხორბლისფერი** რაც ფერით ხორბალს მოგვაგონებს, – შავგვრემანისა და თეთრის საშუალო კანი

**ხორცისფერი** რაც ფერით ადამიანის ხორცს მოგვაგონებს, ხორცთან შეხამებული ფერი, – პირისფერი || მოვარდისფრო ჩალისფერი

**ხოხბისფერი** რაც ფერით ხოხობს მოგვაგონებს, – ცისფრად მოლივლივე ჭრელი

**ხსედი** ღია წაბლისფერი ცხენი

**ხუნდება** ფერი ეკარგება, – ბაცდება, უფერულდება

**ხუნებადი** რაც ადვილად ხუნდება

## ჯ

**ჯავარი** მბრწყინავი, მოელვარე

**ჯავარიანი** ჯავარის მქონე, – მბრწყინავი, მოციმციმე, მოელვარე

**ჯაჭვედა** ჭრელი, თეთრშავი ქათამი

**ჯაჭვისებრი** იხ. ჯაჭვედა

**ჯაჭო** ლამაზი ჭროღა (თვალები)

**ჯვარელა** კუთხ. (ფშ.) შავთეთრად ჭრელი ხარი ან ფური

**ჯიგარი** კუთხ. (თუშ.) თალხი ფერის ქსოვილი

**ჯიგრისფერი** რაც ფერით ჯიგარს (ღვიძლს) მოგვაგონებს, – შავწითელი; მუქი წითელი

**ჯორა** 1. მუქი წითელი ან წაბლისფერი საქონელი 2. კუთხ. (იმერ. რაჭ.) მუქი წითელი, – ღვინისფერი, ჯორაფერი

**ჯორაფერი** მოწითალო-მოშავო; მუქი წითელი, – ჯორა

**ჯღატარა** ჭრელი, ჭროღა თვალების მქონე

# შეხება

ა

**ათხელებს** სიფრიფანად აქცევს, – აბრტყელებს

**ალიყური** სილის გარტყმა, გაწვნა

**ამოუშუშხავს** ამოშუშხავს მისას, – ამოსწვავს

**ასქელებინებს** ავალებს გაასქელოს

**ასქელებს** სქელს ხდის, სისქეს უმატებს

**აფათურებს** ხელებს აფათურებს – ხელებს საეგებისოდ აქეთ-იქით ამოძრავებს რისამე ძებნისას

ბ

**ბამბისქულა** რბილი, ფუნჩულა, ფაფუკი

**ბასრი** მეტად მჭრელი

**ბლაგვი** არაბასრი

**ბოშდება** მოშვებული, ფომფლე ხდება

**ბოში** მოშვებული, ფომფლე, ფონე

**ბუხულა** ფუნჩულა, ბუნჩულა

გ

**გაარტყამს** შემოჰკრავს

**გაასილაქებს** კუთხ. (კახ., იმერ., გურ.) სილაქს ზედიზედ გააწნავს, შემოჰკრავს

**გაასრიალებს** სრიალით წაიღებს,– გააცურებს

**გააწნავს** შემოჰკრავს, გაარტყამს (სილას)

**გალიპული** გასიპული, სრიალა, მოლიპული

**გამომწვარი** გამოშუშხული, დათუთქული, დამწვარი

**გამო-ჰ-ფხანს** ქვემოდან (იქიდან) აქეთ მოჰფხანს

**გამჭრე** იგივეა, რაც მჭრელი

**გარბილდება** რბილი გახდება, – დარბილდება

**გასიპული** ძლიერ გაყინული, სრიალა

**გატკეცილი** რაც გატკიცეს, – გასწორებული, გატკეპნილი

**გახორკლიანებული** იგივეა, რაც ხორკლებიანი

**გლუ** სწორი, უხორკლო, სრიალა, სადა ზედაპირი

## დ

**დააპანღურებს** პანღურს ამოჰკრავს; პანღურის კვრით გააგდებს

**დაისუსხება** აეწვება კანი...

**დაიშუშხება** იგივეა, რაც დაისუსხება

**დაიწვავს** იგივეა, რაც დაეწვება

**დაუბლაგვებს** ბლაგვს, ჩლუნგს გაუხდის

**დაულაბრებს** დაუბლაგვებს, დაუჩლუნგებს

**დაუჩლუნგებს** დააჩლუნგებს მისას, – ჩლუნგს გაუხდის, დაუბლაგვებს

**დახაოიანება** ხაოს გაჩენა, ხაოიანად ქცევა, ხაოიანის გაკეთება

**და-ჰ-ფხანს** წაუსვამს ქავილის გასაქარვებლად, – მოჰფხანს ბევრგან

## ე

**ეღიტინება** ღიტინს გრძნობს, ღიტინისაგან ღიზიანდება, – ეღუტუნება

**ეღუტუნება** იგივეა, რაც ეღიტინება

**ეხიცინება** კუთხ. (იმერ., გურ.) იგივეა, რაც ეღიტინება

## თ

**თათუნი** ხელის შეხებით მოფერება

**თხელი** მცირე სისქისა

## ი

**იკბინება** სუსხავს; ისუსხება, იშუშხება.

**იფხანს** ხელს ისვამს ქავილის გასაქარვებლად

**იქექავს** ქექავს თავისას. || იფხანს

## კ

**კაწრავს** ფრჩხილებით, ბრჭყალებით სერავს

**კბენა** ცხოველის, ქვეწარმავლის, მწერისა და მისთ. კბილებით, ნესტრით ჭრილობის მიყენება.

**კოცნა** სიყვარულის, ალერსის, პატივისცემის გამოსახატავად ტუჩებით შეხება,

## ლ

**ლიპი** ქონის ან ლორწოს თხელი ფენით დაფარული სრიალა ზედაპირი

**ლიპიანი** იხ. ლორწოიანი

**ლირტყვი** კუთხ. (რაჭ.) ლორწოიანი

**ლოპრიანი** სველი, სრიალა

**ლორწო** წებოვანი და ლიპი სითხე, რომელსაც გამოყოფს ცხოველთა და მცენარეთა ორგანიზმების ზოგი უჯრედი

**ლორწოვანი** ლორწოთი დაფარული

**ლორწოიანი** იგივეა, რაც ლორწოვანი

## მ

**მესხლეტი** რაც ისხლეტს, – სრიალა, მოლიპული

**მოაფათურებს** ხელ[ებ]ს მოაფათურებს, ფათურით მოსინჯავს, – ხელ[ებ]ს აქეთიქით მიუსვ-მოუსვამს რასმე ძებნისას.

**მოეფერება** ფერებას დაუწყებს, – მოეალერსება

**მოეფხანება** ფხანა დაეწყება, – მოექავება

**მოექავება** ქავილი დაეწყება, – მოეფხანება

**მოლიპული** გასიპული, სრიალა

**მოუთათუნებს** იგივეა, რაც მოუცაცუნებს

**მოუფათურებს** მიუსვ-მოუსვამს ვისმე ან რასმე

**მოუცაცუნებს** ცაცუნით, ოდნავ შეხებით, მო-უსვამს ჩვეულებრივ – ხელს, თითებს

**მოფხანს** ხელს, ფრჩხილებს... წაუსვამს ქავი-ლის გასაქარვებლად, – დაფხანს

**მოქავება** ქავილის დაწყება, მსუბუქად მო-ფხანა

**მოცივო** ოდნავ ცივი

**მსუსხავი** რაც სუსხავს, – მშუშხავი

**მსხვილი** დიდი სისქისა, – სქელი (საპი-რისპ. წვრილი)

**მქისი, მქისე** 1. ძვ. „დამუხვილი, დამშხალუ-ლი, გინა ხორკლიანი რამ“ (საბა), – დაბზარუ-ლი, დახეთქილი. 2. ხეშეში, უხეში, ტლანქი

**მშრალი** რაც გაშრა, – სისველეს, სინოტივეს მოკლებული

**მშუშხავი** რაც შუშხავს, მსუსხავი

**მჭრელი** ვინც ან რაც ჭრის, – მკვეთელი

## ნ

**ნაზი** თხელი (კანი...); რბილი (მატყლი...)

**ნაზ-ფუნჩულა** ნაზი და ფუნჩულა

## ო

**ოთლო-თოთლო** ჩვილი, რბილი, თონთლო

## პ

**პირბასრი** რასაც პირი ბასრი აქვს, – მჭრელი, გალესილი პირის მქონე

**პირბლაგვი** რასაც პირი ბლაგვი აქვს

**პირგალესილი** იგივეა, რაც გალესილი

**პირწვეტიანი** იგივეა, რაც წვეტიანი

**პიტალო** სწორზედაპირიანი, პრიალა

## რ

**რბილი** ფაფუკი, ნაზი (კანი, ტყავი...), წმინდა (თმა, ბეწვი...)

## ს

**სიპი** სრიალა ზედაპირის მქონე, – მოლიპული, გასიპული

**სრიალა** სწორი, გლუვი ზედაპირის მქონე, – გასრიალებული, გასიპული, მოლიპული

**სუსხავს** კანს უწვავს (ჭინჭარი...), – შუშხავს

**სქელდება** სქელი ხდება, (საპირისპ. თხელდება)

**სქელი** დიდი სისქისა, (საპირისპ. თხელი)

**სწორზედაპირიანი** რასაც გლუვი, სრიალა ზედაპირი აქვს

**სწორი** გლუვი, უხორკლო, სრიალა ზედაპირი

**სხვილი** იხ. მსხვილი

## უ

**უთათუნებს** თათუნით ეხება, – უცაცუნებს

**უცაცუნებს** აცაცუნებს მისაზე, ცაცუნით უსვამს ხელს, თათს

**უხეში** რაც ნაზი არ არის, მოუხეშავი, ხეშეში

## ფ

**ფაფუკი** ძალიან რბილი, ნაზი.

**ფუმფლუკი** კუთხ. (კახ.) რბილი

**ფუმფულა** რბილი, ფაფუკი

**ფუნჩულა** რბილი, გაბუებული, ფაფუკი

**ფუჩფუჩი** კუთხ. (ქართლ.) რბილი, ფაფუკი, ფუნჩულა

**ფხა** სიმჭრევე, სიბასრე საჭრელი იარაღისა (ხმლისა, დანისა, სამართებლისა, ნამგლისა, ცულისა...)

**ფხანა** ხელის (ფრჩხილების...) სმა ქავილის გასაქარვებლად

**ღიტინი** კანზე მსუბუქი შეხების შედეგად ნერვული გაღიზიანება, ღუტუნი, ხიჩინი

**ღუტუნი** იგივეა, რაც ღიტინი

## შ

**შეარბილებს** ოდნავ დაარბილებს

**შეეღიტინება** ღიტინს შეიგრძნობს, მოეღიტინება

**შეეხიცინება** იგივეა, რაც შეეღიტინება

**შერბილება** ოდნავ დარბილება

**შეუღიტინებს** ღიტინით მოუსვამს ხელს, მოუღიტინებს

**შეუხიცინებს** კუთხ. (იმერ., გურ.) იგივეა, რაც შეუღიტინებს

**შეღიტინება** ღიტინის დაწყება, მოღიტინება

**შეხება** მიკარება, ხლება

**შეხიცინება** შეღიტინება

**შუშხავს** იგივეა, რაც სუსხავს

## ჩ

**ჩამოიფხანს** დაიფხანს ზევიდან ქვევით

**ჩხვლეტია** რაც ჩხვლეტს, რაც იჩხვლიტება

## ც

**ცაცუნი** ოდნავი შეხება

**ცეცება** ალალბედზე მოძრაობა (ხელისა, ჯოხისა...), ფათური (სიბნელეში, ან უსინათლოსი)

## წ

**წაუფათურებს** ფათურით მოუსვამს, – მოუფათურებს

**წაუღიტინებს** მცირედ შეუღიტინებს

**წაუცაცუნებს** ოდნავ წაარტყამს, მოუცაცუნებს ხელს...

**წვა** ცხარე რამეთი გაღიზიანება კანისა...

**წვეტიანი** რასაც წვეტი აქვს, – წვერმახვილი

**წყლტუ** 1.უხორკლო (საბა) 2. უთმო, გლუვი, სწორი

## ჭ

**ჭამია** კუთხ. (გურ.) მკბენარა ქსოვილი...

**ჭეჭი** იგივეა, რაც ხორკლი

**ჭეჭიანი** იგივეა, რაც ხორკლიანი

## ხ

**ხავერდოვანი** ხავერდივით რბილი

**ხავერდოვნება** ხავერდოვნის თვისება, ხავერდისებური სილბო

**ხეშეში** ხმელი, უხეში, გახევებული, მქისე

**ხისტი** ხეშეში, ხმელი, ხამი

**ხიჩინი** იგივეა, რაც ღიტინი

**ხიცინი** იგივეა, რაც ღიტინი

**ხორკლებიანი** რასაც ხორკლი, ხორკლები აქვს, ხორკლით დაფარული, – ბურცებიანი

**ხორკლი** მცირე ზომის ბურცი

**ხორკლიანი** რასაც ხორკლები აქვს

**ხოროში** უხეში, ხეშეში

**ხუხლუპანა** კუთხ. (ქიზ.) უთმო, უბალნო, უბუსუსო

## ჰ

**ჰ-კბენს** სუსხავს, წვავს, აღიზიანებს კანს

**ჰ-ფხანს** ხელს უსვამს ქავილის გასაქარვებლად

ხმა

ა

**ააბაკუნებს** ბაკუნს დააწყებინებს (ფეხებს)

**ააბუყბუყებს** ბუყბუყის ხმას გამოაცემინებს

**ააბღავლებს** ბღავილს დააწყებინებს

**ააზუზუნებს** ზუზუნის ხმას გამოაცემინებს

**აკაკუნებს** კაკუნის ხმას გამოაცემინებს

**აალაპარაკებს** ლაპარაკს დააწყებინებს, – აამეტყველებს

**აამქუხარებს** ქუხილს დააწყებინებს, – ააგრიალებს

**ააჟრიალებს** ჟრიალს დააწყებინებს

**ააჟღრიალებს** ჟღრიალს დააწყებინებს

**აარიკრიკებს** რიკრიკს დააწყებინებს

**აატკაცუნებს** ტკაცუნს დააწყებინებს, ტკაცუხმას გამოაღებინებს

**ააქუხებს** ქუხილს დააწყებინებს, ქუხილისებურ ხმას გამოაცემინებს

**ააღავღავებს** ღავღავს დააწყებინებს, ღავღავით ააყეფებს

**ააღრიალებს** ღრიალს დააწყებინებს, – ააყვირებს

**ააყაყანებინებს** აიძულებს ააყაყანოს, ყაყანს აატეხინებს

**ააყაყანებს** ყაყანს დააწყებინებს, – ხმამაღლა აალაპარაკებს, აახმაურებს

**ააწრიპინებს** წრიპინს დააწყებინებს

**ააჭიჭყინებს** ჭიჭყინს დააწყებინებს, – უხეიროდ დაუკრავს

**ააჭრიალებს** ჭრიალს დააწყებინებს, ჭრიალით აახმაურებს

**ააჭყიპინებს** ჭყიპინს დააწყებინებს

**აახმატკბილებს** ტკბილი ხმით აამღერებს, აამეტყველებს

**აახმაურებს** ხმაურს დააწყებინებს, ხმას გამოაცემინებს

**აბაკუნდება** ფეხების ბაკუნს დაიწყებს

**აბაკუნება** ბაკუნის დაწყება

**აბაკუნებს** ფეხის ცემით მკვეთრ ხმა გამოსცემს

**აბზუილდება** ბზუილს დაიწყებს

**აბზუილებს** ბზუილის ხმას გამოაცემინებს

**აბრაგუნებს** ბრაგუნს გამოსცემს ან გამოაცემინებს

**აბრახუნდება** ბრახუნის ხმას გამოსცემს, ბრახუნს დაიწყებს

**აბრახუნება** ბრახუნის დაწყება

**აბრახუნებინებს** აიძულებს ან შეაძლებინებს აბრახუნოს

**აბრახუნებს** ბრახუნს გამოსცემს ან გამოაცე-მინებს

**აბუყბუყდება** ბუყბუყს დაიწყებს

**აბღავლება** ბღავილის დაწყება

**აბღავლებს** აიძულებს იბღავლოს; ბღავილის ხმას გამოაცემინებს

**აგრიალდება** გრიალს დაიწყებს

**აგრიალებს** გრიალის ხმას გამოაღები-ნებს, – ძლიერ ახმაურებს

**აგუგუნდება** გუგუნს დაიწყებს, ძლიერ ხმას გამოსცემს

**აგუგუნებს** გუგუნის ხმას გამოაცემინებს

**აზავთდება** ახმაურდება

**აზავთებული** აზვირთებული, ახმაურებუ-ლი, მქუხარე

**აზრახდება** ხმას ამოიღებს, ალაპარაკდება

**აზრიალდება** ზრიალს დაიწყებს, ზრიალით ახმაურდება

**აზუზუნ-ასისინებს** აზუზუნებს და ასისი-ნებს

**აზუზუნდება** ზუზუნით ახმიანდება – ზუ-ზუნის ხმას გამოსცემს

**აზუზუნება** ზუზუნის დაწყება, – აზმუილება

**აზუზუნებს** ზუზუნის ხმას გამოაცემინებს

**აზუზუნებული** რაც აზუზუნდა ან ააზუზუ-ნეს

**ათასხმიანი** მრავალხმიანი, მრავალი ხმის შე-მცველი

**აიტკაცუნებს** ტკაცუნის ხმას გამოაცემინებს თავისას

**აკაკუნდება** კაკუნს დაიწყებს, – არაკუნდება

**აკაკუნებს** კაკუნის ხმას გამოაღებინებს

**ალაპარაკდება** ლაპარაკს დაიწყებს, ლაპა-რაკს მოჰყვება – ამეტყველდება

**ალაპარაკებს** ლაპარაკს აწყებინებს, – აიძუ-ლებს ილაპარაკოს

**ალაპარაკებული** ვინც (ან რაც) ალაპარაკდა

**ალიკლიკებს** ლიკლიკის ხმას გამოაცემინებს

**ამობაკუნდება** ფეხების (ფეხსაცმელების, ჩლიქების) ბაკუნით ამოვა

**ამოგმინვა** გმინვის აღმოხდომა, ამოკვნესა

**ამოზუზუნდება** ზუზუნით ამოვა

**ამოთქვამს** იტყვის, წარმოთქვამს

**ამოიბღავლებს** ბღავილი აღმოხდება, ბღავი-ლით ამოიძახებს

**ამოიგმინებს** გმინვით ამოიოხრებს, გმინვა აღმოხდება, – ყრუდ ამოიკვნესებს

**ამოიგრგვინებს** გრგვინვისებურ ხმას გამო-სცემს, – ამოიქუხებს

**ამოიკნავლებს** კნავილის ხმას გამოსცემს

**ამოიკრინებს** კრინით, წვრილი ხმით იტყვის, – ამოიკნავლებს

**ამოისტვენს** ქვემოდან აქეთ დაუსტვენს

**ამოიქუხებს** ქუხილისებურ ხმას გამოსცემს

**ამოიჩურჩულებს** ჩურჩულით, ხმადაბლა ამოთქვამს

**ამოიძახებს** ქვევიდან ან სიღრმიდან დაიძახებს

**ამოიწრიპინებს** წრიპინის ხმას გამოსცემს, წრიპინით იტყვის

**ამოკვნესა** კვნესის აღმოხდომა, ამოგმინვა

**ამოსჩხავის** ჩხავილით ამოსძახის

**ამოქუხდება** ქუხილით ამოვა

**ამოქუხს** ხმაურით ამოდის

**ამოძახილი** რაც ამოიძახეს ან ამოსძახეს

**ამოხმიანი** ვისაც ან რასაც ამო, საამო, სასიამოვნო ხმა აქვს

**ამოხრიგინდება** ხრიგინით ამოვა

**ამქუხარება** ძლიერი ახმაურება, – აქუხება, აგრგვინება

**ამქუხარებული** აქუხებული

**ანაძრახი** ახმიანებული

**აჟივჟივდება** ჟივჟივს დაიწყებს, – აჟღურტულდება, აჭიკჭიკდება

**აჟიჟინდება** ახმაურდება, აყაყანდება

**აჟრიალდება** იგივეა, რაც აჟღრიალდება

**აჟრიალებს** იგივეა, რაც აჟღრიალებს

**აჟრიამულდება** ჟრიამულს დაიწყებს, – ახმაურდება, ახმიანდება

**აჟღავჟღავდება** ჟღავჟღავს დაიწყებს მრავალი, – ახმაურდება, აყაყანდება

**აჟღერებს** ჟღერის ხმას გამოაცემინებს

**აჟღრიალდება** ჟღრიალს დაიწყებს, – აჟღარუნდება

**აჟღრიალებს** ჟღრიალს გამოაცემინებს, ჟღრიალით ახმაურებს

**აჟღურტულდება** ჟღურტულს დაიწყებს, – აჭიკჭიკდება

**არაკრაკდება** რაკრაკს დაიწყებს. 1. რაკუნს, რაკარუკს დაიწყებს, – არაკუნდება. 2. რაკრაკით ახმაურდება, ახმიანდება სითხე. 3. გადატ. ამღერდება, აჭიკჭიკდება, ახმიანდება მუსიკალურად

**არაკრაკებს** 1. აკაკუნებს, არაკუნებს. 2. რაკრაკით ახმაურებს. 3. გადატ. ამღერებს, ათამაშებს, აკანკალებს ხმას; მღერის

**არაკუნებს** რაკუნის ხმას გამოაცემინებს,

**არახრახდება** 1. რახრახს დაიწყებს. 2. რახრახით ავა ქვემოდან ზემოთ. 3. გადატ. უშნოდ ხმამაღლა გაიცინებს

**არახუნდება** რახუნს დაიწყებს; რახუნის ხმას გამოსცემს

**არახუნებს** იგივეა, რაც აზრახუნებს

**არეკინებს** ავალებს დარეკოს

**ატკაცუნდება** ტკაცუნს დაიწყებს

**ატკაცუნება** ტკაცუნის დაწყება

**ატკაცუნებს** ტკაცუნის ხმას გამოაცემინებს, ტკაცუნით ხმაურობს

**ატკაცუნებული** რაც აატკაცუნეს ან ატკაცუნდა, რამაც ტკაცუნი დაიწყო

**ატლაშუნება** იგივეა, რაც ატყლაშუნება

**ატლაშუნებს** იგივეა, რაც ატყლაშუნებს

**ატყაპუნებს** ტყაპუნის ხმას გამოაცემინებს

ატყლაშუნება

**ატყლაშუნებს** ტყლაშუნის ხმას გამოაცემინებს

**აუბაგუნდება** გული ბაგაბუგს დაუწყებს

**აუბღავლდება** აუბღავლდა, აბღავლებია

**აუბღავლებს** ააბღავლებს მისას

**აუღავღავდება** ყეფას დაუწყებს

**აუყაყანდება** ყაყანს დაუწყებს

**აუყაყანებს** ააყაყანებს, აამხედრებს მის წინააღმდეგ

**აფათქუნებს** ფათქუნით ამოძრავებს, ფრთხიალით ერთმანეთს სცემს

**აფაჩუნებს** წყნარი, ფრთხილი მოძრაობის დროს ოდნავ გასაგონ ხმაურს იწვევს

**აფშვინდება** ფშვინვას დაიწყებს

**აფშვინებული** რამაც, ვინაც ფშვინვა დაიწყო

**აფხაკუნებს** ფხაკუნის ხმას გამოაცემინებს

**აფხაჭუნებს** ფრჩხილების ან ბრჭყალების მოსმით უსიამოვნო ხმას გამოსცემს

**აქუხდება** ქუხილს დაიწყებს, ქუხილისებურ ხმას გამოსცემს

**აქუხება** ქუხილის დაწყება; ქუხილისებური ხმის გამოცემა

**აქუხებს** ქუხილის ხმას გამოაცემინებს

**აქუხებული** რაც აქუხდა

**აღავღავდება** ღავღავს დაიწყებს, ღავღავით აყეფდება

**აღავღავებს** აყეფებს

**აღავღავებული** რამაც ღავღავი დაიწყო, – აყეფებული

**აღაჭუნებს** ღაჭუნის ხმას გამოსცემს – აკრაჭუნებს

**აღიღინდება** ღიღინს დაიწყებს, – დაბალ ხმა-ზე ამღერდება

**აღიღინება** ღიღინით, დაბალ ხმაზე სიმღე-რის თქმა

**აღიღინებს** ღიღინით დამღერს, სიმღერას და-ბალ ხმაზე ამბობს

**აღიღინებული** ვინც აღიღინდა, – ღიღინით, დაბალი ხმით ამღერებული

**აღრაჭუნებს** ღრაჭუნის ხმას გამოაცემინებს

**აღრიალდება** ღრიალს დაიწყებს

**აღრიალება** ღრიალის დაწყება

**აღრიალებს** აიძულებს იღრიალოს, – აყვი-რებს, აბღავლებს

**აყაყანდება** ყაყანს დაიწყებს, – ალაპარაკდება

**აყაყანება** ყაყანის დაწყება

**აყაყანებს** აიძულებს იყაყანოს

**აყაყანებული** ვინც ააყაყანეს ან აყაყანდა

**აჩახუნებს** ჩახუნის ხმას გამოაცემინებს

**აჩოჩქოლდება** ჩოჩქოლს დაიწყებს, – შეშფო-თებით ახმაურდება

**აჩურჩულდება** ჩურჩულს დაიწყებს, ჩურჩუ-ლით ალაპარაკდება

**აჩურჩულება** ჩურჩულის დაწყება

**აჩურჩულებს** ჩურჩულით ალაპარაკებს

**აჩურჩულებული** ვინც აჩურჩულდა, – ჩურჩულით მოლაპარაკე

**აჩუჩუნდება** ჩუჩუნს დაიწყებს, – ამოძრავდება, აფაჩუნდება

**აჩუხჩუხდება** ჩუხჩუხს დაიწყებს, – ჩუხჩუხით ადუღდება

**აჩქამდება** ჩქამს გამოსცემს, – ახმაურდება

**აჩქაფუნებს** ჩქაფუნის ხმას გამოაცემინებს

**აჩქრიალდება** ჩქრიალის ხმას გამოსცემს

**აჩხავლდება** ჩხავილს დაიწყებს

**აჩხაკუნებს** ჩხაკუნის ხმას გამოაცემინებს

**აჩხარუნებს** ჩხარუნით ახმაურებს

**აჩხერებს** ჩხერის ხმას გამოაღებინებს, – აჩხრიალებს

**აჩხლაკუნებს** ჩხაკუნის ხმას გამოაცემინებს

**აჩხრიალდება** ჩხრიალს დაიწყებს

**აძრახდება** ახმიანდება

**აწიწინებს** ხმაბაძვ. წვრილ ხმაზე უკრავს რაიმე საკრავს

**აწკლაპუნებს** ხმაბაძვ. წკლაპუნის ხმას გამოაცემინებს

**აწკლატუნებს** წკლატუნის ხმას გამოაცემინებს

**აწკმუტუნდება** წკმუტუნს დაიწყებს

**აწლაკუნებს** წლაკუნის ხმას გამოაცემინებს

**აწლაპუნებს** წლაპუნის ხმას გამოაცემინებს

**აწლაქუნებს** იგივეა, რაც აწკლაპუნებს

**აწრიპინდება** წრიპინს დაიწყებს

**აწრიპინება** წრიპინის დაწყება

**აწრიპინებს** აიძულებს ან საშუალებას აძლევს იწრიპინოს

**აწრიპინებული** რაცააწრიპინეს ან აწრიპინდა

**აწრუწუნდება** წრუწუნს დაიწყებს, – აწრიპინდება

**აწუილდება** წუილს დაიწყებს, – აწივლდება

**აწუწკუნდება** იგივეა, რაც აწკმუტუნდება

**აჭახჭახდება** ჭახჭახს დაიწყებს

**აჭიჭყინდება** ჭიჭყინს დაიწყებს, უსიამოვნო ხმებს გამოსცემს, – აჭყიპინდება

**აჭიჭყინება** ჭიჭყინის დაწყება, – აჭყიპინება

**აჭიჭყინებს** ჭიჭყინს დააწყებინებს, – უხეიროდ დაუკრავს, ააჭყიპინებს

**აჭრაჭუნება** ჭრაჭუნის დაწყება

**აჭუკჭუკდება** ჭუკჭუკს დაიწყებს

**აჭყვიტინდება** ჭყვიტინს დაიწყებს, – აჭყიპინდება

**აჭყვიტინებს** ჭყვიტინის ხმას გამოაცემინებს, აჭყიპინებს

**აჭყივლდება** ჭყივილს დაიწყებს

**აჭყიპინდება** ჭყიპინს დაიწყებს

**აჭყიპინებს** ჭყიპინის ხმას გამოაცემინებს, – აჭიჭყინებს, აჭყვიტინებს

**ახმატკბილდება** ვინც ან რაც ხმატკბილად, საამო ხმაზე ამღერდება, ალაპარაკდება

**ახმატკბილებს** ხმატკბილ, საამო ხმას გამოსცემს

**ახმაურდება** ხმაურს ატეხს, ხმაურს დაიწყებს

**ახმაურება** ხმაურის ატეხა

**ახმაურებს** ხმაურს ატეხინებს

**ახმიანებს** ხმაურით ავსებს, – ახმაურებს

**ახრანტალებს** ხრანტალის ხმას გამოსცემს

**ახრიალდება** ხრიალით ახმაურდება

**ახროტინდება** ხროტინს დაიწყებს

**ახრჭიალებს** ხრჭიალს დააწყებინებს

**ახუვლდება** ხუილს დაიწყებს, – ძლიერ ახმაურდება

**აჯახუნებს** ხმაურით ახლის, ახეთქებს

**აჯაჯგურებს** ხმაურით ანჯღრევს

# ბ

**ბაგა-ბუგი** 1. რბილზე ცემის ხმა. 2. გულის ძლიერი, აჩქარებული ცემის ხმა

**ბაგი-ბუგი** იგივეა, რაც ბაგა- ბუგი

**ბაგუნი** ცემით გამოწვეული ხმაური

**ბათქა-ბუთქი** თოფის, დამბაჩის და მისთ. ზედიზედ სროლის ხმა

**ბაკა-ბუკი** მაგარ საგნებზე სიარულისას ფეხის ცემით გამოცემული მკვეთრი ხმა

**ბაკი-ბუკი** იგივეა, რაც ბაკა- ბუკი

**ბაკუნი** გაბმული ბაკა-ბუკი

**ბაკუნობს** ბაკი-ბუკით, ბაკუნით დადის

**ბამი** ბოხი საკრავის ხმა

**ბანი** ხმა, რომელიც ეწყობა სიმღერას

**ბარტყა-ბურტყი** ხმაბაძვ. საფენელის ბერტყვის ხმა (საბა)

**ბარტყანი** ხმაბაძვ. რბილი ბრტყელი საგნის დავარდნის ხმა || იგივეა, რაც ბრაგვანი

**ბარტყუნი** მრავალგზის დარტყმა-დაცემის შედეგად გამოცემული ხმა

**ბასკუნი** კუთხ. (იმერ., გურ.) ცემა მკვრივ რამეზე

**ბასტანი** მაღლიდან ჩამოვარდნილი რბილი და მძიმე საგნის დაცემის ხმა, – ბარტყანი

**ბასტი-ბუზუ** დიდი ხმაურობა, ჟრიამული

**ბასტუნი** ცემა მკვრივ რამეზე

**ბაყა-ბუყი** ხმაბაძვ. წყვეტილი ყრუ ხმა ცემის დროს

**ბაყბაყი** ბოხი, უშნო ხმა

**ბგერა** ჰაერის ტალღისებრი რხევითი მოძრაობა, რომელსაც აღიქვამს სმენის ორგანო, – ხმა

**ბგერს** ბგერას გამოსცემს

**ბზუილა** რაც ან ვინც ნიადაგ ბზუის

**ბზუილი** კრაზანასა და ბუზების ხმიანობა

**ბზუის** ფრენის დროს ფრთების სწრაფი და უწყვეტი მოძრაობით ზუზუნისებურ ხმას გამოსცემს მწერი

**ბზუკუნებს** იგივეა, რაც ბზუის

**ბზუკუნი** იგივეა, რაც ბზუილი

**ბიბინი** კუთხ. (ფშ., ხევს.) ხმაური, მღელვარება

**ბიჟინი** შვლის ნუკრის კიკინი

**ბობღინი** გაურკვევლად, ბგერების დაუნაწევრებლად ლაპარაკი, – ბურტყუნი

**ბჟუილი** იგივეა, რაც ბზუილი

**ბრაგა-ბრუგი** მაგარ ზედაპირზე ცემის ხმა

**ბრაგვა** იგივეა, რაც ბრაგვანი

**ბრაგვანი** მაგარ რამეზე მძიმე სხეულის დაცემა

**ბრაგუნი** ძლიერად რტყმა ყრუ ხმის გამოცემით

**ბრახა-ბრუხი** ხმაბაძვ. ძლიერი ბრახუნი ნაწყვეტ-ნაწყვეტად

**ბრახვანი** მძიმე საგნის ძირს დაცემის ხმა

**ბრახუნა** რაც ბრახუნის მსგავს ხმას გამოსცემს

**ბრახუნი** მაგარ რამეზე ცემა, – ბრაგუნი

**ბრახუნობს** ბრახუნის ხმას გამოსცემს

**ბუბუნი** დიდი ხმაური, – გუგუნი

**ბურტყუნი** ხმადაბალი გაურკვეველი ლაპარაკი

**ბუსუნი** კუთხ. (იმერ.) ჩამიჩუმი

**ბუტბუტი** დაბალი ხმით გაურკვევლად ლაპარაკი თავისთვის

**ბუყბუყი** ხმაბაძვ. ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ნელი ყრუ ხმაურობა, გამოწვეული სითხეში გაზების მოძრაობით, დუღილის პროცესით

**ბუხბუხი** ხმაბაძვ. ბოხი, წყვეტილი ხმის მძიმე-მძიმედ გამოცემა

**ბუხუნი** რაიმე ცხოველის (ლომის, ირმის, ღორის) ძლიერი ხმიანობა

**ბღავილი** ცხოველთა (ძროხის, ცხვრის, ირმის...) ხმიანობა || გადატ. ღრიალი, ხმამაღალი

ტირილი გამწარებული, თავზარდაცემული ადამიანისა

**ბღვრიალი** „ბრიყვული ტირილი“ (საბა), – ღრიალი

**ბღუილი** გაბმით ყვირილი, ღმუილივით. || გადატ. ღრიალი, ხმამაღლა ტირილი

**ბღუის** იგივეა, რაც ღმუის

## გ

**გააბრახუნებს** ბრახუნის ხმას გამოაცემინებს

**გააზრიალებს** ზრიალს დააწყებინებს, ზრიალის ხმას გამოაღებინებს

**გააზუზუნებს** ზუზუნის ხმას გამოაცემინებს

**გააკრაჭუნებს** კრაჭუნის ხმას გამოაცემინებს კბილებს

**გაალაპარაკებს** საშუალებას მისცემს გაელაპარაკოს, – დაალაპარაკებს, გაასაუბრებს ვინმესთან

**გააჟღარუნებს** ჟღარუნის ხმას გამოაცემინებს

**გააჟღრიალებს** ჟღრიალის ხმას გამოაცემინებს

**გაარიჩხინებს** იგივეა, რაც გააჩხარუნებს

**გაატკაცუნებს** ტკაცუნის ხმას გააღებინებს

**გააფხაჭუნებს** ფხაჭუნის ხმას გამოაღებინებს

**გააღრაჭუნებს** ღრაჭუნის ხმას გამოაცემინებს, – გააკრაჭუნებს

**გააღრჭიალებს** კბილებს გააკრაჭუნებს

**გააყრუებს** დიდი ხმაურით ყურთასმენას წაიღებს

**გააჩხარუნებს** ჩხარუნის ხმას გამოაცემინებს

**გააწკაპუნებს** წკაპუნის ხმას გამოაცემინებს

**გააწკარუნებს** წკარუნის ხმას გამოაღებინებს

**გააწკლაპუნებს** წკლაპუნის ხმას გამოაცემინებს

**გააწკლატუნებს** წკლატუნის ხმას გამოაცემინებს

**გააწკრიალებს** წკრიალის ხმას გამოაცემინებს

**გააწლაკუნებს** იგივეა, რაც გააწკლაპუნებს

**გააჭანჭყარებს** ნაკლულ ჭურჭელში სითხეს შეანჯღრევს

**გააჭახუნებს** ჭახუნის ხმას გამოაღებინებს

**გააჭყაპუნებს** ჭყაპუნის ხმას გამოაცემინებს

**გაახმიანებს** ხმას გამოაცემინებს, ახმაურებს

**გაახრჭიალებს** იგივეა, რაც გააღრჭიალებს

**გააჯახუნებს** ჯახუნით მიხურავს, გაიხურავს კარს, ფანჯარას...

**გაბაკუნდება** ბაკუნის, ბაკა-ბუკის ხმას გამოსცემს

**გაბოხება** დაბოხება (ხმისა)

**გაბოხებული** დაბოხებული ხმა

**გაბრახუნდება** ბრახუნის ხმას გამოსცემს

**გაბრახუნება** რისამე ბრახუნით, ბრაგუნით გახურვა

**გაბრახუნებული** რაც გააბრახუნეს ან გაბრახუნდა

**გადაბაკუნდება** ბაკუნით გადავა, გადაივლის

**გადაეჩურჩულება** ჩურჩულით გადაელაპარაკება, გადაუჩურჩულებს

**გადაიქუხებს** ქუხილით გადაივლის

**გადალაპარაკება** გვერდზე მყოფთან, შორიახლოს მყოფთან გალაპარაკება

**გადასაჩურჩულებელი** რასაც გადაუჩურჩულებენ, ჩურჩულით სათქმელი

**გადასჩურჩულებს** იგივეა, რაც გადაუჩურჩულებს

**გადაუშხივლებს** იგივეა, რაც გადაუშხუილებს, გადაუშხუვლებს

**გადაუშხუვლებს** შხუილით გადაუქნევს, გადაჰკრავს

**გადაუჩურჩულებს** ჩურჩულით გადაულაპარაკებს, ეტყვის რამეს

**გადაქუხს** ქუხილით გადადის

**გადაჩურჩულება** ჩურჩულით გადალაპარაკება

**გადმომქუხარი, გადმომქუხარე** რაც გადმოქუხს, – ქუხილით, დიდი ხმაურით გადმომდინარე

**გადმოსჩურჩულებს** ძალიან ჩუმად, ჩურჩულით გადმოულაპარაკებს

**გადმოქუხს** ქუხილით გადმოდის, ქუხილით ძირს ეშვება

**გადმოჩქრიალებს** ჩქრიალით გადმოდის

**გადმო-ჰ-ქუხებს** ქუხილის ხმით გამოეხმაურება ზევიდან ქვევით

**გაეჩურჩულება** ჩურჩულით დაელაპარაკება; უჩურჩულებს

**გაზრიალება** ზრიალის ხმის გამოცემა

**გაზუზუნდება** ზუზუნის ხმას გამოსცემს

**გაზუზუნებული** რამაც გაიზუზუნა

**გაიბრახუნებს** ბრახუნით გაიხურავს (კარსა და მისთ.)

**გაიზუზუნებს** ზუზუნის ხმას გამოსცემს

**გაიკრიალებს** იგივეა, რაც გაიწკრიალებს

**გაინაზავს** სუნთქვას შეიკრავს და გაჩუმდება

**გაიჟრიალებს** იგივეა, რაც გაიჟღრიალებს

**გაიჟღრიალებს** ჟღრიალის ხმას გამოსცემს

**გაირახუნებს** რახუნის ხმას გამოსცემს

**გაისისინებს** სისინის ხმას გამოსცემს

**გაისმის** გასაგონია, ყურთასმენამდე აღწევს

**გაიტკაცუნებს** ტკაცუნის ხმას გამოაცემინებს თავისას

**გაიფაჩუნებს** ფაჩუნის ხმას გამოსცემს

**გაიშლიგინებს** შლიგინით, ხმაურით გაივლის

**გაიშრიალებს** შრიალის ხმას გამოსცემს, – გაშრიალდება

**გაიშხივლებს** იგივეა, რაც გაიშხუვლებს

**გაიშხუვლებს** შხუილის ხმას გამოსცემს

**გაიშხუილებს** შხუილით გაივლის; შხუილის ხმას გამოსცემს

**გაიწკრიალებს** წკრიალის ხმას გამოსცემს

**გაიჭრაჭუნებს** ჭრაჭუნის ხმას გამოსცემს

**გაიჭრიალებს** ჭრიალის ხმას გამოსცემს

**გაიჭრიჭინებს** ჭრიჭინის ხმას გამოსცემს

**გაიხმაურებს** ხმაურს დაიწყებს

**გაიჯახუნებს** ჯახუნით გაიხურავს კარს

**გაკნატუნება** კნატუნით შეჭმა

**გაკნაწუნება** კნაწუნის ხმის გამოსცემა

**გაკრაჭუნება** კბილების ერთმანეთზე გასმა უსიამოვნო ხმის კრაჭუნის გამოცემით

**გალაპარაკება** ლაპარაკის დაწყება (ვინმეს-თან),– გასაუბრება, დალაპარაკება

**გალობა** 1. ჭიკჭიკი, სტვენა (ფრინველთა) 2. მუსიკალური ნაწარმოების შესრულება (ადა-მიანის) ხმით, – სიმღერა, მღერა

**გამკივანი** მაღალი, წვრილი, კივილისებრი ხმა

**გამოაბრახუნებს** ბრახუნის ხმას გამოაცემი-ნებს

**გამოაგრიალებს** გრიალით გამოიყვანს

**გამოაზუზუნებს** ზუზუნით გამოისვრის, გამოტყორცნის

**გამოაჯახუნებს** ჯახუნით გამოიხურავს (კა-რებს...)

**გამობაკუნდება** ბაკუნით, ბაკა-ბუკით გამოვა

**გამობრახუნება** ხმაურით გამოხურვა (კა-რისა)

**გამოგრიალდება** გრიალით გამოვა

**გამოთქვამს** 1. გამოხატავს, გადმოსცემს რაი-მეს (სიტყვით, წერილობით...) 2. აწარმოებს სამეტყველო ბგერას, – წარმოთქვამს

**გამოიბრახუნებს** ხმაურით გამოიხურავს, გამოიკეტავს (კარს)

**გამოიქუხებს** ქუხილის ხმას გამოსცემს, დაი-ქუხებს

**გამოიჭექებს** ჭექის ხმას გამოსცემს

**გამოიჯახუნებს** ჯახუნით გამოიხურავს

**გამო-ს-თქვამს** გამოხატავს, გადმოსცემს რაიმეს (სიტყვით)

**გამოქუხს** ქუხილის ხმა ისმის

**გამოშხუის** შხუილი გააქვს, – შხივის

**გამოჩუხჩუხებს** ჩუხჩუხით გამოდის

**გამოჩქეფს** სწრაფად, ხმაურით დის, – ჩხრიალებს, მოჩქეფს

**გამოჩხრიალებს** ჩხრიალის ხმას გამოსცემს

**გამოძახილი** ხმამაღლა ხმობა, მოწოდება

**გამოწანწკარებს** წანწკარით დის

**გამოჭექა** ჭექით გამოძახება, გამოხმაურება

**გამოჭექილი** ქუხილით გამოსული ხმა

**გამოხმობა** იგივეა, რაც გამოძახილი

**გამოჯახუნება** ჯახუნით გამოხურვა

**გამყივანი** მჭახე, განსაკუთრებული ტემბრის ძლიერი ხმა

**გამყივარი** იგივეა, რაც გამყივანი

**გაჟღრიალდება** ჟღრიალს გაიღებს, ჟღრიალის ხმას გამოსცემს

**გარაწკუნდება** იგივეა, რაც გაწკარუნდება

**გარახუნდება** რახუნით გაიხმაურებს

**გარიალება** კუთხ. (ფშ., კახ.) რიალით გახმაურება, გავლა

**გარიხინდება** ხმაურით გაივლის

**გასისინება** სისინის ხმის გამოცემა

**გასჩხავის** უსიამოვნოდ ხმიანობს

**გასწივის** წვრილ ხმას გამოსცემს

**გატკაცუნდება** ტკაცუნის ხმას გაიღებს, – გაიტკაცუნებს

**გატკაცუნება** ტკაცუნის ხმის გაღება

**გატყლაშუნება** ტყლაშუნის ხმის გამოცემინება

**გაუკაკუნებს** კაკუნით გაუსვამს ერთმანეთზე

**გაუტკაცუნდება** ტკაცუნის ხმას გამოსცემს

**გაუტკაცუნებს** ტკაცუნის ხმას გამოაღებინებს

**გაუწკაპუნებს** წკაპუნით გაჰკრავს, გადაჰკრავს

**გაფაჩუნდება** ფაჩუნით გახმაურდება, ფაჩუნის ხმას გამოსცემს

**გაფაჩუნება** ფრთხილი მოძრაობის დროს ოდნავ გასაგონი ხმის გამოცემა

**გაფხაჭუნება** ფხაჭუნის ხმის გამოცემა, ფრჩხილების, ბრჭყალების მოსმით უსიამოვნო ხმის გამოცემა

**გაღიღინებს** ღიღინით გასძახის, ღიღინით ამბობს

**გაღრაჭუნება** ღრაჭუნის ხმის გამოცემინება, გაკრაჭუნება

**გაღრჭიალება** კბილებით ღრჭიალის ხმის გამოცემა

**გაშრიალება** შრიალით ამოძრავება

**გაშხუილება** შხუილით გავლა, ჩავლა, გაქნევა

**გაჩუჩუნდება** ჩუჩუნის ხმას გამოიღებს

**გაჩხაკუნდება** ჩხაკუნის ხმას გამოსცემს

**გაჩხარუნება** ჩხარუნის ხმის გამოცემა

**გაჩხრიალდება** ჩხრიალის ხმას გამოსცემს

**გაძახილი** ყვირილი, სიმღერა

**გაწკაპუნება** წკაპუნის ხმის გამოცემა

**გაწკარუნდება** წკარუნს დაიწყებს, წკარუნის ხმას გამოსცემს

**გაწკარუნება** წკარუნის ხმის გამოცემინება

**გაწკლაპუნება** წკლაპუნის ხმის გამოცემა

**გაწკრიალება** წკრიალის ხმის გამოცემა

**გაწლაკუნება** წლაკუნის ხმის გამოცემა

**გაჭანჭყარება** ჭურჭელში ნაკლულ სითხის შენჯღრევისას ხმის გამოცემა

**გაჭახუნება** ჭახუნის ხმის გამოცემა

**გაჭიჭინდება** ჭიჭინის ხმას გამოსცემს

**გაჭრიალდება** ჭრიალს დაიწყებს, ჭრიალის ხმას გამოსცემს

**გახმაურება** ხმაურის გაღება, ხმაურის დაწყება

**გახმიანება** ხმაურის ატეხა

**გახრინწიანდება** ხრინწიანი გაუხდება ხმა

**გაჯახუნდება** ჯახუნით მიიხურება (კარი...)

**გაჯახუნება** ჯახუნით დახურვა

**გაჯახუნებული** რაც გააჯახუნეს ან გაჯახუნ-და

**გაჰკივის** კივილით გაიძახის

**გაჰღიღინებს** ღიღინით გასძახის

**გვრინვა** გლოვის გამომხატველი ხმიანობა

**გიზგიზი** ძლიერი ცეცხლის ხმა

**გლიმი** კუთხ. (კახ.) იგივეა, რაც კრინტი

**გლიჯინ-გლიჯინით** ხმაურით...

**გლიჯინი** ტლანქად, დიდი ნაბიჯებით სირბი-ლი; ამგვარი სიარულით გამოწვეული ხმაური

**გმინვა** ტკივილის. ტანჯვის, მწუხარების გამო-მხატველი ამოძახილი, ოხვრა, კვნესა

**გნიასი** დიდი ხმაური, ყვირილი

**გოდებს** ტირილით გლოვობს, მოთქვამს

**გრგვინავს** დიდ ხმას, გრიალის, ზრიალის ხმას გამოსცემს

**გრგვინვა** ძლიერი ხმა

**გრიალ-გრიალით** ზედიზედ გამეორებული გრიალით

**გრიალი** დიდი, გამაყრუებელი ხმაურობა, – ზრიალი, გუგუნი

**გრუხუნი** გამაყრუებელი ხმაურობა

**გუგუნი** ყრუ, გაბმული გრიალი

**გუზგუზი** ცეცხლის, ალის ხმაური

**გურგურებს** გურგური გააქვს, გურგური გაუდის (ცეცხლს), – გიზგიზებს

**გურგური** ხმაური, გიზგიზი ალმოდებული ცეცხლისა

## დ

**დააბაკუნებს** ბაკუნით, ბაკი-ბუკით დადის

**დააბრახუნებინებს** აიძულებს ან შესაძლებლობას მისცემს დააბრახუნოს

**დააბრახუნებს** ბრახუნის ხმას გამოაცემინებს

**დააბღავლებს** აიძულებს დაიბღავლოს

**დააგუგუნებს** გუგუნით დასძახებს სიმღერას

**დააზუზუნებს** ზუზუნის ხმას გამოაცემინებს, – გააზუზუნებს

**დააკაკუნებს** კაკუნის ხმას გამოაცემინებს

**დააკრაჭუნებს** კბილების ერთმანეთზე მაგრად გასმით ხმას გამოსცემს

**დააკრჭიალებს** იგივეა, რაც დააკრაჭუნებს

**დაალაპარაკებს** ლაპარაკის საშუალებას მისცემს, – ხმას ამოაღებინებს, აამეტყველებს

**დალაპარაკება** ლაპარაკის დაწყება, ხმის ამოღება, ამეტყველება

**დაალაწუნებს** ლაწუნით დადის, – დადის და ლაწუნის ხმას გამოსცემს

**დააჟრიალებს** იგივეა, რაც დააჟღრიალებს

**დააჟღრიალებს** ჟღრიალს გამოაცემინებს, ჟღრიალით ახმაურებს

**დაატკაცუნებს** ტკაცუნის ხმას გამოაცემინებს

**დაატყაპუნებს** ტყაპუნის ხმას გამოაცემინებს, ტყაპუნით დაჰკრავს

**დააფაჩუნებს** ფაჩუნის ხმას გამოაცემინებს

**დააფხაკუნებს** ფხაკუნის ხმას გამოაცემინებს

**დააქუხებს** ქუხილის ხმას გამოაცემინებს

**დააღიღინებს** ღიღინით იმღერებს, ღიღინით იტყვის სიმღერას

**დააღრჭენს** კბილებს დააღრჭენს, კბილებს დააღრჭიალებს

**დააღუღუნებს** ღუღუნით სიმღერას იტყვის

**დააყრუებს** იგივეა, რაც გააყრუებს

**დააჩხაკუნებს** ჩხაკუნის ხმას გამოაცემინებს

**დააჩხარუნებს** ჩხარუნს დააწყებინებს, ჩხარუნის ხმას გამოაცემინებს

**დააჩხლაკუნებს** კუთხ. (კახ., ფშ.) ჩხაკუნის ხმას გამოაცემინებს

**დააჩხრიალებს** ჩხრიალის ხმას გამოაცემინებს

**დააწიკწიკებს** წიკწიკს დააწყებინებს, წიკწიკის ხმას გამოაცემინებს (მაგ., გარმონს)

**დააწკაპუნებს** წკაპუნის ხმას გამოაცემინებს

**დააწკარუნებს** წკარუნის ხმას გამოსცემს

**დააწკრიალებს** წკრიალის ხმას გამოაცემინებს, – დააწკარუნებს

**დააჭრაჭუნებს** ჭრაჭუნის ხმას გამოაცემინებს

**დააჭრიალებს** ჭრიალს ხმას გამოაცემინებს

**დააჭრიჭინებს** ჭრიჭინის ხმას გამოაცემინებს

**დააჭყივლებს** აიძულებს დაიჭყივლოს, – ჭყივილს აატეხინებს

**დაახმაურებს** ხმაურს შექმნის, აახმაურებს (რაიმეს)

**დაახრანტალებს** ხრანტალის ხმას გამოსცემს

**დაახრიალებს** ხრიალის ხმას გამოაცემინებს

**დაახრიგინებს** ხრიგინ-ხრიგინით დააქვს

**დაახრჭენს** კბილებს დააღრჭიალებს, დააკრაჭუნებს

**დაახრჭიალებს** კბილებს დააკრაჭუნებს

**დააჯახუნებს** ჯახუნის ხმას გამოაცემინებს

**დაბაკუნება** მაგარ საგანზე (მიწაზე, იატაკზე...) ფეხის, ჯოხის ბოლოს დაკვრა და მკვეთრი ხმის გამოცემინება

**დაბაკუნობს** იგივეა, რაც დააბაკუნებს

**დაბალხმიანი** დაბალი ხმით გამოცემული (ზუზუნი ...), დაბალი ხმით თქმული

**დაბზუის** მოძრაობისას ბზუილის ხმას გამოსცემს

**დაბოხებული** რაც დაუბოხებიათ, – გაბოხებული

**დაბრახუნდება** ბრახუნის ხმას გამოსცემს

**დაბრახუნებული** რაც დააბრახუნეს ან დაბრახუნდა

**დაბრახუნობს** ბრახუნით, ხმაურით დადის

**დაბღუის** დაღრიალებს, ხმამაღლა დასტირის

**დაგა-დუგი** ძლიერი და რიტმული ცემის ხმა მაგარი სხეულისა მაგარსვე სხეულზე

**დაგდაგი** ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ყრუ ძლიერი ხმაური

**დაგი-დუგი** იგივეა, რაც დაგა-დუგი

**დაგმინება** გმინვის აღმოხდომა, გმინვის ამოხდომა, გმინვის ამოშვება, კვნესა ტკივილის, ტანჯვისა ან მწუხარებისაგან

**დაგრგვინავს** მრისხანებს, ბობქრობს

**დაგუგუნება** გუგუნის ხმის გამოცემა

**დადონდგოლება** კუთხ. (მთიულ.) დონდგოლის, დიდი ხმაურის ატეხა, – ჩოჩქოლი, აურზაური

**დაზუზუნებს** ზუზუნი გააქვს, ზუზუნით მოძრაობს; ზუზუნით დაქრის

**დაზუის** ზუილით მოძრაობს, მოძრაობისას ზუილის ხმას გამოსცემს

**დაიბაყბაყებს** ბაყბაყით იტყვის, – ბოხი, უშნო ხმით იტყვის, დაილაპარაკებს

**დაიბზუილებს** ბზუილის ხმას გამოსცემს მწერი

**დაიბობღინებს** კუთხ. (იმერ.) ბობღინით იტყვის

**დაიბრახუნებს** ბრახუნით დაირტყამს

**დაიბრდღვენს** ბრდღვინვას დაიწყებს, – დაიღრიალებს და ტოტით მიწის თხრას დაიწყებს მხეცი (ლომი, ვეფხვი და მისთ.)

**დაიბუბუნებს** ბუბუნის ხმას გამოსცემს, გაბმით ნელა დაიყვირებს ხარი

**დაიბუტბუტებს** ბუტბუტით იტყვის

**დაიბღავლებს** ბღავილი აღმოხდება, ბღავილის ხმას გამოსცემს

**დაიბღმუვლებს** ბღმუილის ხმას გამოსცემს

**დაიგმინებს** გმინვას ამოუშვებს

**დაიგრგვინებს** გრგვინვასავით ხმას გამოსცემს, – დაიგუგუნებს

**დაიგრიალებს** გრიალის ხმას გამოსცემს, – ძლიერ ახმაურდება, დაიქუხებს

**დაიგრუხუნებს** გრუხუნის ხმას გამოსცემს, – დაიქუხებს, დაიგრგვინვებს

**დაიგუგუნებს** გუგუნის ხმას გამოსცემს

**დაიზმუვლებს** ზმუილის ხმას გამოსცემს, ზმუილს ამოუშვებს ნელი ხმით

**დაიზმუკუნებს** ზმუკუნის ხმას გამოსცემს, ზმუკუნი აღმოხდება; ზმუკუნით იტყვის

**დაიზრიალებს** ზრიალის ხმას გამოსცემს

**დაიზუზუნებს** ზუზუნის ხმას გამოსცემს

**დაიკაკუნებს** კაკუნის ხმას გამოსცემს, – დაკაკუნდება

**დაიკვნესებს** კვნესას ამოუშვებს, კვნესა აღმოხდება ტკივილისა, ტანჯვისა ან მწუხარებისაგან; კვნესით იტყვის

**დაიკივლებს** კივილით დაიძახებს, ცივი ხმით დაიყვირებს (ითქმის ზოგ ფრინველზედაც)

**დაიკიკინებს** კიკინის ხმას გამოსცემს

**დაიკნავლებს** კნავილის ხმას გამოსცემს; დაიჭყავლებს

**დაიკრუსუნებს** კრუსუნის ხმას გამოსცემს, – დაიკვნესებს

**დაიკრუტუნებს** კრუტუნის ხმას გამოსცემს

**დაილიკლიკებს** 1. იგივეა, რაც დაირაკრაკებს (ნაკადული...). 2. ლიკლიკით, ტიკტიკით დაილაპარაკებს (ბავშვი)

**დაიმქუხარებს** იგივეა, რაც დაიქუხებს

**დაიპეტელებს** კუთხ. (იმერ., გურ.) დაიბღავლებს თხა

**დაიჟღრიალებს** ჟღრიალის ხმას გამოსცემს

**დაირახრახებს** რახრახს დაიწყებს, რახრახით ახმაურდება

**დაისისინებს** სისინის ხმას გამოსცემს

**დაისტვენს** იგივეა, რაც დაუსტვენს

**დაიტკაცუნებს** ტკაცუნის ხმას გამოაცემინებს თავისას, – გაიტკაცუნებს

**დაიფშვინებს** ფშვინვას ამოუშვებს

**დაიქუხებს** ქუხილი გაისმის, – დაიგრგვინებს, დაიჭექებს, იქუხებს

**დაიქშენს** ქშენას ამოუშვებს

**დაიქშუვლებს** ქშუილს ამოუშვებს, ქშუილით წამოვა

**დაიქშუტუნებს** ქშუტუნს გამოსცემს

**დაიღავღავებს** ღავღავს დაიწყებს, ნელა და გაბმით დაიყეფებს

**დაიღიღინებს** ღიღინს დაიწყებს; ღიღინით იტყვის (სიმღერას), დაბალ ხმაზე იმღერებს

**დაიღმუვლებს** ღმუილის ხმას გამოსცემს

**დაიღმუილებს** იგივეა, რაც დაიღმუვლებს

**დაიღნავლებს** ღნავილის ხმას გამოსცემს, – დაიკნავლებს

**დაიღრენს** ღრენის ხმას გამოსცემს ძაღლი

**დაიღრიალებს** ღრიალით იტყვის, ღრიალით დაიყვირებს

**დაიღრუტუნებს** ღრუტუნს დაიწყებს

**დაიყარყარებს** სითხით ავსებისას ხმას გამოსცემს ჭურჭლის ყელი

**დაიყივლებს** ყივილის ხმას გამოსცემს, ყივილს დაიწყებს

**დაიყრანტალებს** ყრანტალით დაიძახებს, – დაიჩხავლებს

**დაიყროყინებს** ყროყინის ხმას გამოსცემს

**დაიშრიალებს** შრიალის ხმას გამოსცემს, შრიალით ამოძრავდება

**დაიჩხავლებს** ჩხავილის ხმას გამოსცემს; ჩხავილს დაიწყებს

**დაიჩხაკუნებს** ჩხაკუნის ხმას გამოსცემს

**დაიჩხრიალებს** ჩხრიალის ხმას გამოსცემს, ჩხრიალს გაიღებს

**დაიწივლებს** მწივანა ხმით დაიკივლებს

**დაიწიკვინებს** წიკვინით იტყვის რასმე, – წვრილი უსიამოვნო ხმით იტყვის, დაიძახებს რასმე

**დაიწიწინებს** იგივეა, რაც დაიწრიპინებს

**დაიწკავწკავებს** წკავწკავით, წვრილი ხმით დაიყეფებს

**დაიწკარუნებს** წკარუნის ხმას გამოსცემს

**დაიწკრიალებს** წკრიალის ხმას გამოსცემს, – დაიწკარუნებს

**დაიწრიპინებს** წრიპინის ხმას გამოსცემს

**დაიწრუწუნებს** წრუწუნს ამოუშვებს, – დაიწრიპინებს

**დაიწუვლებს** წუილის ხმას გამოსცემს, – დაიწივლებს

**დაიჭახჭახებს** ჭახჭახის ხმას გამოსცემს, – ჭახჭახით დაიძახებს

**დაიჭექებს** ჭექასავით ხმას გამოსცემს, – დაიქუხებს

**დაიჭიკჭიკებს** ჭიკჭიკის ხმას გამოსცემს

**დაიჭიჭყინებს** ჭიჭყინის ხმას გამოსცემს, – დაიჭყვიტინებს

**დაიჭრაჭუნებს** ჭრაჭუნის ხმას გამოსცემს

**დაიჭრიალებს** ჭრიალის ხმას გამოსცემს, ჭრიალით ახმაურდება

**დაიჭრიჭინებს** ჭრიჭინის ხმას გამოსცემს

**დაიჭუჭყუნებს** იგივეა, რაც დაიჭიჭყინებს

**დაიჭყავლებს** ჭყავილის ხმას გამოსცემს

**დაიჭყვირებს** ჭყვირილის ხმას გამოსცემს, – დაიჭყივლებს (ჩვეულებრივ გოჭი, ღორი)

**დაიჭყვიტინებს** ჭყვიტინის ხმას გამოსცემს, – დაიჭიჭყინებს (ზურნა და მისთ.)

**დაიჭყივლებს** ჭყივილის ხმას გამოსცემს

**დაიჭყიპინებს** ჭყიპინის ხმას გამოსცემს

**დაიხავლებს** ხავილით ახმიანდება, ხავილს ამოუშვებს, ხავილს დაიწყებს

**დაიხვიხვინებს** ხვიხვინის ხმას გამოსცემს

**დაიხრიალებს** ხრიალის ხმას გამოსცემს, – ხრიალს ამოუშვებს

**დაიხროტინებს** ხროტინს ამოუშვებს

**დაიხუვლებს** ხუვილის ხმას გამოსცემს, – დაიქუხებს

**დაიჯახუნებს** ჯახუნის ხმას გამოსცემს, ჯახუნით გაიხმაურებს, – დაჯახუნდება

**დაკაკუნდება** კაკუნის ხმას გამოსცემს

**დაკაკუნება** კაკუნის ხმის გამოცემა, დარაკუნება

**დამღიღინებელი** ვინც დააღიღინებს ან დაიღიღინებს

**დაპუტუნებს** კუთხ. (იმერ.) თავს ადგას ვისმე ან რასმე და პუტუნით ლაპარაკობს, – დაბუტბუტებს

**დაჟღივლებს** რისამე თავზე იჟღივლებს, – ჟღივილით დასძახებს

**დაჟღრიალება** ჟღრიალის ხმის გამოცემინება, გამოცემა

**დარაკუნება** დაკაკუნება

**დარაწკუნება** იგივეა, რაც დაწკარუნება

**დარახრახებს** რახრახით დადის

**დარახუნება** დაბრახუნება

**დარეკ[ავ]ს** რისამე ცემით ხმას გამოაღებინებს, – ჩამოჰკრავს ზარს

**დარიწკინდება** კუთხ. (იმერ.) რაწკა-რუწის ხმას გამოსცემს, – დაწკარუნდება

**დარიხინებს** რიხინ-რიხინით დადის (ეტლით და მისთ.)

**დასაბრახუნებელი** რითაც ბრახუნის ხმას გამოაცემინებენ

**დასაღიღინებელი** რაც უნდა დაიღიღინონ

**დასტვენს** სტვენის ხმას გამოსცემს, – დაუსტვენს

**დასჩხავის** ვისიმე ან რისამე თავზე ჩხავის, – ჩხავილით დასძახის

**დასწივის** ვისიმე ან რისამე თავზე წივის, წვრილი ხმით დასძახის ზევიდან

**დასჭექს** ჭექისებურ ძლიერ ხმას გამოსცემს, – დაიგრიალებს

**დასჭეხს** მჭახე ხმით დასძახებს, – დასჭექს; მჭახე ხმას გამოსცემს

**დატკაცუნდება** ტკაცუნის ხმას გამოსცემს, – გატკაცუნდება, დაიტკაცუნებს

**დატკაცუნება** იგივეა, რაც გატკაცუნება

**დაუბაკუნებს** დააბაკუნებს მისთვის, – დაუბრახუნებს (ფეხებს) დასატუქსავად

**დაუბოხდება** ბოხი გაუხდება, გაუბოხდება ხმა

**დაუბრახუნდება** დაბრახუნდება მისი, შეიძლება დაბრახუნდეს მისი (მის მიერ)

**დაუკაკუნებს** დააკაკუნებს მისას, მისაზე, – დაურაკუნებს

**დაუკივლებს** იგივეა, რაც დაჰკივლებს, – კივილით შეუძახებს, დაუყვირებს, დაუჭყივლებს

**დაუკრავს** მუსიკალურ ინსტრუმენტს ხმას, ბგერებს გამოაცემინებს

**დაურაკუნებს** დაარაკუნებს მისას, – დაურაკუნებს

**დაურახუნებს** ძლიერ დაუკაკუნებს, დაუბრახუნებს

**დაუსტვენს** სტვენის ხმას გამოსცემს, სტვენას ამოუშვებს

**დაუტკაცუნებს** ტკაცუნის ხმას გამოაცემინებს მისაზე, – გაუტკაცუნებს

**დაუღრიალებს** ღრიალით შესძახებს, გაჯავრებით დაუყვირებს

**დაუჩურჩულებს** ჩურჩულით ეტყვის, ჩაუჩურჩულებს

**დაუჩხლაკუნებს** კუთხ. (კახ., ფშ.) იგივეა, რაც დააჩხაკუნებს

**დაუძახებს** შორიდან შეუძახებს, – დაუყვირებს

**დაუწრუპუნებს** იგივეა, რაც დაუწრუწუნებს

**დაუწრუწუნებს** წრუწუნით მოუხმობს

**დაუჯახუნებს** ჯახუნით დაურტყამს

**დაფაჩუნება** ფაჩუნის ხმის გამოცემა, გაფაჩუნება

**დაქოთქოთებს** ქოთქოთით მოძრაობს, ქოთქოთით მიდი-მოდის; ქოთქოთი გააქვს

**დაქუხდება** დააქუხებენ; ქუხილი გაისმება; დაიქუხებს

**დაქუხება** ქუხილის ხმის გამოცემა

**დაღავღავებს** დადის და ღავღავებს

**დაღიღინება** ღიღინით დამღერება

**დაღიღინებს** ღიღინით დადის

**დაღიღინებული** რაც დააღიღინეს ან დაიღიღინეს

**დაღრიალება** დაყვირება, დაბღავლება

**დაღრიალებს** ღრიალით, ბღავილით დადის

**დაღუღუნებს** ღუღუნის ხმას გამოსცემს, ღუღუნით მღერის

**დაყივლება** ყივილით დაძახება

**დაყრანტალება** ყრანტალის ხმის გამოცემა, – დაჩხავლება

**დაყრანტალებს** ყრანტალით დასძახის, – დასჩხავის

**დაყრუვდება** სიჩუმე მოიცავს; სიცოცხლე, ხმაურობა შეწყდება, უკაცური გახდება

**დაჩლატუნებს** ჩლატუნით დადის

**დაწივლება** წივილის ხმის გამოცემა, წვრილი ხმით დაძახება, მწივანა ხმით დაკივლება

**დაწიკვინება** წიკვინით რისამე თქმა, წვრილი, უსიამოვნო ხმით დალაპარაკება

**დაწკარუნება** წკარუნის ხმის გამოცემა, აწკარუნება, აწკრიალება

**დაწრუპუნება** წრუპუნის ხმის გამოცემა ტუჩების მოკუმვით; წრუპუნით დაძახება

**დაჭახუნება** მირტყმა, მიჯახება ჭიქებისა

**დაჭექება** ჭექის ხმის გამოცემა, დაქუხება

**დაჭრაჭუნდება** ჭრაჭუნის ხმას გამოსცემს

**დახრანტალება** ხრანტალის ხმის გამოცემა, ხრანტალის ამოშვება

**დახრიალება** ხრიალის ხმის გამოცემა, ხრიალის ამოშვება

**დახრიგინებს** ხრიგინით დადის; ხრიგინი გააქვს

**დახროტინება** ხროტინის ამოშვება

**დაჯახუნდება** ჯახუნის ხმას გამოსცემს, ჯახუნით გახმაურდება

**დაჯახუნება** ჯახუნის ხმის გამოცემა, ჯახუნით გახმაურება

**დაჰკივის** კივილით დასძახის

**დაჰკივლებს** კივილით დასძახებს

**დაჰკიჟინებს** კიჟინით დასძახებს, – დაჰყვირებს

**და-ჰ-კრავს** დაუკრავს

**და-ჰ-ქუხებს** მძლავრი ხმით დასძახებს

**და-ჰ-ქუხს** ქუხილისებური ხმით დასძახის, დასჭექს თავზე ვისმე ან რასმე

**დაჰყვირის** ყვირილით იძახის ვისიმე ან რისამე თავზე, – ყვირილით დასძახის

**დაჰყივლებს** რისამე ან ვისამე თავზე დაიყივლებს, – ყივილით დასძახებს

**დგანდგარი** დიდი ხმაურობა მიწისძვრისა და სხვ., – გრიალი

**დგაფუნი** ტალღების ხეთქების ხმა

**დგვეფა** კუთხ. (იმერ.) „ისეთი გარტყმა, რომ ბოხი ხმა გავიდეს“

**დგრიალებს** დიდად ხმაურობს, გრიალებს

**დგრიალი** ძლიერი ხმაურობა

**დვრინი**[1] საერთოდ, დაბალი მეორე ბანი

**დვრინი**[2] საპენტის ლარის მიერ გამოცემული ხმა

**დონდგოლი** კუთხ. (ქიზ.) შეკრებილი ხალხის მოძრაობა და ხმაურობა, – ჩოჩქოლი

**დოღრიალა** ღრიალა, მყვირალა

**დრიგინ-დრიგინით** რისამე (მაგ., მატარებლის) სვლისას ხმის გამოცემით, ხმაურით

**დუგდუგი** ხმაბაძვ. ამუშავებული მანქანის (მავალი მატარებლის...) ერთნაირი განუწყვეტელი ხმაური

**დუდუნებს** დუდუნი გააქვს, ნელა ხმაურობს წყალი, მდინარე

**დუდუნი** დაბალი ხმით დაუნაწევრებელი ბგერების გამოცემა, ყრუ და წყნარი ხმიანობა, ბუტბუტი

**დუდღუნი** ცხვირში ლაპარაკი

## ე

**ეგუგუნება** გუგუნით ეხმაურება

**ელვა-ქუხილი** ელვა და ქუხილი

**ენატკბილი** ტკბილმოსაუბრე, ტკბილად მოლაპარაკე

**ერთხმიანი** ერთ ხმაზე შესასრულებელი (სიმღერა)

**ექვსხმიანი** ძვ. მუს. ექვსი ხმისაგან შემდგარი (გუნდი)

**ექო** რაიმე საგნის ბგერის არეკვლა, – გამოძახილი, ნახმევი

**ეყაყანება** ყაყანით ელაპარაკება

**ეჩურჩულება** ჩურჩულით ელაპარაკება

**ეხლიჩება** ჩახლეჩილი, ხრინწიანი უხდება ხმა

**ეხო** იგივეა, რაც ექო

**ეხრინწება** ხრინწიანი უხდება, – უხრინწიანდება ხმა

## ზ

**ზავთი** ძლიერი ხმა

**ზავთიანი** ძლიერი, ომახიანი, რიხიანი ხმა...

**ზათქი** ძლიერი, ყურთასმენის წამღები ხმა

**ზათქიანი** ისეთი, რასაც ზათქი ახლავს, რასაც ძლიერი, გამაყრუებელი ხმაური სდევს თან

**ზაპა-ზუპი** რბილ რამეზე ჯოხის, წკეპლის ცემის ხმა

**ზაპანი** მძიმე და დიდი რისამე ძირს დავარდნის ხმა

**ზაპუნი** ცემა რამე რბილ საგანზე

**ზარიანი** ზარის რეკის მსგავსი ხმა

**ზახი** ძვ. ხმაური, ყვირილი, ძახილი

**ზახიანი** ომახიანი, მაღალხმიანი

**ზახილი** ყვირილი; ღრიანცელი, აყალ-მაყალი

**ზიმზიმებს** ჩოჩქოლი, ჟრიამული აქვს

**ზიმზიმი** ერთად შეყრილი მრავალი ადამიანის ხმაურიანი მოძრაობა, ჩოჩქოლი, ჟრიამული

**ზლუქუნებს** გულამოსკვნით ხმამაღლა ტირის

**ზლუქუნ–ზლუქუნით** განუწყვეტელი ზლუქუნით

**ზლუქუნი** გულამოსკვნითი ხმამაღალი ტირილი

**ზმუილი** გაბმული ხმადაბლა ბღავილი საქონლისა

**ზმუის** ხმადაბლა გაბმით ბღავის (საქონელი)

**ზმუკუნი** ჭირვეული ტირილი

**ზრიალი** ზარის ხმის მაგვარი ძლიერი ხმა, რისამე რყევის დროს გამოცემული

**ზუ** ხმაბაძვ. ზუზუნის, ზუილის ხმა

**ზუზუნებს** ზუზუნს გამოსცემს, ზუზუნი გააქვს

**ზუზუნ-ზუზუნი** ერთი-მეორეს მიყოლებული ზუზუნი

**ზუზუნი** გასროლილი ან ძლიერად მოქნეული საგნის მიერ ჰაერის გაპობით გამოწვეული წვრილი, გაბმული ხმა

**ზუზუნ-შუილი** ზუზუნი და შუილი

**ზუილი** იგივეა, რაც ზუზუნი

**ზუის** ზუილს გამოსცემს

**ზღრიალებს** კუთხ. (გურ.) იხ. ზრიალებს

**ზღრიალი** კუთხ. (გურ.) ზრიალი

## თ

**თოთქოლი** შეშფოთებით, აღელვებით გამოწვეული მოძრაობა და ყრუ ხმაური

**თუხთუხებს** ხმაბაძვ. თუხთუხი გააქვს, თუხთუხით ხმაურობს, – ფუხფუხებს

**თუხთუხი** ხმაბაძვ. მოსქო სითხის დუღილის დროს ყრუ, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმაური

**თქარა-თქური** ხმაბაძვ. ცხენისა და მისთ. ფეხის ხმაური ჭენებისას – ჩვეულებრივ, ტალახში, – თქარუნი

**თქართქარი** ხმამაღალი სიცილი, ხარხარი ბევრისა

**თქარუნებს** ხმაბაძვ. თქარუნის ხმას გამოსცემს ჭენებისას

**თქარუნი** ხმაბაძვ. ცხენის ფეხის ხმა ჭენებისას, – თქარა-თქური

**თქაფა-თქუფი** ხმაბაძვ. იგივეა, რაც თქარა-თქური

**თქაფანი** ხმაბაძვ. იგივეა, რაც თქაფუნი

**თქაფუნი** ხმაბაძვ. წყალში გავლისას, წყლის დაღვრისას ან მასში რაიმეს ჩავარდნისას გამოცემული ხმა

**თქაშა-თქუში** 1. იგივეა, რაც ჩხრიალი. 2. იხ. თქარა-თქური

**თქერა** ხმაბაძვ. იგივეა, რაც თქარა-თქური, თქარუნი

**თქვა** სიტყვიერად გამოხატა, გადმოსცა აზრი, – სიტყვიერად აღნიშნა რაიმე, წარმოთქმა

**თქლაფა-თქლუფი** თქვლეფით ჭამა; თქვლეფით ჭამის ხმა

**თქლაფუნი** ზედაპირზე რისამე ბრტყლად დაცემის ხმა

**თქონთქოლი** კუთხ. (ქიზ.) ჩოჩქოლი

**თქრიალი** იგივეა, რაც ჩხრიალი

**თხიპინი, თხიფინი** ხრინწის მსგავსი ხმა

**თხლაშა-თხლუში** ტალახში წყალში ფეხების ცემის ხმა

**თხლაშანი** ხმაბაძვ. გამეტებით სილის გარტყმის ხმა; „ლაწანი, ტკაცანი“

## ი

**იბზუებს** იგივეა, რაც იბზუვლებს

**იბრახუნებს** ბრახუნს დაიწყებს

**იგრგვინებს** გრგვინვის ხმას გამოსცემს

**იგრიალებს** გრიალის ხმას გამოსცემს

**იგრუხუნებს** გრუხუნის ხმას გამოსცემს

**იგუზგუზებს** გუზგუზით იხმაურებს, – იგიზგიზებს, იგუგუნებს

**იზმუვლებს** ზმუილს მოჰყვება, ზმუილს დაიწყებს

**იკივლებს** კივილს დაიწყებს, კივილი აღმოხდება, ცივი ხმით იყვირებს, – დაიკივლებს, იწივლებს

**იმქუხარებს** მქუხარედ გაისმის, – იგრგვინებს

**იმწვიტინებს** წვიტინს მოჰყვება, წვიტინით შესძახებს, – იწივლებს

**იჟღავჟღავებს** ჟღავჟღავს მოჰყვება, ჟღავჟღავით, ჟღავილით იხმაურებს ფრინველი

**იჟღერებს** ჟღერის ხმას გამოსცემს

**იჟღივლებს** ჟღივილს გააბამს

**ირეკება** ჩამოიკვრება ზარი

**ისივლებს** კუთხ. (იმერ.) სივილს ამოუშვებს, – იწივლებს, იკივლებს

**ისმის** ყურთა სმენამდე აღწევს, გასაგონი ხდება, გასაგონია, – მოისმის, გაისმის

**ისხრაპნება** კუთხ. (ფშ.) იძვრის, ზანზარებს

**იტკაცუნებს** ტკაცუნის ხმას გამოაცემინებს თავისაზე

**იფხაკურებს** ფხაკურს მოჰყვება

**იქვითინებს** ქვითინით იტირებს

**იქვითქვითებს** ქვითქვითს მოჰყვება, – იქვითინებს

**იქუხებს** ქუხილი გაისმის

**იღავღავებს** ღავღავს მოჰყვება, ღავღავს ასტეხს

**იღიღინებს** ღიღინს მოჰყვება, – ღიღინით, დაბალ ხმაზე (თავისთვის) იმღერებს

**იღმუვლებს** ღმუილის ხმას გამოსცემს

**იღნავლებს** ღნავილს მოჰყვება

**იღრიალებს** ღრიალს მოჰყვება

**იღრჭენს** დაკრეჭს, გამოაჩენს კბილებს; აკრაჭუნებს კბილებს

**იღრჭიალებს** ღრჭიალის ხმას გამოაცემინებს

**იყაყანებს** ყაყანს მოჰყვება, ყაყანით ილაპარაკებს

**იშრიალებს** შრიალით იმოძრავებს

**იშხივლებს** შხივილით გადმოვა, გადმოსკდება წყალი, სითხე, – იშხუვლებს

**იჩურჩულებს** ჩურჩულს მოჰყვება, ჩურჩულით ილაპარაკებს

**იძახის** თავისებურ ხმას გამოსცემს ზოგიერთი ფრინველი

**იწრიპინებს** წრიპინს მოჰყვება

**იჭაჭება** ძალიან ყვირის

**იჭექებს** ჭექის ხმას გამოსცემს, – იქუხებს

**იჭექ-იქუხებს** იჭექებს და იქუხებს

**იჭეხებს** იხ. იჭექებს

**იხმატკბილებს** ხმატკბილად იმღერებს, ტკბილად იგალობებს

**იხმაურებს** ხმაურს მოჰყვება

**იხმოვანებს** ხმას გამოსცემს, – იჟღერებს

**იხუვლებს** ხუილს მოიღებს, ხუილით გადმოეშვება, გაექანება, გაემართება, – იგრიალებს ბევრი ერთად: ხალხი და სხვ.

## კ

**კავკავი** 1. ძაღლის უღონო ხმიანობა, – წკავწკავი. 2. წეროს ძახილი

**კაკა-კუკი** კაკუნის ხმა

**კაკანება** ძვ. „მოტირალის ქვითინია“ (საბა)

**კაკანებს** კაკანს გამოსცემს

**კაკანი** 1. ქათმის ხმიანობა (კვერცხის დადებისას და მის შემდეგ). 2. კაკანის მსგავსი წვრილი ხმით სიმღერა

**კაკუნი** ხმა, რომელსაც გამოსცემს მაგარ სხეულზე მაგარი, უფრო პატარა სხეულის ხშირი დაკვრა

**კაპა-კუპი** კბილების ერთმანეთზე ცემის ხმა, – კაპუნი

**კაპუნი** კბილების კბილებზე ცემისას გამოცემული ხმა

**კარკალი** კუთხ. (გურ.) იგივეა, რაც კაკანი

**კარკარი** იხ. რაკრაკი

**კარკაცი** კუთხ. (გურ., იმერ.) იგივეა, რაც კასკასი

**კასკასი** სიცილი, ხმამაღალი და თან წვრილხმიანი, – კისკისი

**კაწა-კუწი** კბილებით მტვრევის ხმა თხილის ნაჭუჭისა

**კაწკაწი** ხმაბაძვ. კბილების ერთმანეთზე რტყმა ხმის გამოცემით

**კაჭრობა** ძვ. „გველის ყიყინი“ (საბა), გველის წივილი

**კეთილხმიანი** კარგი, საამო ხმის მქონე

**კვატკვატი** კუთხ. (იმერ. გურ.) იხვის ხმიანობა, – ყიყინი იხვისა

**კვნესა** წუხილის გამომხატველი გაბმული ხმა, რომელსაც გამოსცემს ადამიანი

**კვნესა-გალობა** სევდიანი გალობა

**კვნესა-გმინვა** კვნესა და გმინვა

**კვნესის** დიდი ტკივილის ან რაიმე მძიმე განცდის დროს გამოსცემს წუხილის გამომხატველ გაბმულ ხმას

**კვრინვა** ძვ. ვეფხთა, ფოცხვერთა, კატათა და მისთანათა კრუტუნი (საბა)

**კივილი** მაღალი ხმით ყვირილი

**კივის** წვრილი მაღალი ხმით გაბმით გასძახის, მაღალ ხმას ამოუტევებს გაბმით ადამიანი || წვრილ, უსიამოვნო ხმას გამოსცემს ფრინველი

**კივკივი** ინდაურის ხმიანობა

**კიკინი** თხის ხმიანობა

**კიოსანი** ვინც ან რაც კივის, – მკივანა

**კიპკიპი** ქორის ხმიანობა

**კიჟინი** მრავალთ შეძახილი, მრავალი ადამიანის ყვირილი, – ყიჟინა

**კირკილი** კუთხ. (იმერ.) წყაროს წყლის რიკრიკი

**კისკისი** მაღალი, წვრილი ხმით გულიანი სიცილი

**კმინვა** ლომის ნელი ხმიანობა, ნელი კვნესა

**კნავილი** კატის ხმიანობა

**კნავის** კნავილი გააქვს

**კნატა-კნუტი** კნატუნი, კნაწა-კნუწი

**კნატუნი** მაგარი, ხმელი ან ნაჭუჭიანი რისამე კვნეტის ხმა, – ხრამუნი, კნაწუნი

**კნაწა-კნუწი** იგივეა, რაც კნატა-კნუტი

**კნაწუნი** იგივეა, რაც კნატუნი

**კნუსკნუსებს** კუთხ. (ფშ.) კრუსუნებს

**კოკინი** ძვ. ვირის ყროყინი (საბა)

**კრატუნი** მაგარი, ხმელი ან ნაჭუჭიანი რისამე კვნეტის ხმა

**კრაჭა-კრუჭი** ხმაბაძვ. ჭრაჭა-ჭრუჭი, ჭრაჭუნი, ჭრიალი (ფეხსაცმლისა, იატაკისა და მისთ.)

**კრაჭუნი** კბილების ერთმანეთზე დაჭერა-გასმით ერთგვარი უსიამოვნო ხმის გამოცემა

**კრიალა** რაც კრიალებს – რაკრაკა, წკრიალა

**კრიალი** 1. კუთხ. (კახ.) კრუხის ხმიანობა. 2. კუთხ. (ფშ.) იგივეა, რაც ყიყინი. 3. ხის სასმისის, „კულის ხმა“ (საბა)

**კრიახი** დამფრთხალი ქათმის და ზოგიერთი სხვა ფრინველის ხმიანობა, – ჭრიახი

**კრიმანჭული** გურულ მაყრულ, საგმირო, ისტორიულ სიმღერებში – თავისებურად მიმოქცეული მაღალი ხმა

**კრინავს** კვნესის, გმინავს, ხმას ძლივს იღებს

**კრინვა** ხმაბაძვ. წკრიალი

**კრინი** სიმღერებში – ერთ-ერთი წვრილი ხმა

**კრინტვა** ძილში კრუტუნი კატისა...

**კრინტი** მცირე ხმა, – ჩქამი ჩვეულებრივ უარყოფით წინადადებაში

**კრიჭინი** იგივეა, რაც ჭრიჭინი, ჭრიალი

**კრიხინი** იგივეა, რაც კრიახი

**კრუსუნებს** სუსტად, უღონოდ კვნესის

**კრუსუნი** სუსტი, უღონო კვნესა

**კრუტუნი** ნებიერი ხმიანობა კატისა

**კრუშ-კრუში** კრუხის ხმიანობა, – კრუხუნი.

**კრუხუნი** კრუხის ხმიანობა, – კრუშ-კრუში

**კრჩხიალი** „დიაცთ კივილი“

**კრჭიალი** ღრჭიალი, ღრჭენა, კრაჭუნი კბილებისა

**კუთავს** ნელა კვნესის, – კრუსუნებს

**კუთვა** 1. ნელი კვნესა. 2. კუთხ. (იმერ.) კრუხის კრიახი, ჭრიახი. 3. ჭახჭახი შაშვისა

**კუთილი** კუთხ. (გურ.) იგივეა, რაც კუთვა

**კუთ-კუთი** ფრინველთა დაბალი და გაბმული ხმიანობა

**კუკუ** „გუგულის ხმიანობა“, – გუგუ

**კუნკული** კუთხ. (გურ.) „ნელი კვნესა და წუხილი ძილში“

**კურკური** 1. ჩუმი ლაპარაკი, – ჩურჩული. 2. ტკბილად, ალერსით ხმადაბლა ლაპარაკი მოარშიყეთა. 3. იგივეა, რაც რაკრაკი. 4. ხმაბაძვ. ქათმის ხმიანობა, როცა წიწილებს უხმობს.

**კუტკუტი** ხმაბაძვ. ზოგი ფრინველის ხმიანობა

**კუჭკუჭი** დაბალხმიანი, გულიანი სიცილი ქალისა, ბავშვისა

**კუხუნი** ქუხილის მსგავსი ხმა ზღვის ღელვისა

# ლ

**ლაგლაგი** კუთხ. (იმერ.) უთავბოლო და ბევრი ლაპარაკი, – ყბედობა

**ლაკლუკი** კუთხ. (ფშ.) იგივეა, რაც ლუკლუკი

**ლაპარაკი** რაიმე ამბის გადაცემა, – საუბარი, ბაასი, მასლაათი.

**ლაფასი** კუთხ. (კახ.) ქოშინი

**ლაქლაქი** უთავბოლო და ბევრი ლაპარაკი, – ყბედობა

**ლაღლილი** იგივეა, რაც ლაყლაყი

**ლაყლაყი** ხმა, რომელსაც გამოსცემს შენჯღრევისგან ლაყე კვერცხი ან სითხე ნაკლულ ჭურჭელში

**ლაწ!** ხმაბაძვ. ლაწუნის ლაწანის, გალაწუნების ხმა

**ლაწა-ლუწი** ხშირი ჯახების ხმა

**ლაწანი** საერთოდ, რისამე გარტყმის, დაჯახების ხმა, – ჯახუნი

**ლაწი-ლუწი** იგივეა, რაც ლაწა-ლუწი

**ლაწუნი** იგივეა, რაც ლაწანი

**ლიგლიგი** კუთხ. (იმერ.) ხმამაღალი უაზრო ლაპარაკი

**ლიკლიკა** ვინც რაც ლიკლიკებს, – მოლიკლიკე

**ლიკლიკებს** 1. ხმაბაძვ. ლიკლიკით დის მდინარე, ნაკადული, – რაკრაკებს. 2. ლიკლიკით ლაპარაკობს, – ტიტინებს

**ლიკლიკი** 1. ხმაბაძვ. პატარა და სწრაფი მდინარის ან ნაკადულის მიერ გამოცემული ხმა, – რაკრაკი. 2. ბავშვის ლაპარაკი, – ტიტინი

**ლიკლიკობს** იხ. ლიკლიკებს

**ლიწინი** იგივეა, რაც ლაწანი

**ლიწინ-ლიწინი** იგივეა, რაც ლაწა-ლუწი

**ლიწლიწი** წვრილი ხმების გამოცემა, – ჭრიჭინი

**ლოყინი** ვირისა და კამეჩის ხმიანობა

**ლუკლუკი** იგივეა, რაც ლიკლიკი

**ლუღლუღი** არამკაფიო, გაურკვეველი ლაპარაკი

## მ

**მასლაათი** თავის შესაქცევი, გულის გადასაყოლებელი საუბარი, – მუსაიფი, ბაასი

**მბღავანი** კუთხ. (ფშ.) რაც ბღავის – ხარი, ფური, ცხვარი

**მგრგვინავი** რაც გრგვინავს, – მქუხარე

**მიაბაკუნებს** ბაკუნით მიდის

**მიაბრახუნებს** ბრახუნით მიიხურავს (კარსა და მისთ.)

**მიაკაკუნებს** აქედან დააკაკუნებს, – მიარაკუნებს

**მიალაწუნებს** ლაწუნით მიდის

**მიაჯახუნებს** ჯახუნით მიხურავს, მიახეთქებს (კარს, ფანჯარას...)

**მიგრიალებს** გრიალით მიდის

**მიიჯახუნებს** ჯახუნით მიიხურავს კარს

**მიუკაკუნებს** მიაკაკუნებს მისას

**მიუჩხაკუნებს** ჩხაკუნის ხმას გამოაცემინებს

**მიუჯახუნებს** ჯახუნით მიუხურავს (კარს), – მიუხეთქებს

**მიქუხს** ქუხილით, ხმაურით მიდის, მიედინება

**მიქშუის** ქშუილით მიდის, მიიმართება; ქშუილით მიქრის

**მიღიღინებს** ღიღინით მიდის

**მიჯახუნება** ჯახუნით მიხურვა, მიხეთქება

**მკრინავი** ვინც ან რაც კრინავს, წვრილ ხმას გამოსცემს

**მო[ს]თქვამს** ხმამაღლა ტირილით გლოვობს, – გოდებს

**მოაბაკუნებს** ბაკუნით მოდის

**მოაჩხარუნებს** მოდის და აჩხარუნებს

**მოაჯახუნებს** ჯახუნით მოხურავს, მოახეთქებს (კარს, ფანჯარას...)

**მოგრიალდება** გრიალით მოვა

**მოგუგუნე** რაც გუგუნებს; რასაც გუგუნი გააქვს

**მოგუდული** ყრუ ხმა

**მოდუდუნე** ვინც ან რაც დუდუნებს

**მოდუდუნებს** დუდუნით მოდის, მოედინება

**მოზიმზიმე** რაც ზიმზიმებს; მოგუგუნე, მოზრიალე

**მოზუზუნე** რაც (ვინც) ზუზუნებს

**მოზუზუნებს** ზუზუნით მოდის

**მოზუის** ზუილით მოდის, მოქრის

**მოთუხთუხე** რაც თუხთუხებს

**მოისმის** იქიდან ისმის, ყურთასმენამდე აღწევს; გაისმის

**მოკაკუნება** იქიდან დაკაკუნება

**მოლუკლუკე** რაც ლუკლუკებს

**მომტირალი** ტირილის მაგვარი, ტირილის მსგავსი

**მოჟრიალე** რაც ჟრიალებს, რაც ჟრიალით ხმაურობს

**მორიხინდება** რიხინით მოვა

**მოროყინობს** როყინით მოდის

**მორუხრუხე** რაც რუხრუხებს

**მოტიკტიკე** ვინც ან რაც ტიკტიკებს, – მოტიტინე

**მოტიტინე** ვინც ტიტინებს

**მოქუხარი** რაც (ან ვინც) ქუხს

**მოქუხს** ქუხილით, ხმაურით მოდის, მოედინება

**მოქშუის** ქშუილით მოდის, მოემართება; ქშულით მოქრის

**მოღიღინე** ვინც ღიღინებს, ღიღინით სიმღერის მთქმელი

**მოღიღინებს** ღიღინით მოდის

**მოღრიტინებს** ღრიტინით მოდის

**მოღუღუნე** რაც ღუღუნებს

**მოყაყანე** ვინც ყაყანებს, ყაყანით მოლაპარაკე

**მოშრიალე** რაც შრიალებს

**მოშხუილე** რაც შხუის

**მოჩანჩქარე** ჩანჩქარით მდინარე

**მოჩახჩახე** მოჩხრიალე, მოჩუხჩუხე

**მოჩურჩულე** ვინც ჩურჩულებს

**მოჩურჩულებს** ჩურჩულით მოდის

**მოჩქრიალე** რაც ჩქრიალებს

**მოჩქრიალებს** ჩქრიალით მოდის, მოედინება, – მოჩხრიალებს

**მოჩხრიალე** რაც ჩხრიალებს, ჩხრიალით მომდინარე

**მოჩხრიალებს** ჩხრიალით მოდის

**მოჯახუნება** ჯახუნით მოხურვა, მოხეთქება

**მუსაიფი** მშვიდი გაბმული ლაპარაკი, – ბაასი

**მფშვინავი** ვინც ან რაც ფშვინავს

**მფშვინვარე** იგივეა, რაც მფშვინავი

**მქუხარება** იხ. ქუხილი

**მქუხარი** რაც ქუხს, – მჭექარე, მგრგვინავი

**მღერა** მუსიკალური ნაწარმოების შესრულება (ადამიანის) ხმით

**მღერა-გალობა** მღერა და გალობა

**მღერა-თამაში** მღერა და თამაში

**მღერა-ჭიკჭიკი** მღერა და ჭიკჭიკი

**მყეფარი** რაც ყეფს, ძაღლი

**მყვირალა** ხმამაღალი, მკვეთრი, გამკივანი ხმა

**მყვირალი** ვინც ან რაც ყვირის

**მყივანა** ყივილს ჩვეული, ყივილის გამომცემი

**მყივანი** რაც ყივილს მოგვაგონებს

**მყივარი** იგივეა, რაც მყივანი

**მჩხავანა** ვისაც ან რასაც ჩხავილი სჩვევია, ვინც ან რაც ხშირად ჩხავის

**მწივანა** ძალიან წვრილი ხმა

**მჭექავი** იგივეა, რაც მჭექარე

**მჭექარე** ძალიან ძლიერი ხმა

**მჭექარებს** ჭექის ხმას გამოსცემს, მჭექარედ ხმაურობს

**მჭეხარი** იგივეა, რაც მჭექარე

**მჭყვირალა** ვინც ან რაც ჭყვირის ხოლმე, ვისაც ან რასაც ჭყვირილი სჩვევია

## ნ

**ნაირხმიანი** სხვადასხვა ხმების, ბგერების შემცველი

**ნაქუხარი** იგივეა, რაც ნაქუხი

**ნაქუხი** რამაც იქუხა

**ნახევარხმად** დაბალი ხმით, ჩუმად, ხმადაბლა

**ნახმევი** რაიმე ხმის ანარეკლი, გამოძახილი, – ექო

**ნუღნუღებს** იგივეა, რაც დუდღუნებს

## ო

**ორხმიანი** მუს. ორი ხმით შესასრულებელი (სიმღერა)

**ოხვრა-გმინვა** ოხვრა და გმინვა

## პ

**პაკი-პუკი**, **პაკა-პუკი** ხმაბაძვ. იგივეა, რაც ბაკი-ბუკი, ბაკა-ბუკი

**პარტყა, პარტყანი** მძიმე სხეულის დაცემის ხმა

**პარტყა-პურტყი** ცემა-ტყეპის, დარტყმის ხმა, – ხშირი პარტყუნი, ტყაპა-ტყუპი

**პიპინი** ზურნის, დუდუკის და მისთ ხმა

**პლაკუნი** პაპიროსის, თამბაქოს მოწევისას ბაგეების მიერ გამოცემული ხმა

**პრაკა-პრუკი** მყარ ზედაპირზე მაგარი რაიმეს ფეხსაცმლის, ჩლიქებისა და მისთ. ცემის ხმა.

**პრაკუნი** სულელური, უთავბოლო ლაპარაკი

**პრუწუნი** იხ. წრუპუნი

**პუტუნი** კუთხ. (გურ., იმერ.) ჩურჩული, ბუტბუტი

## ჟ

**ჟაპა-ჟუპი** მათრახის, შოლტის, სახრის ცემის ხმა

**ჟაპუნი** ცემის ხმა

**ჟივილი** 1. ხმაბაძვ. ჩიტების გუნდის ხმიანობა, – ჟივჟივი, ჭიკჭიკი. 2. ბევრი ბავშვის, ადამიანის ხმაურობა, ყვირილი, – ჟრიამული

**ჟივილ-კივილი** ჟივილი და კივილი

**ჟივილ-ხივილი** ჟივილი და ხივილი, – ჟრიამული

**ჟივის** ხმაბაძვ. ჟივილის ხმას გამოსცემენ

**ჟივჟავი** ხმაბაძვ. იგივეა, რაც ჟივჟივი

**ჟივჟივი** ხმაბაძვ. ფრინველთა განუწყვეტელი ხმიანობა, – გაბმული ჟივილი

**ჟიჟინი** ხმაურობა; ძახილი, ყვირილი

**ჟრიალი** 1. ხმაბაძვ. ჩიტების გუნდის ხმიანობა, – ჟივჟივი, ჭიკჭიკი. 2. იგივეა, რაც ჟღარუნი

**ჟრიამული** ფრინველთა ან ადამიანთა ხმაური უპირატესად მხიარული, – ჟივილი, ჟივილ-ხივილი

**ჟრიკჟრიკი** ხმაბაძვ. ფრინველის გალობის ხმა, – ჟრუანტელი, ჭიკჭიკი

**ჟღავილი** ჩხავილი, ყვირილი

**ჟღავი-ჟღუვი** უწესრიგო ხმაური, ყაყანი, ჟღავილი ბევრისა

**ჟღავის** ჟღავილი გააქვს, – ჩხავის, ყვირის

**ჟღავჟღავი** იგივეა, რაც ჟღავი-ჟღუვი

**ჟღარა-ჟღური** ხმაბაძვ. ჟღარუნი. ჟღრიალი ბევრი საგნისა

**ჟღარუნი** ხმაბაძვ. ლითონის საგნების ერთმანეთზე მირტყმის ხმა, – ჟღრიალი

**ჟღერა** იგივეა, რაც ჟღარუნი

**ჟღერება** რაც სასიამოვნოდ ჟღერს ჟღერის თვისების მქონე

**ჟღერს** ჟღერის ხმას, კეთილად მოსასმენ ბგერებს გამოსცემს, საამურად ხმიანობს (უპირატესად საკრავი)

**ჟღივილი** იგივეა, რაც ჟივილი

**ჟღივილ-ყაყანი** ჟღივილი და ყაყანი

**ჟღრიალა** რაც ჟღრიალებს

**ჟღრიალებს** ჟღრიალი გააქვს, – ჟღარუნებს

**ჟღრიალი** ხმაბაძვ. იგივეა, რაც ჟღარუნი

**ჟღრიალ-წკრიალი** ხმაბაძვ. ჟღარუნი, ჟღრია-ლი ბევრი საგნისა

**ჟღურტულებს** ჟღურტულის ხმას გამოსცემს, – ჟივჟივებს, ჭიკჭიკებს

**ჟღურტული** 1. ხმაბაძვ. ფრინველთა გალობა, – ჭიკჭიკი. 2. გადატ. ტიტინი, ტიკტიკი (ბავ-შვისა)

## რ

**რაზრაზი** გრიალი, ზრიალი

**რაკა-რუკი** ხმაბაძვ. ხშირად გამეორებული რაკუნის ხმა

**რაკი-რუკი** იგივეა, რაც რაკა-რუკი

**რაკრაკა** რაც რაკრაკებს

**რაკრაკებს** საამოდ, ტკბილად გალობს ფრინველი

**რაკრაკი** 1. ხმაბაძვ. წყაროს, ნაკადულის ხმა-ური. 2. მგალობელ ფრინველთა ჭიკჭიკი, სიმღერა

**რაკუნი** ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმა, რომელსაც გამოსცემს მაგარი საგნის ასეთივე საგანზე ხშირი ცემა, – კაკუნი

**რაჟღა-რუჟღი** იხ. ჟღარა-ჟღური

**რაჩხუნი** იხ. ჩხარუნი

**რაწკი-რუწკი** იხ. წკარა-წკური

**რაწკუნი** იხ. წკარუნი

**რახ!** ხმაბაძვ. მაგარ რამეზე მაგარი და მძიმე სხეულის ძლიერი დაცემის ან მიჯახების ხმა

**რახა-რუხი** მაგარი სხეულების ვარდნის, ცემის, ერთმანეთზე მიხლის ხმა

**რახვანი** იგივეა, რაც ბრაგვანი

**რახი-რუხი** იხ. რახა-რუხი

**რახრახი** უსწორ-მასწორო ზედაპირზე მძიმე სხეულის (ქვის, ეტლის, მანქანის...) მოძრაობით გამოცემული ხმა

**რახუნი** მაგარ სხეულზე მაგარი სხეულის ცემის ხმა, – ბრახუნი

**რეკს** (ზარს და მისთ.) რისამე ცემით ხმას აღებინებს

**რეხვა** მაგარი რისამე დარტყმა, თხლეშა

**რეჯგვა** მძიმე სხეულის დაცემა, მიხეთქება, მიხლა

**რიკინი** ერთგვარი ხმიანობა, ხმაური, – რაკუნი

**რიკრიკა** რაც რიკრიკებს, რასაც რიკრიკი გააქვს, – რაკრაკა

**რიკრიკი** 1. მგალობელ ფრინველთა ჭიკჭიკი, – რაკრაკი. 2. წყლის, ნაკადულის... ხმაური

**რიწკინი** კუთხ. (იმერ.) იხ. წკარუნი

**რიხინი** იგივეა, რაც რახრახი

**რიხინ-რიხინი** გაბმული რიხინი

**როყინი** კამეჩის ხმიანობა

**როყროყი** უხეში, უშნო, დიდი ხმით ლაპარაკი

**როხროხი** უშნო, ბოხი ხმით ხმამაღლა ლაპარაკი, ხმაური

**რუზრუზი** ხმაური, ჩოჩქოლი, აურზაური

**რუხრუხი** რახრახი, გრიალი, გრგვინვა

## ს

**საუბარი** გაბმული, მშვიდი ლაპარაკი ვინმესთან, – ბაასი

**სთხლეშს** რაიმეს მაგრად დაარტყამს

**სივილი** ძლიერ მაღალი, წვრილი ხმის გამოცემა, – წივილი, სისინი

**სიმღერა** ლექსთან შეწყობილი მუსიკალურ-ვოკალური ნაწარმოები, რომელსაც ასრულებს მომღერალი ან მომღერალთა გუნდი

**სისინ-ზუზუნი** სისინი და ზუზუნი

**სისინი** ხმაბაძვ. გველის, ბატის მიერ გამოცემული ხმა, – სივილი

**სიტყვატკბილი** ტკბილად მოსაუბრე, – ენატკბილი

**სიცილი** სიხარულის, მხიარულების, კმაყოფილების... გამოხატვა სპეციფიკური წყვეტილი ხმებით

**სლაპა-სლუპი** სვლეპით ჭამის ხმა

**სლუკ-სლუკი** ზედიზედ განმეორებული სლუკუნი

**სლუკუნებს** სლუკუნით ტირის

**სლუკუნი** გულამოსკვნით ხმამაღლა ტირილი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი სუნთქვითა და სპეციფიკური ბგერების გამოცემით

**სრუტუნი** ცხვირით ჰაერის შესუნთქვა ხმის გამოცემით

**სტვენა** 1. მკვეთრი და მაღალი ხმა, რომელსაც გამოსცემენ ერთმანეთთან მიახლოებული ტუჩებიდან ჰაერის ამოსუნთქვით ან რაიმე საგანგებო ხელსაწყოთი სასტვენით. 2. ქარის ან რაიმე საგნის სწრაფი მოძრაობით გაპობილი ჰაერის ხმა. 3. ზოგიერთი ფრინველის (მაგ., ბულბულის, შაშვის...) ხმიანობა, – გალობა

**სტვენს** ერთმანეთთან მიახლოებული ტუჩებით ან საგანგებო ხელსაწყოთი – სასტვენით მაღალ, მკვეთრ ხმას გამოსცემს

**სხივილი** იგივეა, რაც შხივილი

## ტ

**ტაკა-ტუკი** რისამე პერიოდული ცემის ან მექანიზმის – საათის, მანქანის მუშაობის ხმა, – რიტმული კაკუნი

**ტაკი-ტუკი** იხ. ტაკა-ტუკი

**ტაკტაკი, ტაკტუკი** იგივეა, რაც ტაკა-ტუკი

**ტახუნი** რისამე დარტყმის ხმა, – რაკუნი, ჭახუნი

**ტიკტიკი** ბავშვის საამო ლაპარაკი, – ტიტინი

**ტიტინი** ახლად ენაამოდგმული ბავშვის ლაპარაკი, – ტიკტიკი

**ტიხტიხი** ხმაბაძვ. ზოგი ფრინველის (ღალღის) დამახასიათებელი ძახილი

**ტკაცანი** რისამე შეშის წვით, მტვრევით ან ხელის, შოლტის მოქნევით, შემორტყმით გამოწვეული მკვეთრი ხმა, – ლაწანი

**ტკაცა-ტკუცი** ზედიზედ, ზედმიყოლებით გამეორებული ტკაცანი

**ტკაცი-ტკუცი** იგივეა, რაც ტკაცა-ტკუცი.

**ტკაცუნი** ზედიზედ, გაბმით გამეორებული ტკაცანი, – ტკაცა-ტკუცი

**ტკაცუნობს** ტკაცუნი გააქვს, ტკაცუნის ხმას გამოსცემს

**ტკბილხმიანი** ტკბილი, სასიამოვნო ხმის მქონე, – ხმადამტკბარი

**ტლაშანი** იგივეა, რაც ტყლაშანი

**ტლაშა-ტლუში** იგივეა, რაც ტყლაშა-ტყლუში

**ტლაშუნი** იგივეა, რაც ტყლაშუნი

**ტრუხუნი** ღორის ერთგვარი ხმიანობა

**ტუხუნი** იხ. ტრუხუნი

**ტყაპანი** რისამე ბრტყლად, მძიმედ დაცემის ხმა

**ტყაპა-ტყუპი** ზედიზედ დარტყმის ან დაცემის ხმა, ხშირი ტყაპუნი

**ტყაპუნებს** ტყაპუნის ხმას გამოსცემს

**ტყაპუნი** მაგარ რამეზე რისამე დარტყმის, ცემის ხმა

**ტყვრება** კუთხ. (ფშ.) სკდომის ხმას გამოსცემს, – გრიალებს, ჭექს, ქუხს

**ტყლაშანი** რისამე მოქნევით დარტყმის ან დაცემის ხმა, – ტყლაშუნი

**ტყლაშა-ტყლუში** ხშირი ტყლაშუნი

**ტყლაშუნი** რისამე (სახრის, შოლტის) ქნევის ან გარტყმის ხმა

## უ

**უბაკუნებს** ფეხებს უბაკუნებს – ფეხების ბაკუნით უჯავრდება

**უბრაგუნებს** აბრაგუნებს მისაზე, მასზე

**უბრახუნებს** აბრახუნებს მისაზე ან მასზე, – ურტყამს და ბრახუნის ხმას გამოაცემინებს

**უკაკუნებს** აკაკუნებს მისას, მისაზე, – ურაკუნებს

**უკრავს** მუსიკალურ ინსტრუმენტს ხმას, ბგერებს გამოაცემინებს

**უპუ** ანარეკლი ხმა, – გამოძახილი, ექო

**უსტვენს** იგივეა, რაც სტვენს

**უჩაკუნებს** უკაკუნებს, ურაკუნებს

**უჩურჩულებს** ჩურჩულით ეუბნება, ჩურჩულით ელაპარაკება

**უხმაურო** რაც ხმაურს არ იწვევს, რასაც ხმაური არ ახლავს, – ჩუმი

## ფ

**ფათქა-ფუთქი** კუთხ. (იმერ.) ბათქა-ბუთქი

**ფალცეტი** განსაკუთრებული ტემბრის მაღალი, რბილი და მსუბუქი ხმა

**ფანც-ფუნცი** კუთხ. (ფშ.) რბილი რაიმეს ამოძრავებისას გამოცემული ერთგვარი ყრუ ხმაური, ფაჩი-ფუჩი, ჩამიჩუმი

**ფაყა-ფუყი** ცარიელ ღრუ რამეზე ცემის ხმა, ფახაფუხი, ფახფახი

**ფაჩა-ფუჩი** რბილ ან შრიალა საგნებზე სიარულისას გამოცემული ხმა

**ფაჩი-ფუჩი** იგივეა, რაც ფაჩა-ფუჩი

**ფაჩუნი** ოდნავ გასაგონი ხმა ჩუმი, ნელი სიარულისა, მოძრაობისა

**ფაჩხი-ფუჩხი** კუთხ. (ფშ.) ფხაჭა-ფხუჭი

**ფახა-ფუხი** ღრუ და ხმელ საგანზე რტყმით გამოცემული ხმა

**ფახვანი** ხმელი რისამე ფუყედ დაცემის ხმა

**ფახფახი** თხელკედლიან ღრუ და თხელ რამეზე ცემით გამოცემული ყრუ ხმა

**ფითქინ-ფითქინი** კუთხ. (იმერ.) იხ. ბათქა-ბუთქი

**ფიფინებს** კუთხ. (ქართლ.) შრიალებს

**ფიფინი** 1. კუთხ. (ქართლ.) ჟღურტული. 2. შრიალი

**ფიშფიში** ფაფეულის დუღილისას გამოცემული ხმაური

**ფლასტუნი** ფეხების, ფეხსაცმლის თრევით სიარული და ამ სიარულისას გამოცემული ხმაური

**ფლასუნი** იგივეა, რაც ფლასტუნი

**ფლატუნი** კუთხ. (გურ., იმერ.) იგივეა, რაც ფლასტუნი

**ფლახუნი** ფეხზე დიდი ფეხსაცმლით სიარულისას გამოცემული ხმაური

**ფრუსტუნი** იგივეა, რაც ფრუტუნი

**ფრუტუნი** 1. ცხოველის ნესტოებიდან კუმშად და ერთბაშად გამოსული ჰაერი. 2. საუბ.

გადატ. ნამალევი, თავშეკავებული, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, წაცდენილი სიცილი

**ფურჩული** იგივეა, რაც ჩურჩული

**ფუსფუსი** ძვ. «ჩურჩული, კურკური»

**ფუჩუნი** იგივეა, რაც ჩურჩული

**ფუხფუხი** ფაფეულის დუღილისას გამოცემული ხმა

**ფშვენს** იგივეა, რაც ფშვინავს

**ფშვინავს** სუნთქვისას ნელ ხმას გამოსცემს

**ფშვინვა** სუნთქვისას ნელი ხმის გამოცემა

**ფშმუილი** იხ. ფშუილი

**ფშმუის** იხ. ფშუის

**ფშნატა-ფშნუტი** კუთხ. (ფშ.) ხმელის ფიჩხის, ფოთლის და მისთ. მტვრევის ხმა, ლაწა-ლუწი

**ფშრუკუნი** გულამოსკვნით, გულამოჯდომით ტირილი

**ფშრუტუნი** ქშინვა ძილში

**ფშუილი** ხარის, კამეჩის მიერ ცხვირის ნესტოებიდან დრო და დრო ჰაერის ნაკადის გამოშვებისას გამოცემული ერთგვარი ხმა, ძლიერი ფშვინვა

**ფშუის** ფშუილის ხმას გამოსცემს

**ფშუკუნი** იხ. ფშრუკუნი

**ფშუტუნი** იგივეა, რაც ქშუტუნი

**ფხაკანი** იგივეა, რაც ფხაჭანი

**ფხაკა-ფხუკი** იგივეა, რაც ფხაჭა-ფხუჭი

**ფხაკუნი** კატის ან ძაღლის ფეხით ფხეკის ხმა, მაგარ რამეზე მაგარი და წვეტიანი რისამე სმის ხმა, ფხაჭუნი

**ფხაკური** იგივეა, რაც ფხაკუნი

**ფხატუნი** იგივეა, რაც ფხაკუნი

**ფხაჭანი** 1. მაგარ რამეზე მაგარი და წვეტიანი რისამე ერთგზის გასმით გამოცემული ხმა. 2. ერთბაშად, მოსხლეტით გაქცევისას გამოცემული ხმა

**ფხაჭა-ფხუჭი** მრავალგზის ფხაჭანი, ფხაჭუნი

**ფხაჭუნი** მაგარ რამეზე წვეტიანი რისამე სმით გამოცემული უსიამოვნო ხმა, ფხაკუნი

**ფხიკინ-ფხიკინი** კუთხ. (გურ.) იგივეა, რაც ფხაკა-ფხუკი

**ფხლაკა** კუთხ. (ფშ.) გახტომა, გავარდნა და ამით გამოცემული ხმა

**ფხრაწა-ფხრუწი** ზედიზედ, ხშირი ფხრეწის, ხევის ხმა

**ფხრიწინი** კუთხ. (იმერ. რაჭ.) ფხრეწის ხმა

**ფხუილი** შეშინებული კატის ხმიანობა, ფხუკუნი

**ფხუის** ფხუილი გააქვს, გაუდის, ფხუკუნებს

**ფხუკუნი** შეშინებული კატის, კურდღლის, მაჩვის და მისთ. ხმიანობა, ფხუილი

**ფხუტუნი** კუთხ. (გურ.) პირის გაბერვით ხმიანობა

## ქ

**ქიქინი** ბზუილი, ზუზუნი

**ქოთი** ღრიანცელი, შფოთი, ფორიაქი

**ქოთობა** ხმაური

**ქოთობს** კუთხ. (ფშ., ხევს.) ხმაურობს

**ქოთქოთებს** ქოთქოთი გააქვს, შფოთავს, ჩოჩქოლებს, ხმაურობს

**ქოთქოთი** გაურკვეველი ხმაური და მოძრაობა, ჩოჩქოლი, წრიალი, ალიაქოთი; ღრიანცელი, აურზაური

**ქურქული** კუთხ. (გურ.) ნამალადევი კვნესა ავადმყოფისებურად, კრუსუნი

**ქუხვა** იხ. ქუხილი

**ქუხილი** დიდი, ძლიერი ხმა

**ქუხს** ქუხილის ხმას გამოსცემს, ქუხილის ხმა ისმის – ჭექს, გრგვინავს

**ქშუილი** ერთგვარი ყრუ, გაბმული ხმა ჰაერის მოძრაობისა

**ქშუის** ქშუილის ხმას გამოსცემს

**ქშუტუნი** ნაწყვეტ-ნაწყვეტი ქშენა

# ღ

**ღადღადი** კუთხ. (გურ., იმერ.) ბევრი და ხმამაღალი ლაპარაკი, ხმიანობა

**ღავღავებს** ნაწყვეტ-ნაწყვეტ ყეფს (ძაღლი)

**ღავღავი** ერთგვარი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ყეფა (ძაღლისა)

**ღავღუვი** კუთხ. (ფშ.) იგივეა, რაც ღავღავი

**ღანჭალი** კუთხ. (იმერ.) რყევა, ნძრევა და თან ჭრიალი

**ღარღალი** კუთხ. (იმერ.) ხმამაღლა ლაპარაკი

**ღარღილი** კუთხ. (გურ.) ლაპარაკის ხმა

**ღაფღაფი** ბოხი ხმით ყეფა

**ღაღანი** კუთხ. (ქართლ., გურ., იმერ.) დედლის თავისებური ხმიანობა კვერცხის მოწყების ან დადების წინ

**ღაჭა-ღუჭი** უგვანო ღეჭვის დროს ხმის გამოცემა

**ღაჭუნი** ჭამის დროს ხმის გამოცემა

**ღივის** კუთხ. (ზ.-იმერ.) ღნავის

**ღივღავი** კუთხ. (ქართლ.) ღივღივი

**ღივღივი** მრავალხმიანი, ყურთასმენის წამღები ხმაურობა, ჟღივჟღივი, ზრიალი

**ღიჟღიჟი** ჟრიამული, ჟივილ-ხივილი

**ღირღილა** კუთხ. (იმერ.) პატარა მორაკრაკე, ხმაურა რუ

**ღირღიტებს** ღირღიტას ხმას გამოსცემს, ჭრიალებს, ღრიჭინებს

**ღირღიტი** ჭრიალი, ღრიჭინი

**ღიღინებს** დაბალი, საამო ხმით მღერის

**ღიღინი** დაბალი, საამო ხმით მღერა

**ღიღინობს** იხ. ღიღინებს

**ღლაჭუნი** კუთხ. (ქართლ.) ღაჭუნი

**ღლოფინი** კუთხ. (გურ.) ხმამაღლა, უსიამოვნო ხმით, გაჯავრებით ლაპარაკი

**ღმუილა** რაც ღმუის, ღრიალა

**ღმუილი** გაბმული ხმიანობა მგლისა, ვეფხვისა და მისთ.

**ღორღალი** კუთხ. (ქართლ.) გაურკვეველი ხმაურობა, ღრიანცელი, ჩოჩქოლი

**ღრაჭანი** იხ. ღრაჭუნი

**ღრაჭა-ღრუჭი** ძლიერი ღრაჭუნი

**ღრაჭუნი** რაიმე მაგარის ერთმანეთზე დაჭერითა და გასმით გამოწვეული ხმა

**ღრენა** გაჯავრებული მხეცის, ძაღლის... შემტევი, მუქარით, წყრომით ხმიანობა

**ღრიალა** ვისაც ან რასაც ღრიალი სჩვევია

**ღრიალ-გრიალი** ღრიალი და გრიალი

**ღრიალებს** ღრიალის ხმას უშვებს

**ღრიალი** 1. დიდი ხმით ყვირილი ადამიანე-ბისა. 2. ნადირის, ზოგი შინაური ცხოველის გაბმული, ხმამაღალი ხმიანობა

**ღრიალობს** იხ. ღრიალებს

**ღრიანცელი** ერთად შეკრებილი მრავალი ადამიანის ერთდროული ლაპარაკი, ყაყანი, დიდი ხმაურობა, აურზაური

**ღრინი** ღრენის ხმა; ხმის გაღება

**ღრიჭინი** მშრალ ღერძზე თვლის ტრიალის დროს გამოცემული ხმიანობა, – ჭრიალი, ღრიტინი. || გაბმულად უსიამოვნო ხმის გამოცემა, – ჭრიალი

**ღროჭინი** ჩვილი ბავშვის ერთგვარი ხმიანო-ბა, ჭყლოპინი

**ღრუილი** მუცლის ხმაურობა

**ღრუტუნი** ღორის ხმიანობა.

**ღრჭენა** კბილების (კბილთა) ღრჭენა – კბილე-ბის ერთმანეთზე გასმით უსიამოვნო ხმის გამოცემა

**ღრჭიალი** ლითონის ნაწილების ერთმანეთზე ხახუნით გამოცემული უსიამოვნო ხმა, – ღრჭენა, ღრიჭინი

**ღურღური** ცეცხლის ნელი წვის ხმა. || მორე-ვის ხმაურობა

**ღუღუნი** ზოგი ფრინველის (მტრედის, გვრი-ტის, ქედნის...) ხმა

## ყ

**ყარყარი** არწივის ხმიანობა

**ყარყაში** „განგაში, ხმაურობა“ (დ. ჩუბინ.)

**ყაყანებს** ყაყანით ლაპარაკობს

**ყაყანი** ხმამაღლა, არეულად, ერთად ლაპარაკი (ბევრისა)

**ყაშყაში** არწივის, ორბის და მისთ ხმაური, ყივილი

**ყვა-ყვა** ხმაბაძვ. ყვავის ხმა, ყრანტალი

**ყვირილი** ხმამაღლა ძახილი ადამიანისა

**ყვირის** ყვირილი გაუდის, ხმამაღლა იძახის, დიდ ხმას გამოსცემს ადამიანი

**ყვიტ** ხმაბაძვ. ზოგი ფრინვლის (სვავის, იხვის, ინდაურის...) ხმა

**ყვიტ-ყვიტი** ზოგი ფრინველის (იხვის, სვავის...) ხმიანობა

**ყიავ-ყიავი** ზოგი ფრინველის (მაგ., წეროს) ხმიანობა

**ყივილი** მამლისა და ზოგი სხვა ფრინვლის ხმიანობა

**ყივ-ყივი** ზოგი ფრინველის (არწივის, წეროს, იხვის...) ხმიანობა

**ყიპყიპი** შავარდნისა და გავაზის ხმიანობა

**ყიჟინი** მრავალთა შეძახილი, მრავალი ადამიანის ყვირილი, კიჟინი

**ყიყინი** ბატის, იხვის, ბაყაყის და მისთ. ხმიანობა

**ყიყლიყო** ხმაბაძვ. მამლის ძახილი, ყივილი

**ყლანტი** წყალში კენჭის ჩაგდების ხმა

**ყლაპანი** წყალში ჩავარდნის ხმა

**ყლაპა-ყლუპი** ყლაპვის ხმა

**ყლარწა-ყლურწი** იგივეა, რაც ყლაპა-ყლუპი

**ყლურწუნი** კუთხ. (ფშ., კახ., იმერ.) ჩაყლაპვის დროს ხმაური ყელში

**ყმუილი** მგლის, ძაღლისა და მისთანათა გაბმული ხმიანობა.

**ყოყინი** ყროყინი ზაქისა, კამეჩისა

**ყრანტ** ხმაბაძვ. ყვავისა და მისთ. ხმა

**ყრანტალი** ყვავის, ყორნისა და მისთ. ხმიანობა

**ყრიალი** ყვავ-ყორანთა, წეროთა და მისთ. ხმიანობა

**ყრიგინი** იგივეა, რაც ყრიალი

**ყრიტინი** წეროთა და მისთანათა ხმიანობა, – ყრიალი, ყრიგინი

**ყრიყინი** ზოგი ფრინველის ხმიანობა

**ყროყინი** ვირისა და კამეჩის ხმიანობა

**ყრუნტ-ყრუნტი** ყვავთა, წეროთა და მისთ. ხმიანობა

**ყურყური** მუცლის გრიალი

**ყუტყუტი** მწყრის ხმიანობა

**ყუყუნი** 1. მუცლის ხმაური, ბუყბუყი, ყურყური. 2. კუთხ. (ფშ.) ხმაური

## შ

**შარი-შური** ფოთლების, აბრეშუმის ქსოვილისა და მისთ რხევის ხმა – შრიალი

**შეაბაკუნებს** ბაკუნით შედგამს (ფეხს)

**შეაზუზუნებს** ზუზუნს დააწყებინებს

**შეაჟღარუნებს** ჟღარუნს დააწყებინებს, ჟღარუნით აახმაურებს

**შეაჟღრიალებს** ჟღარუნს დააწყებინებს, ჟღარუნით აახმაურებს

**შეარაწკუნებს** იგივეა, რაც შეაწკარუნებს

**შეაღრჭიალებს** ღრჭიალს დააწყებინებს, დააღრჭიალებს კბილებს

**შეაწკაპუნებს** წკაპუნის ხმას გამოაცემინებს, წკაპუნს გააღებინებს

**შეაწკარუნებს** წკარუნის ხმას გამოაცემინებს

**შეაჯახუნებს** ჯახუნით შეხურავს, შევა და კარს ჯახუნით დახურავს

**შებაკუნდება** ბაკი-ბუკით, ბაკუნით შევა

**შებაკუნება** ბაკი-ბუკით, ბაკუნით შესვლა

**შებრახუნდება** ბრახუნით შევა

**შებრახუნება** ბრახუნით შესვლა

**შეზმუის** ზმუილით ეხმიანება

**შეზრიალდება** ზრიალს დაიწყებს, შეზანზარდება

**შეზუზუნება** ზუზუნის ხმის გამოცემა

**შეზუზუნებს** ზუზუნით შედის, ზუზუნით იჭრება რამეში

**შეიბრახუნებს** შევა და ბრახუნით მიიხურავს (კარს)

**შეიშრიალებს** შრიალს დაიწყებს, შრიალით შეირხევა, გაიშრიალებს

**შეიწკრიალებს** წკრიალის ხმას გამოსცემს, წკრიალით გაიხმაურებს, გაიწკრიალებს

**შეიჭახჭახებს** ჭახჭახით შეიხმაურებს

**შეიხმატკბილებს** შეუხმატკბილებს, შეუწყობს თავისას (ხმას, ჰანგს...)

**შეიჯახუნებს** ჯახუნით შეიხურავს კარს

**შემობაკუნდება** ბაკი-ბუკით, ბაკუნით შემოვა

**შემობრახუნდება** ბრახუნით შემოვა

**შემობრახუნება** ბრახუნით შემოსვლა

**შემოგრიალდება** ხმაურით, გრიალით შემოვა, შემოვარდება

**შემოესმის** ესმის ამას, მოესმის

**შემოზუზუნებს** ზუზუნით შემოდის

**შემოიზუზუნებს** ზუზუნით შემოიჭრება, ზუზუნით შემოჰბერავს

**შემოღიღინებს** ღიღინით იძახის, – ღიღინებს

**შემოჰკრავს** ზარს შემოჰკრავს, – ზარს დარეკავს

**შემღერა** სიმღერის წამოწყება

**შეჟიჟინებს** ჟიჟინით ელაპარაკება, ემასლაათება; შეჟღურტულებს

**შესჭეხს** ძლიერი ხმით შესძახებს, შეჰყვირებს

**შეტყაპუნდება** კუთხ. (იმერ.) ტყაპუნით შევა წყალში

**შეტყაპუნება** კუთხ. (იმერ.) ტყაპუნით შესვლა წყალში

**შეუბოხდება** რამდენადმე ბოხი გაუხდება ხმა, ცოტათი გაუბოხდება

**შეუღრიალებს** ღრიალით შესძახებს, – დაუღრიალებს

**შეღიღინება** ღიღინით წამღერება, წაღიღინება

**შეღიღინებს** ღიღინით მიმართავს, – შემღერს

**შეღრიალება** ღრიალთ შეყვირება, ღრიალით შეძახება

**შეყაყანება** ყაყანით მიმართვა

**შეჯახუნება** ჯახუნით შეხურვა კარისა

**შე-ჰ-ყაყანებს** ყაყანით მიმართავს

**შეჰყიჟინებს** ყიჟინით შესძახის, შეუყიჟინებს, უყიჟინებს

**შვლეპს** რამე გრძელსა და წვრილს სწრაფად დაჰკრავს ისე, რომ ხმა გამოსცეს

**შვლეჭს** კუთხ. (იმერ.) იგივეა, რაც შვლეპს

**შვრინავს** ხმაურით სუნთქავს, ფშვინავს

**შივილო** ერთგვარი შხივილის მაგვარი ხმა, რასაც გამოსცემს ნედლი შეშა წვისას, გაზერილი ტიკი დაფუკვისას

**შიშინი** 1. ადუღებამდე მოსული წყლის (ან იმ ჭურჭლის, რომელშიაც წყალია) ხმა. 2. იგივეა, რაც შიშხინი, 3. იგივეა, რაც სისინი)

**შიშხინი** ერთგვარი ხმა, რასაც გამოსცემს ხორცი (მწვადი...) შეწვისას, ან ფაფისნაირი რამე (ფაფა, ფლავი...) გაცხელებისას

**შლაგა-შლუგი** შლაგუნის ხმა

**შლაგუნი** შამბიანში, ბუჩქნარსა და მისთანებში გლეჯით, მტვრევით სწრაფი სიარული

**შლაპა-შლუპი** შლაპუნის ხმა

**შლაპუნი** მოქნილი რისამე ცემის, რტყმის ხმა

**შლარტუნი** კუთხ. (ფშ.) იგივეა, რაც შლაგუნი

**შლიგინი** კუთხ. (იმერ.) რამეში სწრაფად სიარული და ამ სიარულისას გამოცემული ხმა

**შლიპინი** კუთხ. (გურ.) იგივეა, რაც შლაპუნი

**შლიპინ-შლიპინი** კუთხ. (გურ.) შლიპინი და შლიპინი, – შლაპაშლუპი

**შმაშუნი** კუთხ. (იმერ.) ნელი ძვრა, ჩუჩუნი

**შმიკშმიკი** კუთხ. (ფშ.) იგივეა, რაც სლუკსლუკი

**შრაშუნა** რასაც შრაშუნი გააქვს

**შრაშუნი** ხმელი რამის ერთმანეთზე ხახუნით გამოწვეული შრიალის ხმა, შარიშური

**შრიალა** რაც შრიალებს, მოშრიალე

**შრიალებს** შრიალი გააქვს

**შრიალი** თხელი, სიფრიფანა საგნების ერთმანეთზე ნელი, ხანგრძლივი ხახუნის ხმა

**შრიალ-შრიალი** ზედიზედ განმეორებული შრიალი

**შრიტინი** კუთხ. (ქართლ.) იგივეა, რაც შიშინი

**შტვენს** იხ. სტვენს

**შუვილი** იგივეა, რაც შუილი

**შუილ-ზუზუნი** შუილი და ზუზუნი

**შუილი** 1. მდინარის სწრაფი დინებისას, ფრენისას ან სწრაფად მოქნეული რამის (ხმლის, სახრის, წვიმის...) მიერ ჰაერის გაკვეთით გამოცემული გაბმული ხმა. 2. თავში, ყურებში გამდგარი ერთგვარი ხმაური

**შუილ-ტკაცუნი** შუილი და ტკაცუნი

**შუილ-ქუხილი** შუილი და ქუხილი

**შუის** იგივეა, რაც შხუის

**შუშხუნი** 1. სითხიდან გაზების გამოყოფისას გამოცემული ხმიანობა. 2. იგივეა, რაც შიშხინი

**შხაპანი** კუთხ. (ფშ.) რბილ რამეში დანის, ხანჯლისა და მისთ. ჩაცემის ხმა

**შხაპა-შხუპი** წვიმის ხშირი და მსხვილ-მსხვილი წვეთების სხმისა და ცემის ხმა, შხაპუნი

**შხაპუნი** წვიმის ან წყლის ხშირი, მსხვილი წვეთების სხმის ხმა

**შხივილი** სწრაფად მოქნეული ან გატყორცნილი საგნის მიერ ჰაერის გაპობის ხმა; სწრაფი დინების ხმა

**შხივის** შხივილი გააქვს, შხუის

**შხიპშხიპებს** კუთხ. (ქიზ.) შხიპ-შხიპი გააქვს, შიშხინებს

**შხიპ-შხიპი** კუთხ. (ქიზ.) ცხიმეულის დნობისას გამოცემული ხმა, შიშხინი

**შხმუილი** იგივეა, რაც შხუილი

**შხრიალი** წყლის ჩქარი დინების ხმა, წყლის ხმაური

**შხუილი** მდინარის სწრაფი დინებისას, ფრენისას ან სწრაფად მოქნეული რამის (ხმლის, სახრის, წვიმის) მიერ ჰაერის გაკვეთით გამოცემული გაბმული ხმა

**შხუილ-ჩქრიალი** შხუილი და ჩქრიალი

**შხუის** წყლის მძლავრი ნაკადის მიერ ან ჰაერში საგნის სწრაფი მოძრაობისას გამოცემული ხმა

## ჩ

**ჩაარაკრაკებს** რაკრაკით, საამოდ იმღერებს

**ჩაატკაცუნებს** ჩაკვრით ტკაცუნის ხმას გამოაღებინებს

**ჩააჩხრიალებს** ჩხრიალით ჩაღვრის, ჩაყრის

**ჩააწიკწიკებს** წიკწიკის ხმას გამოაცემინებს

**ჩააწკაპუნებს** წკაპუნის ხმას გამოაცემინებს

**ჩააწკრიალებს** წკრიალა ხმით, ლამაზად იმღერებს ან დაუკრავს

**ჩააჭუკჭუკებს** ჭუკჭუკის ხმას გამოაცემინებს

**ჩაბაგუნება** ისე ჩარტყმა, რომ ბაგუნის ხმა გამოაცემინოს

**ჩაბოხება** ბოხი ხმით დალაპარაკება

**ჩაბუტბუტება** ბუტბუტით ჩალაპარაკება

**ჩადუდუნება** დუდუნით ჩალაპარაკება; ჩაბუტბუტება

**ჩადუმდება** ჩაჩუმდება, მიჩუმდება, დადუმდება

**ჩაეხლიჩება** წაუვა, გაუხრინწიანდება ხმა

**ჩაეხლიწება** იგივეა, რაც ჩაეხლიჩება

**ჩაეხრინწება** ხრინწიანი გაუხდება, – ჩაეხლიჩება ხმა

**ჩაიბაგუნებს** ისე ჩაირტყამს, რომ ბაგუნის ხმა გამოაცემინოს

**ჩაიბუბუნებს** ბუბუნის ხმით ჩაილაპარაკებს

**ჩაიბუზღუნებს** ბუზღუნით ჩაილაპარაკებს

**ჩაიბურდღუნებს** იგივეა, რაც ჩაიბურტყუნებს

**ჩაიბურტყუნებს** ბურტყუნით ჩაილაპარაკებს; დაბალი ხმით გაურკვევლად იტყვის (ჩვეულებრივ, უკმაყოფილო)

**ჩაიბუტბუტებს** ბუტბუტით ჩაილაპარაკებს; დაბალი ხმით გაურკვევლად იტყვის რასმე

**ჩაიბუხუნებს** ბოხი ხმით ჩაილაპარაკებს

**ჩაიგმინებს** იგივეა, რაც დაიგმინებს

**ჩაიგრიალებს** გრიალით ჩაივლის

**ჩაიგუგუნებს** ძლიერი ხმით, გუგუნით დაიძახებს, – დაიგუგუნებს

**ჩაიდუდუნებს** დუდუნით, ხმადაბლა და გაურკვევლად ჩაილაპარაკებს, ჩაიბუტბუტებს

**ჩაიდუდღუნებს** დუდღუნით ჩაილაპარაკებს

**ჩაიზმუკუნებს** იგივეა, რაც დაიზმუკუნებს

**ჩაიკაკანებს** იგივეა, რაც ჩაირაკრაკებს

**ჩაიკვნესებს** დაიკვნესებს; კვნესით ჩაილაპარაკებს

**ჩაიკრუსუნებს** იგივეა, რაც დაიკრუსუნებს

**ჩაიკრუტუნებს** კრუტუნს გამოსცემს, კრუტუნით გაიხმიანებს, – დაიკრუტუნებს

**ჩაილუღლუღებს** ლუღლუღით, გაურკვევლად, გაუგებრად იტყვის

**ჩაიპუტუნებს** კუთხ. (იმერ.) იგივეა, რაც ჩაიბუტბუტებს

**ჩაირაკრაკებს** რაკრაკით ჩაივლის, ჩავა, – ჩარაკრაკდება

**ჩაისისინებს** სისინის ხმას გამოსცემს

**ჩაისტვენს** თავისთვის, ხმადაბლა დაუსტვენს

**ჩაიფრუსტუნებს** იხ. ჩაიფრუტუნებს

**ჩაიფრუტუნებს** ფრუტუნით ჩაიცინებს

**ჩაიფურჩულებს** იგივეა, რაც ჩაიჩურჩულებს

**ჩაიფუჩუნებს** იგივეა, რაც ჩაიჩურჩულებს

**ჩაიფხუკუნებს** ფხუკუნით ჩაიცინებს, – ჩაიფრუტუნებს

**ჩაიღიღინებს** ხმადაბლა ჩაიმღერებს, – წაიღიღინებს

**ჩაიღრუტუნებს** იგივეა, რაც დაიღრუტუნებს

**ჩაიღუღუნებს** ღუღუნის ხმას გამოსცემს, – დაიღუღუნებს მტრედი

**ჩაიშრიალებს** იგივეა, რაც გაიშრიალებს

**ჩაიჩახჩახებს** ჩახჩახით, ჩხრიალით ჩაივლის

**ჩაიჩიფჩიფებს** ჩიფჩიფით ჩაილაპარაკებს, ჩიფჩიფით იტყვის

**ჩაიჩურჩულებს** ჩურჩულით ჩაილაპარაკებს

**ჩაიწკმუტუნებს** წკმუტუნი აღმოხდება

**ჩაიწმუკუნებს** იგივეა, რაც ჩაიწკმუტუნებს

**ჩაიწრიპინებს** იგივეა, რაც დაიწრიპინებს

**ჩაიხმატკბილებს** ხმატკბილად, ტკბილი ხმით ჩაიმღერებს

**ჩაიხმაურებს** ხმაურს გაიღებს, გაიხმიანებს

**ჩაიხრიალებს** ხრიალის ხმას გამოსცემს, ხრიალით იტყვის

**ჩაიხროტინებს** ხროტინით ჩაილაპარაკებს

**ჩაკაკუნება** ჩარტყმით კაკუნის ხმის გამოცემინება

**ჩაკა-ჩუკი** გაბმული, გამუდმებული ჩაკუნი, – კაკა-კუკი

**ჩაკი-ჩუკი** რისამე მტვრევის მოყრუებული ხმა

**ჩაკუნი** ნაჯახით უხეიროდ თლა, ჩეხის ხმა

**ჩაკუჰკუჰდება** ხმადაბლა და გულიანად იცინებს

**ჩალაპარაკება** თავისთვის, ხმადაბლა დალაპარაკება

**ჩალუკლუკებს** 1. ლუკლუკით ჩაედინება მდინარე... 2. ლუკლუკით გაეხმიანება

**ჩალუღლუღება** ლუღლუღით, გაურკვევლად ჩალაპარაკება

**ჩამიჩუმი** ოდნავ გასაგონი ხმა

**ჩამიჩუმობს** ფრთხილად ხმაურობს

**ჩამოზუზუნებს** ზუზუნით ჩამოდის (ქარი)

**ჩამოისმება** ზევიდან მოისმება ხმა

**ჩამოიჩხავლებს** ჩხავილით ჩამოიძახებს

**ჩამორეკავს** ხმას გამოაღებინებს ზარს ენაზე მიბმული საბლის ჩამოკვრით, – დარეკავს

**ჩამორიხინდება** რიხინით, რახრახით ჩამოვა

**ჩამოქუხს** ქუხილით ჩამოდის

**ჩამოჩქრიალებს** ჩქრიალით ჩამოდის

**ჩამუნი** იგივეა, რაც ჩამიჩუმი

**ჩამღერა** სიმღერით თქმა

**ჩანჩქარი** 1. ჩქეფა, ჩხრიალი წყლისა. 2. იგივეა, რაც ჩანჩქერი

**ჩანჩქერი** წყლის ნაკადი, რომელიც ციცაბოზე გადმოდის

**ჩანჩხარი** 1. „ჩხრიალი, ჩხარუნი“. 2. კრუხის ხმიანობა

**ჩანჩხური** 1. ჩანჩხარი, ჩხარუნი. 2. «ხმამაღლა, უთავბოლოდ ლაპარაკი»

**ჩარაკრაკდება** რაკრაკით ჩავა, ჩაედინება

**ჩასისინება** სისინის ხმის გამოცემა

**ჩასჩურჩულებს** უჩურჩულებს ყურში, ჩურჩულით ეტყვის

**ჩასძახებს** ჩაჰყვირებს ყურში

**ჩასძახის** ჩაჰყვირის ყურში

**ჩაუბაგუნებს** ისე ჩაარტყამს, რომ ბაგუნის ხმა გამოაცემინოს

**ჩაუკაკუნებს** ჩაატყმით კაკუნის ხმას გამოაცემინებს

**ჩაუფურჩულებს** კუთხ. (გურ., იმერ.) იგივეა, რაც ჩაუჩურჩულებს

**ჩაუფუჩუნებს** კუთხ. (იმერ., გურ.) იგივეა, რაც ჩაუჩურჩულებს

**ჩაუღიღინებს** ჩაიღიღინებს მის გასაგონად

**ჩაუჩურჩულებს** იგივეა, რაც ჩასჩურჩულებს

**ჩაუხლეჩს** ჩახლეჩს მისთვის ან მისას

**ჩაუხმატკბილებს** ხმატკბილად ჩაუმღერებს

**ჩაუხრინწიანდება** იგივეა, რაც ჩაეხრინწება

**ჩაუხშობს** ჩაახშობს მისას; მოუსპობს

**ჩაქუხს** ქუხილით ჩადის

**ჩაქშუვლება** ქშუილით ჩასვლა

**ჩაღიღინება** ხმადაბლა ჩამღერება, წაღიღინება.

**ჩაღიღინებული** რაც ჩაიღიღინეს, – ღიღინით თქმული

**ჩაღრუტუნობს** ღრუტუნით ჩასძახის

**ჩაჩა-ჩუჩი** რბილი ან შრიალა საგნების მოძრაობისას გამოცემული ხმა, – ფაჩა-ფუჩი

**ჩაჩუნი** მსუბუქი, ფრთხილი მოძრაობა, – ფაჩუნი. || ასეთი მოძრაობით გამოწვეული მცირე, ძნელად გასაგონი ხმიანობა

**ჩაჩქუნი** რტყმა, ჩაკუნი, ცემა; ჩეჩქვის ხმა

**ჩაჩხაპუნდება** ჩქრიალით, ჩქაფუნით ჩავა

**ჩაწიკწიკება** წიკწიკის ხმის გამოცემინება

**ჩაწკაპუნება** წკაპუნის ხმის გამოცემა

**ჩაწკრიალება** წკრიალით ჩაყრა

**ჩაწყვეტა** ხმის ჩაწყვეტა – გაჩუმება, დადუმება, ხმის გაკმენდა

**ჩახანი** რკინის რკინაზე მოხვედრების ხმა || რისამე ჩეხის ხმა

**ჩახა-ჩუხი** ჩეხის ხმა

**ჩახლეჩა** წასვლა, ჩახრინწიანება ხმისა

**ჩახლეწილი** კუთხ. (ქართლ.) იგივეა, რაც ჩახლეჩილი

**ჩახმატკბილება** ხმატკბილად ჩამღერება

**ჩახუნი** ჩეხის ხმა, ჩახა-ჩუხი; ჩახანი

**ჩახჩახა** ჩხრიალა, ხმაური

**ჩახჩახებს** იხ. ჩუხჩუხებს

**ჩაჰბღმუის** იხ. ჩაჰბღუის

**ჩაჰბღუვლებს** ბღუილით ჩასძახებს

**ჩაჰბღუის** ბღუილით ჩასძახის

**ჩაჰკივლებს** დაიკივლებს, კივილით გაიხმიანებს

**ჩიფჩიფი** უკბილო ადამიანის გაურკვეველი ლაპარაკი

**ჩიჩხინებს** იხ. ჩახჩახებს

**ჩლატა-ჩლუტი** იგივეა, რაც ჩლატუნი

**ჩლატუნი** ფეხის თრევით, ულაზათოდ სიარული, – ფრატუნი

**ჩლახუნი** კუთხ. (გურ.) „ტალახში ტლაპატლუპით სიარული“

**ჩოჩქოლი** შეშფოთებით, აღელვებით გამოწვეული მოძრაობა და ყრუ ხმაური ხალხისა

**ჩოჩქორი** იხ. ჩოჩქოლი

**ჩუნგალი** კუთხ. (ფშ.) ჩამიჩუმი, მცირედი ხმა

**ჩურჩული** მეტისმეტად ხმადაბლა, ჩუმად ლაპარაკი

**ჩუფჩუფი** კუთხ. (ფშ. ხევს.) იგივეა, რაც ჩურჩული

**ჩუხჩუხებს** ჩუხჩუხით დუღს, – ხმაურობს

**ჩუხჩუხი** წყლის ჩქარი დინებით წარმოქმნილი ხმიანობა, – ჩქრიალი

**ჩქამი** ხმაური, გახმაურება

**ჩქამობს** ჩქამს გამოსცემს, – ხმაურობს, ხმიანობს

**ჩქაფანი** წყალში ჩავარდნის ან წყლის, სითხის სწრაფი მოძრაობის ხმა

**ჩქაფა-ჩქუფი** იგივეა, რაც ჩქაფანი

**ჩქაფი** წყალში რისამე ჩავარდნისას გამოცემული ხმა, – ჩქაფანი

**ჩქაფუნი** იგივეა, რაც ჩქაფანი

**ჩქეფა** სწრაფად, ხმაურით დენა

**ჩქეფი** ხმაურით დენა ნაკადისა

**ჩქეფობა** იგივეა, რაც შუშხუნი

**ჩქეფ-ჩქეფად** ჩქეფით, ჩქაფა-ჩქუფით

**ჩქლაფა-ჩქლუფი** იხ. ჩქაფა-ჩქუფი

**ჩქრიალა** რასაც ჩქრიალი გააქვს, – ჩხრიალა

**ჩქრიალებს** ჩქრიალი გააქვს

**ჩქრიალი** ჩქარი დინებით წარმოქმნილი ხმიანობა

**ჩქრო** ხმის მოჩვენება, – ჩქამი

**ჩქროობს** კუთხ. (ფშ. ხევს.) ხმა, ჩქამი ეჩვენება

**ჩხავილი** ხმაბაძვ. ზოგი ცხოველის (ტურის, კატის...) და ფრინველის (ყვავის, კაჭკაჭის...) უსიამოვნო, ყურთასმენის წამღები ხმიანობა

**ჩხავის** უსიამოვნოდ ხმიანობს ტურა, ყვავი...

**ჩხაკანი** იგივეა, რაც ჩხაკუნი

**ჩხაკა-ჩხუკი** გაბმით ჩხაკუნი

**ჩხაკუნი** ლითონის საგნების მაგარ რამეზე მოხვედრებისას გამოცემული ხმა

**ჩხაპუნება** წვიმის ან წყლის ხშირი, მსხვილი წვეთების სხმის ხმა

**ჩხარა** კუთხ. (ფშ.) იგივეა, რაც ჩხერა

**ჩხარა-ჩხური** ხშირი ჩხარუნი

**ჩხარი** ჩხრიალი, ჩხარა-ჩხური

**ჩხარი-ჩხური** იგივეა, რაც ჩხარა-ჩხური

**ჩხარუნი** ლითონის საგნების ერთმანეთზე დარტყმა-დაცემის ხმა

**ჩხერა** ჩხარუნი, ჩხრიალი

**ჩხივილი** იგივეა, რაც ჩხავილი

**ჩხიი** ხმაბაძვ. ჩხიკვისა და ზოგი სხვა ფრინველის ხმიანობა

**ჩხიკ, ჩხინკ!** ხმაბაძვ. ჩხაკუნის ხმა

**ჩხიკვინებს** ხმაბაძვ. ჩხიი, ჩხი-ს იძახის ჩხიკვი

**ჩხლაკა-ჩხლუკი** ხმაბაძვ. ხმელი ტოტების მტვრევის ხმა

**ჩხრიალი** ხმაბაძვ. 1. სწრაფად ჩადენის ხმა ნაკადულისა... 2. მაგარი პატარა საგნების ერთმანეთზე მიხლა-მირტყმით გამოცემული ხმა

**ცალხმიანი** იგივეა, რაც ერთხმიანი

## ძ

**ძაგა-ძუგი** ხმაბაძვ. მძიმე საგნების ძლიერი რყევით გამოწვეული ხმაური

**ძაგი-ძუგი** იგივეა, რაც ძაგა-ძუგი

**ძანგ!** ხმაბაძვ. მძიმედ, ყრუდ დაცემის ხმა

**ძახილი** ხმამაღლა, ყველას გასაგონად თქმა

**ძგარა-ძგური** ძგერების ხმაური

**ძგრიალი** მაგარ საგანთა (ქვის, რკინის) ერთიმეორეზე ძლიერად მოხვედრის ხმა

**ძელი** ძელის კვრა – დაკიდებულ ფიცარზე კეტით ცემა ხალხის შესაკრებად ზარის დარეკვის მაგიერი

**ძინ, ძინ, ძინ** ხმაბაძვ. ზარის რეკის ხმა

**ძიძგინი** „დიაცთ ყაყანი“ (საბა)

**ძლივგასაგონი** ძნელად გასაგონი, მეტად ჩუმი

**ძნეყვა** კუთხ. (იმერ.) ზერტყვა, ბრაგვანი

## წ

**წავწკავი** იხ. წკავწკავი

**წაიბზუკუნებს** იგივეა, რაც წაიბუტბუტებს

**წაიბუტბუტებს** ბუტბუტით წაილაპარაკებს

**წაიგმინებს** გმინვა აღმოხდება, – ამოიგმინებს

**წაიზმუვლებს** ზმუილის ხმას გამოსცემს, ზმუილით გაახმიანებს

**წაიზუზუნებს** ზუზუნით წაილაპარაკებს

**წაიკვნესებს** იგივეა, რაც წამოიკვნესებს

**წაიკრუსუნებს** კრუსუნით წაილაპარაკებს

**წაილუღლუღებს** ლუღლუღით, გაურკვევლად იტყვის რასმე; წაილაპარაკებს

**წაიპურტყუნებს** წაიბურტყუნებს

**წაიპუტუნებს** პუტუნით იტყვის, – წაიბუტბუტებს

**წაიჟღურტულებს** ჟღურტულით გაიხმიანებს

**წაიფთქვენს** ფრუტუნის მსგავს ხმას გამოსცემს

**წაიფშუტუნებს** სტვენის მსგავსად წაიქშენს

**წაიფხუკუნებს** ფხუკუნი წასცდება, – წაიფრუტუნებს

**წაიღიღინებს** ხმადაბლა, ღიღინით წაიმღერებს

**წაიღურღულებს** ღურღულით, ბუტბუტით წაილაპარაკებს, – წაიბუტბუტებს

**წაიყეფებს** იგივეა, რაც დაიყეფებს

**წაიწრიპინებს** წრიპინით წაილაპარაკებს

**წაკა-წუკი** ხმაბაძვ. იგივეა, რაც კაწკაწი

**წამოაკივლებს** კივილი აღმოხდება

**წამოიგმინებს** გმინვა აღმოხდება

**წამოიდუდუნებს** დუდუნით ამოთქვამს, – წაიდუდუნებს

**წამოიზახებს** ხმამაღლა იტყვის, – წამოიყვირებს

**წამოიზმუვლებს** იგივეა, რაც წაიზმუვლებს

**წამოიკვნესებს** კვნესით წამოიძახებს, – ამოიკვნესებს

**წამოიკივლებს** კივილით წამოიძახებს

**წამოიკნავლებს** კნავილის ხმაზე წამოიძახებს

**წამოილაპარაკებს** წყნარად წარმოთქვამს, დაილაპარაკებს

**წამოისივლებს** სივილით წამოიძახებს, – დაიწივლებს

**წამოიფუჩუნებს** კუთხ. (იმერ.) იგივეა, რაც წამოიჩურჩულებს

**წამოიფშმუვლებს** ფშმუილით, ქშენით წარმოთქვამს

**წამოიქუხებს** იგივეა, რაც დაიქუხებს

**წამოიღიღინებს** ხმადაბლა, ღიღინით წამოიმღერებს

**წამოიღმუვლებს** იგივეა, რაც დაიღმუვლებს

**წამოიღრიალებს** ღრიალით წამოიძახებს, წამოიყვირებს

**წამოიყვირებს** ყვირილით წამოიძახებს

**წამოიყროყინებს** დიდი, უშნო ხმით იტყვის, წამოიძახებს

**წამოიშმუვლებს** იგივეა, რაც წამოიფშმუვლებს

**წამოიჩურჩულებს** ჩურჩულით წამოილაპარაკებს

**წამოიწიკვინებს** წიკვინით წამოიძახებს

**წამოიწიწინებს** წიწინით წამოიძახებს, წამოიკივლებს

**წამოიხავხავებს** ხავხავით, ჩახლეჩილი ხმით წარმოთქვამს

**წამოიხრანტალებს** ხრანტალით, ძლივძლივ ამოთქვამს

**წამოიხრიალებს** ხრიალით წარმოთქვამს

**წამოიხრინწიალებს** ხრინწიანი ხმით წამოიძახებს

**წამოკივლება** კივილით წამოძახება

**წამოკნავლება** დაკნავლება, კნავილის ხმით წამოძახება

**წამოყაყანდება** იგივეა, რაც აყაყანდება

**წამოყვირება** ყვირილით წამოძახება

**წამოხველება** სუსტად დახველება; ხველების წაცდენა

**წანწკარა** წანწკარით მომდინარე

**წანწკარი** პატარა ნაკადის ხმიანობა

**წარახრახდება** რახრახით წავა ურემი

**წარიხინდება** იგივეა, რაც წარახრახდება

**წასჩურჩულებს** ჩურჩულით წაულაპარაკებს

**წასჩუფუნებს** იგივეა, რაც წასჩურჩულებს

**წაუსტვენს** სტვენით გაეხმიანება

**წაუტკაცუნებს** ისე წაარტყამს, რომ ტკაცუნის ხმა გამოსცეს

**წაუტუტუნებს** ტუტუნით ეტყვის, – წაულაპარაკებს

**წაუფუჩუნებს** კუთხ. (იმერ.) წასჩურჩულებს

**წაუღიღინებს** იგივეა, რაც წაიღიღინებს

**წაუჩურჩულებს** იგივეა, რაც წასჩურჩულებს

**წაუჭყივლებს** ჭყივილით წასძახებს

**წაფშმუილება** ფშმუილის ხმის გამოცემა

**წაღიღინება** ხმადაბლა, ღიღინით წამღერება

**წაწკა-წუწკი** ხმაბაძვ. ტკაცა-ტკუცი, ლაწა-ლუწი

**წაჭყივლება** ჭყივილით წაძახება

**წახრიალდება** ხრიალით წავა, – წარახრახდება

**წახრიგინდება** ხრიგინით წავა, – წარახრახდება

**წვრილხმიანი** რასაც წვრილი ხმა აქვს

**წიავ-წიავ** ხმაბაძვ. წიწილის წივილის ხმა

**წიაპ-წიაპ** ხმაბაძვ. იგივეა, რაც წიავ-წიავ

**წიაქი** იგივეა, რაც წივილი

**წია-წია** 1. იგივეა, რაც წიავ-წიავ. 2. წიწილების მოხმობა

**წივანა** იგივეა, რაც მწივანა

**წივილ-ზუილი** წივილი და ზუილი

**წივილი** წვრილი ხმის გამოცემა

**წივის** წვრილ ხმას გამოსცემს

**წივი-ს-კივის** წივის და კივის

**წივწივებს** ნაწყვეტ-ნაწყვეტად წივის

**წივწივი** წიწილის ხმიანობა, – წივილი

**წიკვინა** წვრილი, უსიამოვნო ხმა

**წიკვინებს** წვრილ, უსიამოვნო ხმას გამოსცემს

**წიკვინი** წვრილი, უსიამოვნო ხმით ლაპარაკი

**წიკო** კუთხ. (ფშ.) წიაქი; წიოკობა, წივილ-კივილი

**წიკო-წიკო!** ხმაბაძვ. გარმონზე დაკვრის ხმა

**წიკწიკი** ხმაბაძვ. საათის მექანიზმის მუშაობის ხმა, – ტიკტიკი

**წინწკილა** კუთხ. (იმერ., ლეჩხ.) იგივეა, რაც წანწკარა

**წინწკილი** კუთხ. (იმერ., ლეჩხ.) იგივეა, რაც წანწკარი

**წიო-წიო** ხმაბაძვ. ზოგიერთი ფრინველის (მერის, ინდაურის...) ხმიანობა

**წიპწიპი** წიწილის ხმიანობა

**წიწინა** წიწინის მაგვარი, – წრიპინა

**წიწინებს** წიწინის ხმას გამოსცემს

**წიწინი** ხმაბაძვ. ფრინველის წიწილის, ჩიტის მიერ გამოცემული წვრილი ხმა

**წიწიტო** ხმაბაძვ. გულყვითელას (მოლაღურის) ძახილი

**წიწკინა** წვრილი, უსიამოვნო წიკვინა ხმა

**წიწკინი** ხმაბაძვ. მოყინულზე გავლის ხმა, – წკაპაწკუპი

**წკავის** გაბმით წვრილ ხმაზე ყეფს, – წკმუის

**წკავწკავი** წვრილად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ხმიანობა ძაღლისა...

**წკაპანი** ხმაბაძვ. პატარა, მკვრივი სხეულის კენჭის, (წკეპლის...) ან წვეთის მაგარ საგანზე დაცემის დარტყმის ხმა

**წკაპა-წკუპი** ხმაბაძვ. რიტმული წკაპანი

**წკაპი-წკუპი** იგივეა, რაც წკაპა-წკუპი

**წკაპუნი** წკაპანი, წკაპა-წკუპი

**წკაპწკაპი** ხმაბაძვ. 1. რიტმული წკაპანი, – წკაპა-წკუპი. 2. კავკავი, წკავწკავი

**წკარა-წკური** ხმაბაძვ. რიტმული წკარუნი

**წკარი** პატარა ნაკადის ხმიანობა

**წკარი-წკური** ხმაბაძვ. იგივეა, რაც წკარა-წკური

**წკარუნი** ხმაბაძვ. ლითონის ან მინის პატარა საგნების ერთმანეთზე დარტყმის, ცემის ხმა

**წკეპა** კუთხ. (ფშ., ხევს.) ფარზე ხმლის დარტყმით გამოცემული ხმა; ხელით შემორტყმის ხმა

**წკვიტინა** იგივეა, რაც წიკვინა

**წკვიტინებს** იგივეა, რაც წიკვინებს

**წკივილი** კუთხ. (ფშ., ხევს.) იგივეა, რაც წივილი

**წკიპინი** მცირედ ტკაცანი

**წკლაპა-წკლუპი** ხშირი წკლაპუნი

**წკლაპუნი** ჭამის დროს ენითა და ტუჩებით წ-ს მაგვარი ბგერის გამოცემა

**წკლატუნი** იგივეა, რაც წკლაპუნი

**წკმუილი** იგივეა, რაც წკმუტუნი

**წკმუის** იგივეა, რაც წკმუტუნებს

**წკმუტუნებს** წკმუტუნის ხმას გამოსცემს (ძაღლი...)

**წკმუტუნი** წვრილი ხმის გამოცემა ძაღლისა..., – წკმუილი

**წკნავილი** 1. წვრილი ხმის გამოცემა ძაღლისა, ტურისა და მისთ. 2. ჭრიალი, ჭრაჭუნი

**წკნავის** წვრილ ხმას გამოსცემს, კივის ძაღლი, – წკმუის

**წკნეტა** ჟღარუნი, ჩხარუნი

**წკრიალახმიანი** წკრიალა ხმის მქონე, – ხმაწკრიალა

**წკრიალებს** წკრიალის ხმას გამოსცემს, – წკარუნებს

**წკრიალი** 1. მინაზე ან ლითონზე ცემის ხმა, – წკარუნი. 2. მაღალ, კრიალა ხმაზე ჟღერა, – რაკრაკი. 3. იგივეა, რაც წანწკარი

**წლაკა-წლუკი** იგივეა, რაც წკლაპა-წკლუპი

**წლაკუნი** იგივეა, რაც წკლაპუნი

**წლაპა-წლუპი** იგივეა, რაც წკლაპა-წკლუპი

**წლაპუნი** იგივეა, რაც წკლაპუნი

**წმუილი** იხ. წკმუილი

**წმუის** იხ. წკმუის

**წმუკუნი** იხ. წკმუტუნი

**წრიალი** 1. ძვ. მოქნეულისაგან ჰაერის გაპობის ხმა, – წუილი, შხუილი. 2. კუთხ. (ხევს.) ძალიან წვრილად ჩამომდინარე სითხის ხმა

**წრიაფი** კუთხ. (ლეჩხ.) კრიახი ქათმებისა

**წრიაქი** იგივეა, რაც წრიაფი

**წრიპ! წრიპ!** ხმაბაძვ. წრიპინით ხმიანობა

**წრიპინა** ვინც (ან რაც) წრიპინებს

**წრიპინებს** წრიპინის ხმას გამოსცემს

**წრიპინი** ხმაბაძვ. ძალზე წვრილი ხმის გამოცემა

**წრუპ! წრუპ!** წრუპუნით ხმიანობა

**წრუპნა** წრუპუნით წევა ჩიბუხისა

**წრუპნის** წრუპნით ეწევა ჩიბუხს

**წრუპუნი** ხმაბაძვ. მოკუმული ტუჩებით ჰაერის შესრუტვისას გამოცემული ხმა

**წრუტუნი** იგივეა, რაც წრუპუნი

**წრუწუნი** თაგვის ხმიანობა, – წრიპინი

**წუილი** წვრილი, მაღალი ხმის გამოცემა მწერისაგან

**წუის** წვრილ, მაღალ ხმას გამოსცემს მწერი

**წუწკუნი** იგივეა, რაც წკმუტუნი

**წუწუნი** იხ. წუილი

## ჭ

**ჭანჭყარი** სითხის ნჯღრევა ნაკლულ ჭურჭელში

**ჭაპა-ჭუპი,** ჭაპი-ჭუპი ხმაურით პირმოუკუმავად ღეჭვა, – წკლაპუნი

**ჭაპუნი** იგივეა, რაც ჭაპა-ჭუპი

**ჭაქანი** ჭახანი

**ჭაქი-ჭუქი** ხმაურობა, ჭახანი, ჭახა-ჭუხი

**ჭაჭა-ჭუჭი** იგივეა, რაც ჭრიალი

**ჭაჭი-ჭუჭი** იხ. ჭაჭა-ჭუჭი

**ჭაჭუნი** იგივეა, რაც ჭრაჭუნი

**ჭაჭყანებს** უსიამოვნოდ ხმიანობს

**ჭაჭყანი** ხმამაღალი, უსიამოვნო ლაპარაკი

**ჭაჭყი-ჭუჭყი** სველ ადგილზე სიარულის ხმა

**ჭახ!** ხმაბაძვ. გატეხის, თოფის გავარდნის და მისთ. მკვეთრი ხმა

**ჭახანი** გატეხის, დაჯახების, თოფის გავარდნისა და მისთ, მკვეთრი ხმა

**ჭახა-ჭუხი** ხმაბაძვ. ხშირი ჭახანი

**ჭახუნი** იგივეა, რაც ჭახანი

**ჭახჭახი** 1. ზოგი ფრინველის მაღალი და მკვეთრი ხმიანობა. 2. იგივეა, რაც ჭახა-ჭუხი

**ჭახჭუხი** იგივეა, რაც ჭახა-ჭუხი

**ჭექ!** ხმაბაძვ. თოფის გასროლის ხმა, – ჭახ! ჭექ!

**ჭექა** ჭექისებური ძლიერი და მკვეთრი ხმის გამოცემა

**ჭექა-გრიალი** ჭექა და გრიალი, ძლიერი ჭექა-ქუხილი

**ჭექა-ქუხილი** ხშირი და ძლიერი ქუხილი

**ჭექს** ქუხილის ხმას გამოსცემს, – ქუხს, გრგვინავს. || ჭექისებურ, ძლიერსა და მკვეთრ ხმას გამოსცემს, – იგრიალებს

**ჭეხს** კუთხ. (ფშ., ხევს.) იგივეა, რაც ჭექს

**ჭვიტინი** იგივეა, რაც ჭყვიტინი

**ჭი!** ხმაბაძვ. ჭრიჭინასი და ზოგი სხვა მწერის ხმიანობა

**ჭიგინა** კუთხ. (რაჭ.) მგლების გახშირებული ღმუილი

**ჭივ, ჭავ** ხმაბაძვ. ჩიტების ხმიანობა, ჭივილი

**ჭივის** ხმიანობს წვრილი ფრინველი

**ჭიიტ-ჭიიტ** ხმაბაძვ. თრითინის ხმიანობა

**ჭიკჭიკ-გალობა** ჭიკჭიკი და გალობა

**ჭიკჭიკი** ზოგი ფრინველის ხმიანობა,– ჟღურტული.

**ჭიმჭიმი** იგივეა, რაც ჭუპჭუპი

**ჭიპჭიპი** იგივეა, რაც ჭუპჭუპი

**ჭიყჭიყი** ერთგვარი ხმიანობა ფრინველისა, – ჭახჭახი

**ჭიჭინებს** იგივეა, რაც ჭუპჭუპებს

**ჭიჭინი** 1. ხმაურობა; ძახილი, ყვირილი. 2. ფრინველთა ხმიანობა, – ჟივჟივი

**ჭიჭყინი** უსიამოვნო წვრილი ხმა ჩასაბერი საკრავისა

**ჭიხვინი** ცხენის ხმიანობა

**ჭლაპა-ჭლუპი** წყალში მაგარი საგნის მოძრაობით გამოცემული ხმა

**ჭლახა-ჭლუხი** კუთხ. (იმერ.) საქონლის მიერ ჩალის ღეჭვის ხმა

**ჭოტ** ხმაბაძვ. ჭოტის ხმიანობა

**ჭოტ-ჭოტ** ხმაბაძვ. იგივეა, რაც ჭოოტ-ჭოოტ

**ჭრაჭა-ჭრუჭი** ხმაბაძვ. ჭრიალი, ჭრაჭუნი

**ჭრაჭუნი** ჭრიალი, ჭრაჭა-ჭრუჭი

**ჭრიალა** რაც ჭრიალის ხმას გამოსცემს, რასაც ჭრიალი გაუდის

**ჭრიალებს** ჭრიალის ხმას გამოსცემს, ჭრაჭა-ჭრუჭი გაუდის, ჭრიჭინებს

**ჭრიალი** 1. „კართა და ურემთ ხმიანობა“ (საბა) – ჭრაჭუნი

**ჭრიალ-ჭრიალი** გამუდმებული ჭრიალი

**ჭრიახი** იგივეა, რაც კრიახი

**ჭრინავს** ჭიკჭიკებს, ჟღურტულებს || ჭრიჭინებს, ჭრიალებს

**ჭრიჭინი** ხახუნით გამოცემული ხმა, – ჭრიალი, ჭრაჭაჭრუჭი

**ჭრიჭინ-ჭრიჭინი** გაბმით ჭრიჭინი, ჭრაჭა-ჭრუჭი

**ჭრიხინი** კუთხ. (იმერ., ლეჩხ.) კრუხის ხმიანობა, – კრიახი

**ჭროკინი** ფრინველთ ხმიანობა, – ჭიკჭიკი

**ჭრხიალი** ხოხობთა და მისთანათა ხმიანობა

**ჭუკჭუკი** 1. მწყრის ხმიანობა. || მწყრის ჭუკჭუკის მსგავსი წყნარი ხმიანობა. 2. ტკბილი საუბარი დაბალი ხმით

**ჭუპჭუპებს** ჭუპჭუპი გააქვს, – ჭყაპუნობს

**ჭუპჭუპი** სითხის მოძრაობის ხმა

**ჭუჭყუნი** უსიამოვნო ხმაური, – ჭიჭყინი

**ჭუხჭუხი** 1. „მწყერთ ბრძოლის ხმიანობა“ (საბა). 2. კუთხ. (იმერ.) გაბრაზებული ინდაურის ხმიანობა

**ჭყავანა** ვინც ჭყავის, – მჩხავანა

**ჭყავილი** წვრილი, უსიამოვნო ხმიანობა კატისა, ტურისა, ჭოტისა

**ჭყავის** ხმიანობს წვრილი, უსიამოვნო ხმით კატა, ტურა, ჭოტი

**ჭყაპანი** წყლის წვეთის დაცემის ხმა, – ჭყაპუნი

**ჭყაპა-ჭყუპი** ტალახიან ადგილში სვლის ხმა, – ჭყაპუნი

**ჭყაპუნი** სველ, ტალახიან ადგილში სვლის ხმა. || წყლის წვეთის დაცემის ხმა

**ჭყვირილი** იგივეა, რაც ჭყივილი

**ჭყვირის** იგივეა, რაც ჭყივის

**ჭყვიტინი** ჭიჭყინი, ჭყივილი

**ჭყივ, ჭყივ** ხმაბაძვ. ბეღურისა და მისთ. ხმიანობა

**ჭყივილი** გაბმული ყვირილი უსიამოვნო ხმით, – ჭყვირილი

**ჭყივის** გაბმულად, უსიამოვნო ხმით ყვირის, – ჭყვირის

**ჭყიპინი** ჭყივილი, – ჭყლოპინი

**ჭყლაპუნი** ხმაბაძვ. წვნიანის ჭამის ხმა – წკლაპუნი

**ჭყლიპინებს** იხ. ჭყლოპინებს

**ჭყლოპინებს** ჭყლოპინის ხმას გამოსცემს, ჟღურტულებს

**ჭყლოპინი** ბარტყის ხმიანობა, – ჭყიპინი, ჟღურტული

**ჭყრ** ხმაბაძვ. მწყრის ხმიანობა აფრენის დროს

**ჭყურჭყური** ხმაბაძვ. ბუყბუყი, ჭყაპუნი

## ხ

**ხა, ხა, ხა!** ხმაბაძვ. გამოხატავს ხარხარს

**ხავილი** ყრუ, თითქოს ჩახლეჩილი, ხმის გამოცემა

**ხავხავი** სუსტად, ჩახლეჩით ხმიანობა

**ხათქანი** ხმაბაძვ. ხეთქების, მაგრად ცემის ხმა

**ხათქა-ხუთქი** ხმაბაძვ. ხეთქების, დაცემის, დარტყმის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმა

**ხათქი-ხუთქი** იგივეა, რაც ხათქა-ხუთქი

**ხათქუნი** იგივეა, რაც ხათქანი

**ხათხათი** ხმაური, ხმამაღალი ლაპარაკი

**ხაპა-ხუპი** მრავლის ცემის, კაკუნის ხმა; თქარა-თქური

**ხარხაზი** კუთხ. (იმერ.) იგივეა, რაც ხორხოზი

**ხარხარი** ხმამაღალი სიცილი

**ხაფი** ძლიერი, მჭექარე, ზარდამცემი ხმა

**ხაფხაფი** სქელი რისამე დუღილის ხმა

**ხაშა-ხუში** იგივეა, რაც ტკიცინა

**ხაჭუნი** კუთხ. (გურ.) იგივეა, რაც ჩხრიალი

**ხახანი** კუთხ. (ხევს.) იგივეა, რაც ხარხარი

**ხვათქუნი** კუთხ. (რაჭ.) „წყალში თევზის სწრაფი მოძრაობა“, – დგაფუნი

**ხვივილი** ხმაური

**ხვივის** იგივეა, რაც ხუის

**ხვიხვინი** ხმადაბალი ჭიხვინი

**ხვნეშის** ღრმად, ხმაურის გამოცემით სუნთქავს, – ქშენს

**ხვრემს** ხრამახრუმით ჭამს, – ახრამუნებს

**ხვრენა** იგივეა, რაც ხვრინვა

**ხვრინვა** ხიხინით სუნთქვა ძილში

**ხვრინი** იხ. ხვრინვა

**ხივილი** 1. ხმაური მდინარისა, ქარისა. 2. ერთობლივი ხმიანობა ჩიტებისა

**ხივის** ხმაბაძვ. ხმაურობს მდინარე, ქარი, – ხუის

**ხინდიკი** კუთხ. (იმერ.) რამეში ხრაგუნით მოძრაობა

**ხირხიცი** კუთხ. (გურ.) „უწესო სიცილი“

**ხიხინი** ხრინწიანი ხმის გამოცემა სუნთქვის დროს, ხრინწიანი ხმაური ფილტვებში

**ხი-ხი-ხი!** ხმაბაძვ. გამოხატავს ხითხითს

**ხლაპუნი** პირის ხმაური ხარბად ჭამის დროს

**ხლაფუნი** კუთხ. (იმერ.) პირით გამოცემული ხმაური, ხრიალის მსგავსი

**ხლაწუნი** კუთხ. (რაჭ. იმერ.) იგივეა, რაც ლაწალუწი

**ხლიჩინებს** კუთხ. (იმერ., გურ.) ჩახლეჩილი ხმით ლაპარაკობს ან მღერის

**ხლოპინი** ძაღლების ერთობლივი ყეფით გამოწვეული ხმაური

**ხლურჩუნებს, ხლუჩუნებს** იგივეა, რაც ახველებს

**ხმა** ყურით აღსაქმელი ტალღისებრი რხევა ჰაერისა, – ბგერა

**ხმააწეულად** ხმას აუწევს და ისე, – ხმამაღლა

**ხმადაბალი** ჩუმი, ნელი, დაბალი ხმით თქმული

**ხმადაშვებით** იგივეა, რაც ხმადაწევით

**ხმადაწევით** ხმის დაწევით, – ხმადაბლა, ხმადაშვებით

**ხმამაღალი** რაც მაღალი ხმით ხდება, – კარგად გასაგონი

**ხმამაღლა** მაღალ ხმაზე, მაღალი ხმით ლაპარაკობს

**ხმამაღლივ** იგივეა, რაც ხმამაღლა

**ხმამაღლიობა** იგივეა, რაც ხმამაღლობა

**ხმამაღლობა** 1. მაღალი ხმის ქონა. 2. ხმამაღლა ლაპარაკი, – ხმაური

**ხმამიმქრალი** ვისაც, რასაც მიმქრალი, სუსტი ხმა აქვს; ვისაც ხმა მიუსუსტდა

**ხმამოდაბლებით** ხმის დადაბლებით, – ჩუმად

**ხმაურა** ვინც, რაც ხმაურობს ხოლმე, – ხმაურიანი

**ხმაურიანი** რასაც ხმაური ახლავს; ხმაურის შემცველი

**ხმაშეუწყობელი** რაც ხმაშეწყობილი არაა, – შეუთანხმებელი სიმღერა და სხვ.

**ხმაჩახლეჩილი** ვისაც ხმა აქვს ჩახლეჩილი, – ხმაწასული

**ხმაწართმეული** ვისაც ხმა წაერთვა

**ხმაჭკვა** კუთხ. (ფშ.) იგივეა, რაც ხმა

**ხმიანდება** ხმიანი ხდება

**ხმიანი** 1. მაღალი ხმის მქონე. 2. ხმამაღალი ბგერადობა

**ხმიანობს** ხმას გამოსცემს, – ხმაურობს

**ხმიერი** ხმის გამომღები, ხმის გამომცემი, – ხმიანი

**ხმობს** ხმიანობს; ამბობს; გაიძახის

**ხმოვანებს** ხმებს გამოსცემს, – ხმიანობს, ჟღერს

**ხმოვანი** 1. ხმის გამომცემი, – ხმიანი. 2. ხმამაღალი, დიდხმიანი

**ხორხოზი** 1. კუთხ. (გურ., იმერ.) ხმამაღალი უწესრიგო ლაპარაკი ბევრისა, – აურზაური. 2. ბოხი, ხმამაღალი, როხროხა ხმა

**ხორხოზობს** კუთხ. (გურ., იმერ.) უწესრიგოდ ხმაურობს

**ხორხორი** აურზაური, როხროხი

**ხორხოტი** გაბრაზებული ღორის ხმამაღალი ღრუტუნი

**ხორხოცი** კუთხ. (გურ.) „მამალი ღორების ხმაურობა და ბრძოლა დედლებისათვის“

**ხოხორობა** კუთხ. (ფშ.) ყაყანი, ხმაურობა ბევრისა

**ხრაგა-ხრუგი** იგივეა, რაც ხრაგუნი

**ხრაგუნი** მაგარ რამეზე ადგილის მონაცვლეობით გამოწვეული ხმაური

**ხრამა-ხრუმი** „ქერქთ ჭამის ხმა“ (საბა); ხრამუნით ჭამა

**ხრამუნი** მაგარი ან ხმელი რისამე ჭამის ხმა

**ხრანტალი** ყელში ხრიალი, ნახველის ამოწმენდის ხმა

**ხრანტალ-პრანტალი** როხროხი, ბოხი ხმით ხმამაღლა ძახილი

**ხრაპა-ხრუპი** ხმამაღალი ხვრეპის ხმა

**ხრაშა-ხრუში** 1. ხრეშზე ან გაყინულ ფხვიერ თოვლზე სიარულით გამოწვეული ხმიანობა, – ხრაშუნი. 2. იხ. ხრამა-ხრუმი

**ხრაშუნი** იგივეა, რაც ხრამუნი, ხრაშა-ხრუში

**ხრიალ-ღრიალი** მეტად დიდი ხმაური, – ღრიანცელი

**ხრიგინი** ეტლის, ურმის და მისთ. მოძრაობით გამოწვეული ხმაური

**ხრიგინ-ხრიგინი** გაბმული ხრიგინი

**ხრინწიანი** ჩახლეჩილი, არასუფთა ტონის ხმა

**ხრიტინი** იხ. ხროტინი

**ხრიწინებს** ხრიალებს, ხროტინებს

**ხრიწინი** ხრიალი, ხროტინი

**ხროტინი** სუნთქვაშეკრულის ხრიალი

**ხროხინი** კუთხ. (იმერ.) ბოხი ხმით ხმამაღლა ლაპარაკი, – როხროხი

**ხრუტუნი** იგივეა, რაც კრუტუნი, ღრუტუნი

**ხრჭიალი** იგივეა, რაც ღრჭიალი

**ხუვილი** იგივეა, რაც ხუილი

**ხუთხმიანი** ხუთი სხვადასხვა ხმისაგან შემდგარი

**ხუილი** ხმაბაძვ. მდინარის და ქარის ხმაური

**ხუის** ხმაბაძვ. ხმაურობს მდინარე, ქარი

**ხუფხუფი** ხმაბაძვ. წყლის დუღილის ხმიანობა || ყრუ ხმიანობა დიდი ყელვიწრო ჭურჭლიდან სითხის გადმოსხმის დროს

**ხუშხუშებს** იხ. ჩუხჩუხებს

**ხუჩხუჩი** უხმო, გულამოსკვნით ტირილი, – ქვითქვითი

**ხუხუნი** ხმაბაძვ. „გატყორცნის ხმა“ (საბა), – ხრიალი, შხუილი

## ჯ

**ჯახანი** რისამე მირტყმის, რამეზე ხეთქების ხმა, – ჯახუნი

**ჯახა-ჯუხი** ზედიზედ, მრავალჯერ განმეორებული ჯახუნი

**ჯახება** მაგრად ხლა, ხეთქება

**ჯახი** რისამე მირტყმის, რამეზე ხეთქების ხმა, – ჯახუნი

**ჯახუნი** ჯახების ხმა

**ჯახუნობს** ჯახუნი გააქვს

**ჯახჯახი** ზედიზედ, მრავალჯერ განმეორებული ჯახუნი

**ჯაჯღანი** საუბ. ხმამაღლა უკმაყოფილო კილოთი ლაპარაკი, – ჭაჭყანი

**ჯგაფუნი** სითხის მოძრაობის ხმა

**ჯეხა** მაგრად ხლა, ხეთქება

**ჯიღჯიღი** იგივეა, რაც ჯიყჯიყი

**ჯიყჯიყებს** ულაზათოდ, გაურკველად ლაპარაკობს

**ჯიყჯიყი** ულაზათო, გაურკვეველი ლაპარაკი

**ჯიჯინი** გაბმული, გულისგამაწყალებელი ლაპარაკი, – დუდღუნი

**ჯიჯღინებს** გაურკვევლად ლაპარაკობს, – ჯიყჯიყებს

**ჯიჯღინი** უკმაყოფილო ლაპარაკი, ბუზღუნი

**ჯლაყუნი** ცხენის ფეხის ხმა

**ჯლიგინი** კუთხ. (იმერ.) ხმაურიანი სიარული

**ჯლიყინი** გაუგებარი ლაპარაკი, – ჯიყჯი

**ჯლოყინი** იგივეა, რაც ჯლიყინი

**ჯუმჯუმი** კუთხ. (ფშ., ხევს.) იგივეა, რაც ჩურჩული

**ჯუჯღუნი** ცხვირში ლაპარაკი, – დუდღუნი

**ჯუჯღური** იგივეა, რაც ბუზღუნი

**ჯღავილი** ხმამაღლა, უგვანი ტირილი, – ღნავილი, ჩხავილი

**ჯღავის** ხმამაღლა, უგვანოდ ტირის, – ღნავის, ჩხავის

**ჯღარა** კუთხ. (ფშ.) იგივეა, რაც ჟღარუნი

## ჰ

**ჰა-ჰა, ჰა-ჰა-ჰა** ხმაბაძვ. გამოხატავს ხმამაღლა სიცილს. ჰა-ჰა-ჰაა

**ჰე-ჰე** ხმაბაძვ. გამოხატავს ხმადაბალ სიცილს

**ჰი-ჰი-ჰი** ხმაბაძვ. გამოხატავს ხმადაბლა სიცილს

## წ ყ ა რ ო ე ბ ი


1. გ. კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა, ფერისა და სინათლის აღმნიშვნელი სიტყვები ვაჟა-ფშაველას ლექსიკაში, თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, IV, თბ., 1974. გვ. 33-47.
2. ნ. კ ი ზ ი რ ი ა, ხმაბაძვითი სიტყვები ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, XXII, თბ., მეცნიერება, 2003. გვ. 27-39.
3. ნ. მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულსა და რუსულ ენებში (თარგმნითი ლექსიკონების მიხედვით), თბ., 1986.
4. ზ. ფ ო ჩ ხ უ ა, თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი, I, თბ.,1987.
5. ა ლ. ღ ლ ო ნ ტ ი ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა. I-II, თბ., 1975.
6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს საერთო რედაქციით, I-VIII, თბ., 1950 – 1964.
7. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, მთავარი რედაქტორი აკად. ა. ა რ ა ბ უ ლ ი, I-IV, თბ., 2007-2019.

შენიშვნები



234